

ლევან ცაცუკიძე

საქართველოს
ისტორია

თვალის ერთი
გადავლაგით



ლევან საციკლი

საქართველოს ისტორია

თვალის ერთი გადავლაშით

როგორც უფალი,
სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა...
რაციც მრისთავი.

გამომცემლობა „სამშობლო“
თბილისი
1994

ამ წიგნის ავტორი, ლევან სანიკიძე, არის ფრიად ცნობილი და სახელმოხვეჭილი მწერალი და მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგე.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული გამოკვლევა და მხატვრული თხზულება — მრავალი სამეცნიერო სტატიის, თუ პუბლიცისტური წერილის გარდა — ფუნდამენტური წიგნები, მონოგრაფიები, რომანები, მოთხრობები, პიესები. ამათგან განსაკუთრებული პოპულარობითა და აღიარებით გამოიჩინა: „უქარქაშო ხმლები“ (4 ტომად), „დედა-ისტორია“, „წიგნი მოწამეთა“, „საველრებელი გიორგი ათონელისა“, „გიორგი სააკამე“, „დავით აღმაშენებელი“, „ამბავი კოლხი ასულისა“, „მესამე დახის საქართველო“, „სამას-სამასი“, „პონტოს სამეფო“, „რომის იმპერია“, „პანიბალი“, „ალექსანდრე მაკელონელი“, „ექისარიადა“, „ხაბირუელი, ისრაელ, ებრაელ“; პიესები — „მედეა“, „ნერონი“, „არქეოლოგიური ქრონიკა“, „გაიუს გრაკებუსი“, „ქუთათურები“, „ყივჩაყი შამომეყარა...“

ხოლო, წინამდებარე ამ მცირე წიგნს ავტორი მიშნად უსახავს, ერთხაშად („ოვალის ერთი გადავლებით“), ძალიან ზოგად, ანუ ანბანურ ცოდნას მაინც აზიაროს ქართველი ხალხის საისტორიო თავ-გადასავლით, თუნდაც „ვინაობით“ დაინტერესებული აღმიანი, განსაკუთრებით — უცხოეთში მცხოვრები, სულ ერთია, ქართველი თუ არაქართველი.

მხატვარი სიმონ ჭილაძე

II, სადაც შუბლია დედამინისა

„მთათა ყოველთა ხელმწიფეა კავკასიონი“.
 ა ხ ქ ი ღ ე

**ქვეყანა კავკასია — მსოფლიო თილისმა სუფევს ამ სახელ-
 დებაში.**

**მთა კავკასიონი — ვერცხლის შუბლი დედამიწისა, მაერთე-
 ბელი შუასახსარი აზიისა და ევროპისა.**

ხოლო, ამა შუბლსა ზედა დედამიწისასა, მის სამხრეთ მხა-
 რეს, გაშლილია ქვეყანა, რომელსაც ჰქვია საქართველო.

F 72 · 303 ქვეყანა მშვენიერი, ნოყიერი და ნაყოფიერი, რომლის
 მკვიდრი მოსახლეობა — ქართველი ხალხი, თავისი არსებობის
 ათასეულობით წლებს მოითვლის. სწორედ ათასეულ წელთა
 სარბიელზე, დღევანდელ ქართველთა წინაპრებს, მსოფლიოს
 სხვა უძველეს ხალხთა გვერდით უცხოვრიათ შრომით, ბრძო-
 ლით და შემოქმედებით. ქართველ კაცსაც უხსოვარ დროიდან
 შრომისა თუ ბრძოლის იარაღად უკეთებია: ქვა, სპილენძი,
 ბრინჯაო, რკინა; მასაც გამოუვლია ორივე გვარი — დედისე-
 ულიც, მამისეულიც. პრეისტორიის უხანგრძლივესი და უმძი-
 მესი დრამატიზმით ნაწრთობი სულით და სხეულით შემოვიდა
 იგი მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭებში; მოდოდა იგი ვით-
 არცა: მონადირე, მესაქონლე, გუთნისდედა, მევენახე, ხურო,
 მჭედელი, ხელოვანი, მოისარ_შუბლესან_მახვილოსანი.

ქართველთათვის ძველთაგანვე უპირველეს და უსაყვარლეს
 სამეურნეო დარგად შეიქნა მაინც მიწათმოქმედება, რისთვისა;
 ძველმა ბერძნებმა — ამ „მსოფლიოს ნათლიებმა“ — საქართვე-
 ლოს უწოდეს „გეორგია“ — მიწათმოქმედთა ქვეყანა.

ისე, ვითარცა უდიდესი ცივილიზაციის შემოქმედი ბერძენი ხალხი წარმოიშვა სამი ნათესავური გვარტომბისგან — იონი-ელთა, ეოლიელთა და დორიელთაგან — ასევე სრულიად ქართველი ხალხის შემოქმედიც შეიქნა სამი მთავარი გვარტომა: ქართები, შეგრელები, სვანები. ხოლო, მრავალ საუკუნეთა მანძილზე, ეს სამი ღელა-გვარტომი იყო მშობელი, მომცველი და გამართიანებელი ყველა ქართული მოდგმისა, რომელსაც კა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახელდებით უცხოვრია საქართველოს მიწა-წყალზე: იბერნი, კოლხნი, კახელნი, თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი, წანარნი, ჰერნი, მესხნი, ტაოელნი, კლარჯელნი, შავშელნი, ერუშელნი, ჯავახნი, სპერნი-სასპერნი, კარდუხნი, ეგრისნი, ლაზნი, შვითიანები, ბეხირები, ბიძერები, მაკრონები, სანები, მოსინიკები, ხალიბები, ჰენიოხები, აფშილები, აბაზგები, აფხაზები, მისიმიელნი, სანიკები, ოდიშარნი, იმერნი, მარგველნი, აჭარნი, გურულნი, თაკვერელნი, ლეჩხუმელნი, რაჭველნი, დვალნი (ყველა ეს სახელდება — ტომობრივი და გეოგრაფიული ადგილსაცხოვრისის სახელთა მიხედვით).

უძველესი ქართული სახელმწიფოები

ძველ ხალხთა, განსაკუთრებით ძველ ბერძნული საისტორიო და მითოლოგიური წყაროების გააზრებით, ქართული სახელმწიფოებრიობა დაახლ. 3500 წელს მოითვლის. აქეთკენ მანიშნებს საერთოდ „ქართული თემის“ ფართოდ დამკვიდრება ბერძნულ მითოლოგიასა თუ რეალურ ისტორიაში. სამაგალითოდ, განთქმული „არგონავტიკა“ და მასში წარმოდგენილი სამყარო: კოლხეთი — ოქროს ქვეყანა, მისი სატახტო ქალაქი კუტაია — ქუთაისი, ოქროს საწმისი, კოლხთა ხელმწიფე მზის, ბე აიეტი, მისი გრძნეული ასული მედეა, არგონაველთა ლაშქრობა კოლხეთს, ბერძენი იასონისა და კოლხი მედეას საბედის-წერო რომანი, ოქროს საწმისის და მედეას გატაცება, მედეა უცხოობაში, და სხვ. და სხვ.

ამის შემდგომ, ძვ. წ. XIII საუკუნის წინააზიური წყაროები (განსაკუთრებით, ასირიული) ხშირად იხსენიებენ ახალ ქართულ სახელმწიფოებს — დიაოხს (ტაო) და კოლხას (კოლხეთი).

დიაოხ-ტაოს სახელმწიფო ასირიელებმა დაამხეს ხან-

გრძლივ ბრძოლებში, ხოლო კოლხა-კოლხეთს ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა კიმერიელებმა მოუღეს ბოლო.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ახალი, მძღვრი სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ: აღმოსავლეთში და სამხრეთში – იბერია, ანუ ქართლი, ხოლო დასავლეთში, შავი ზღვის აღმოსავლეთით – ეგრისი, ანუ კოლხეთი.

ცოტა უფრო აღრე, შავი ზღვის სამხრეთით და აღმოსავლეთით ბერძნები შემოესახლნენ ადგილობრივ დასახლებებს. ასე გაჩნდნენ ქართულ მიწებზე ახალი სავაჭრო ახალშენება, და კულტურული ცენტრები: სინოპი, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, ფასისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინტა). ქართული სამყარო დიდი ბერძნული ცივილიზაციის მონაწილე და მოკავშირე გახდა.

ძვ. წ. VI საუკუნის შუა წლებში, ირანში კიროს აქემენიდმა სპარსეთის დიდი სახელმწიფო დაარსა. სპარსეთმა მაღე მთელი წინა და ცენტრალური აზია მოიცვა, ხმელთაშუა ზღვაზეც გავიდა, აფრიკაშიც შეიჭრა და ეგვიპტეც დაიპყრო. იბერია და კოლხეთი იმჟამად სპარსულ ექსპანსიას გადაურჩნენ, მაგრამ უკიდურესი სამხრეთ-დასავლური ქართველური ტომები აქემენიდებმა მაინც დაიმორჩილეს და თავისი მონარქიის მეთვრამეტე-მეცხრამეტე სატრაპიებში მოაქციეს.

ძვ. წ. IV საუკუნის 30-იან წლებში აზიას, ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე, ალექსანდრე მაკედონელი დაეპატრონა. საქართველო ამ ახალ მსოფლიო დამპყრობელსაც გადაურჩა. 323 წელს ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა და მისი ხმლის ნაყოფი მსოფლიო მონარქიაც მისივე გვამის გაცივებამდე დაიშალა. ალექსანდრეს მემკვიდრეობის ნანგრევებზე ე. წ. ელინისტური (ბერძნულ-აღმოსავლური) სახელმწიფოები წარმოიქმნენ. ერთი მათგანი იყო პონტოს სამეფო, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ძირითადად ქართველური ტომებით (ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ლაზები, დრიღები, სანიკები, შკვითინები, კოლხები. ტაოხები) იყო დასახლებული, მაგრამ რაკი იქ, სხვა ელინისტურ სახელმწიფოთა მსგავსად, სახელმწიფო ენად ბერძნული ენა ითვლებოდა, ქართველები პონტოელებსაც „ბერძნებს“ ეძახდნენ.

ფარნავაზი და მისი ძრო

ქვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე განსაკუთრებით გაძლიერდა იბერია-ქართლის სამეფო. ამ დროს სახელმწიფოს სათავეში ეღგა მევე ფარნავაზი, ჭკვიანი საჭეომპყრობელი და კულტურული სჯელმდებელი. „ამან ფარნავაზ შექმნა მწიგნიბრობა ქართული“ – გვარწმუნებს ძველი დროის მემატიანე (ლეონტი მროველი). იმავე წყაროს ცნობით, ფარნავაზმა ქართლს ეგრის-კოლხეთიც შემოუერთა. ამდენად ეს იყო, ასე გთქვათ, საქართველოს „პირველი გაერთიანება“. ხელმწიფებმა ახალი ადმინისტრაციული რეფორმაც გაატარა: მან საქართველო დაჰყო რვა საერისთავოდ, რომელთაც სათავეში ერისთავები ჩაუყენა.

ფარნავაზი დიდ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა. მის დროს განსაკუთრებით გაშენდა, დამშვენდა და განმტკიცდა ქართლის სატახტო ქალაქი მცხეთა და მისი ციხესიმაგრე არმაზი. იმავე უამს აშენდა დასავლეთ საქართველოში შორაპანი, დიში და ციხე-გოჯი.

II-1 საუკუნეები

ფარნავაზის შემდგომ მისმა მემკვიდრეებმა ქვეყნის ერთიანობა ვეღარ შეინარჩუნეს და საქართველო ისევ დანაწილდა ქვ. წ. II საუკუნის ბოლოს კოლხეთი დაიპყრო პონტოს სახელოვანმა მეფემ მითრიდატე VI ევპატორმა. ქართლის სამეფო კართან კი, მითრიდატეს სამეგობრო კავშირი ჰქონდა.

ქვ. წ. 65 წელს, პონტოსა და სომხეთის განადგურების შემდეგ, ქართლში მსოფლიოს ახალი დამპყრობელნი – რომაელები შემოიჭრნენ ვნეუს პომპეუსის სარდლობით. მძიშე ბრძოლების შემდეგ, პომპეუსმა ქართლის დამოუკიდებლობა აღიარა და მდიდარი ძღვენის აღებით დაკმაყოფილდა. ამიერიდან იბერია-ქართლის მეფეებს რომაელი იმპერატორები „რომაელი ხალხის მოკავშირესა და მეგობარს“ უწოდებდნენ. ხოლო, კოლხეთი პონტოსთან ერთად, რომის ქვეშევრდომ პროვინციად ითვლებოდა.

პირველ საუკუნეთა საქართველოს შესახებ ძვირფასი ცნო-
 ბები დაგვიტოვა იმედამინდელმა სახელოვანმა ბერძენმა გეო-
 გრაფოსმა და ისტორიკოსმა სტრაბონმა. იგი აგვიწერს ქართ-
 ველთა საზოგადოებრივ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრე-
 ბას, მთისა და ბარის ყოფას, ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს,
 სამიმოსვლო გზებსა და კომუნიკაციებს. მარტო მდინარე რი-
 ონზე 120 ხილი ყოფილა გადებული; რიონ-ყვირილას წყლის
 მავისტრალზე შავი ზღვიდან შორაპნამდე მოძრაობდნენ ხო-
 მალდები. ინდოეთიდან ევროპისკენ მომავალი საქონელიც ამავე
 გზით მოდიოდა: ინდოეთი-შუა პშია-კასპიის ზღვა-მტკვარი-
 ლისი-ძირულა-ყვირილა-რიონი-შავი ზღვა-ევროპა. სტრაბონი
 გამორჩეული გულისყურით აღწერს ამ „დიდი გზის“ მთავარ
 ნაკვეთს — იბერიას: „ეს არის მდიდარი ქვეყანა, რომელსაც
 ძალუმს ძალზე ხშირი მოსახლეობა იყოლიოს, და, მართლაც,
 იბერია მეტწილად დასახლებულია მშვენივრად — იგი მოფე-
 ნილია ქალაქებითა და დაბებით, თანაც ისე, რომ აქ გვხვდება
 კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული ხელოვნების წე-
 სების მიხედვით აშენებული სახლები, საბაზრო ადგილები და
 სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი“.

მარტო მცხეთა-არმაზში მოპოვებული არქეოლოგიური მა-
 სალებიც ნათლად მეტყველებენ ძველ ქართველთა კულტურუ-
 ლი ცხოვრების სიმაღლესა და მრავალფეროვნებაზე. აქ არქეო-
 ლოგებმა იპოვნეს საქართველოს უძველესი დედაქალაქის აკ-
 როპოლისი — არმაზი, იგივე „შიდა-ციხე“ — მძლავრი კედელ-
 ზღუდეებით, საცხოვრებლებით, წყალსადენებით, სათავსოებით.
 აქვე აღმოჩნდა შესანიშნავი აბანოები („თერმები“) და ნეკრო-
 პოლისი, მეფე-მთავართა უმდიდრესი სამარხებით. ძალზე სა-
 გულისხმოა, რომ მცხეთაში, სამთავროში, საფლავის ერთ ქვაზე
 წარწერაში აღმოჩნდა სახელოვნებო თანამდებობის აღმნიშვნე-
 ლი ტიტულები — „მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი“.
 მცხეთა-არმაზში და მათ შემოგარენში უხვად გამოვლინდა უძ-
 ვირფასესი ნივთები, ოქროს, ვერცხლის, კეთილშობილი ქვე-
 ბით ასხმული სამკაულები, ჭურჭლეული, იარაღი, სარტყელნი,
 ოქროსა და ვერცხლის მონეტები — ყოველივე შესრულებული
 დიდი ოსტატობითა და ხელოვნებისა.

ჩართლი I-III საუკუნეები

ახ. წ. I საუკუნის 30-იან წლებში სომხეთის დაუფლები-სათვის ერთმანეთს ებრძოდა ორი უძლიერესი სახელმწიფო -- რომი (ევროპიდან) და პართია (აზიდან). ბრძოლაში ჩაერია ქართლის მაშინდელი მეფე, ფარსმან პირველი და სომხეთიავის სამეფოს შემოუერთა. სომხეთის სამმართველოდ მან ჯერ თავისი მმა გაგზავნა, შემდგომ კი შვილი, სახელად რადამისტი.

რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი გვაუწყებს, რომ რადა-მისტი იყო გასაოცარი სილამაზისა და ძალ-ღონის ჭაბუკა. ამასთან, მას არამარტო იბერია-ქართლში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც სახელი გაეთქვა ვითარცა „მშობლიური მეცნიერებისა და ხელოვნების“ დარგთა დიდ მცოდნეს. ეს ცნობა ერთ-ხელ კიდევ მეტყველებს ძველ ქართველთა მაღალ კულტურაზე, განათლებასა და განსწავლულობაზე.

მაგრამ რადამისტმა თავი ვერ ისახელა პოლიტიკურ მმართ. ველობაში. სომხებმა მისი სასტიკი მბრძანებლობა ვერ აიტანეს, აჯანყდნენ და უკანვე იბერიაში გამოაძევეს.

სომხეთში პართიელი კაცი გაბატონდა. ფარსმანმა ბრძოლა არ შეწყვიტა. იგი რომაელებს შეუკავშირდა, სომხეთში მესხების ძლიერი ლაშქარი შეიყვანა, პართიელები განდევნა და ტახტზე ადგილობრივი სომები მმართველი დასვა.

ფარსმანის შემდგომ ქართლის მეფედ იჯდა ძე მისი მირდატ მეორე, რომელსაც ისევ დიდ „მეგობრობასა“ და „მოკავშირეობას“ სთავაზობდნენ, რომის იმპერატორები (ფლავიუსები). 75 წლის მახლობლად რომაელმა კეისრებმა მირდატ ფარსმანის ძეს მცხეთაში ქვის კედელი გაუმაგრეს და ზედაც ასეთა წარწერა ამოკვეთეს: „იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავ-გუსტუსმა... და იმპერატორმა ტიტე კეისარმა... და დომიციანე კეისარმა... იბერთა მეფეს მირდატს... კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარე ერს, ეს კედლები განუმტკიცეს“.

იბერია-რომის „მეგობრობა“ და „მოყვრობა“ ძალაში რჩებოდა, მაგრამ დასავლეთი საქართველო რომაელების ბატონობას არ ურიგდებოდა. 69 წელს კოლხებმა, ლაზი ანიკეტის მეთაურობით, დიდი აჯანყება მოაწყვეს, ქალაქი ტრაპეზუნტი, აიღეს და რომაული გარნიზონები ამოწყვიტეს. იმპერატორშია

ვესპასიანებ აჯანყება დიდის გაჭირვებით ჩაახშო, მაგრამ ამის შემდგომ რომაელები იძულებული გახდნენ ლაზ-კოლხებთანაც „სამეგობრო-სამოკავშირეო“ პოლიტიკის გზას დასდგომოდნენ.

II საუკუნეში ქართლის სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა და რომისგან სრულიად დამოუკიდებლად დაიგულა თავი. ამ დროს მცხეთაში ტახტზე იჯდა ფარსმან მეორე ქველა, ფრიად ჰქვიანი პოლიტიკოსი და მამაცი მხედართმთავარი. რომის დიდი იმპერატორი, ტრაიანე (98-117) ფარსმან ქველს ძღვენს უგზავნიდა და თავის თანასწორ მოკავშირე-მეგობრად აღიარებდა. 114 წელს ტრაიანემ და ფარსმანმა ერთად იღაშქრეს პართიაში და აიღეს მისი სატახტო ქალაქი ქტესიფონი.

რომდევნო იმპერატორის, ადრიანეს დროს (117-138) რომსა და იბერიას შორის განხეთქიდება ჩამოვარდა. ფარსმანი არ შეურიგდა რომაელთაგან სომხეთის დაპყრობას, სასწრაფოდ ჯარები შეჰყარა და სამხრეთისაკენ დაიმრა. ჯერ სომხეთშა შევიდა და რომაელები განდევნა, მერე ასევე დიდის წარმატებით იღაშქრა პართიაში.

რომაელთა ხელმწიფებ ფარსმანი რომში გაიწვია, მაგრამ ქართველმა ცივი უარი შეუთვალა. ადრიანემ ისევ დათმობა ამჯობინა და მცხეთაში იმდენი საჩუქრები გამოგზავნა, „რაძლენიც მას მანამდე არავისთვის უბოძებია“. ამ საგანგებო ძღვენს, რომაელმა კეიისარმა საჩუქრად მოაყოლა ორმოცდაათი ლეგიონერი და ერთი სპილო. რომაელთა ელჩობას მცხეთაში მოუძღვა იმპერატორის კარზე გაშინაურებული კაცი, ცნობილი მწერალი, მეცნიერი, დიპლომატი და პოლიტიკოსი, აზიურ საქმეთა ლეგატი-გამგებელი, ფლავიუს არიანე. ფარსმანმა სტუმრები დიდის პატივით მიიღო, მაგრამ ბოლოს ამაყმა მეფემ დასავლეთელ პოლიტიკურ პარტნიორს მაინც დასცინა: ჯერ რომაელ ელჩს საზეიმო ვითარებაში მისი ხელმწიფისათვის თქრომკედით ნაქარგი რამდენიმე ქლამიდა (წამოსასხამი) გადასცა და მას შემდგომ მოედანზე სამასი დაბორკილი დამნაშავე გამოატარა ისეთსავე ოქრონემსულ ქლამიდებში გამოწყობილნი.

მხოლოდ შემდგომი იმპერატორის, ანტონინუს პიუსის დროს (138-161) მოხერხდა იბერია-რომის „თანასწორობის“ აღდგენა. სწორედ მაშინ მოხდა დიდმნიშვნელოვანი სტუმარ-

მასპინძლობა რომში, „მსოფლიოს ცენტრში“. რომაელი კერა-სარი გულებვი მასპინძლობით ეგებებიდა აღმოსავლეთიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს: იბერიის მეფე ფარსმან მეორეს, გის მეუღლე-დედოფალს, ვაჟიშვილ-ტახტისმემკვიდრეს, ქართველ სეფეწულთა და წარჩინებულთა ბრწყინვალედ გაწყობილ ამაღლას. ნადიმ-ღრეობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მერე სა-ასპარეზო სანახაობაზე გავიდნენ რომის დიდ ცირკში, კოლო-ზეუმში. „მსოფლიოს მბრძანებელმა რომაელმა ხალხმა“ იმ დღეს იხილა უცხო და უმშვინიერესი სანახაობა – მხედრულ ჯირითი, საომარი როკვა-ვარჯიში და ვაჟკაცური შემმართებლობა ქართველი ხელმწიფისა და მისი მხლებლებისა. ამის შემდგომ ფარსმანს მიეგო დიდი პატივი – კაპიტოლიუმზე მსხვერპლწირვა გაემართა იუპიტერის სადიდებლად. იმ წლის „საგანგებო ამბავთა“ ნუსხის თავში რომაელებმა სწორედ იბერიის ხელმწიფისა და მისი სახლეულის სტუმრობა ჩაწერეს. ბოლოს, ანტონინუს პიუსის საგანგებო ბრძანებით, მარსის ველზე აღმართეს დიდებული ქანდაკება ცხენზე ამხედრებულა, მოჯირითე ქართველი ხელმწიფისა. რაც მთავარია, კეისარმ, დასტური დასცა ფარსმან ქველის სახელმწიფო სამანთა სი-სრულეს: შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან მტკვრის ქვემო წელამდე და კავკასიონიდან არაქსამდე. ქართლი წინა აზიაში სიმძლავრით პირველი სახელმწიფო იყო. პართია კი ვერ ურიგდებოდა პირველობის წართმევას. მეფე ვოლოგეზ III ფარსმანის წინააღმდეგ საჩივარს საჩივარზე აგზავნიდა რომში. მაგრამ იმპერატორი ანტონინუს პიუსი არ დალატობდა ქართველთა ძაშქარი შემოიყარა, მტერს შეეგება, დაამარცხა და გააქცია. რამდენჯერმე სცადა პართიის მეფე რევანშის აღება, მაგრამ ამაოდ..

226 წელს ორაში არშაკიდების პართიული დინასტია სპარსელმა სასანიდებმა შესცვალეს. სპარსეთის ახალი სახელმწი-ფი გაცილებით უფრო სერიოზული და საშიში მეტოქე აღმოჩნდა რომისთვისაც და იბერიისთვისაც. სპარსელებმა რამდენ-ჯერმე დაამარცხეს რომაელები, დაიპყრეს სომხეთი და აღმა-

წეთი, ხოლო ქართლი ჯერ ისევ ახერხებდა დამოუკიდებლობის
შენარჩუნებას.

საქართველო IV საუკუნეში

მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში ქართველებმა დასავლე-
თიდან, ბიზანტიიდან, ქრისტიანობა მიიღეს და ევროპასთან
ურთიერთობის გზას დაადგნენ. ახალი რელიგიის შემოსვლა
უკავშირდება კაპადოკიიდან მოსულ ახალგაზრდა, სათო
ქალს – ნინო განმანათლებელს, რომელმაც ქართული კაზია
ნასხლევისა და საკუთარი თმის ანაკვეცისგან ჯვარი შეკრა (ეს
ჯვარი ამჟამად თბილისში, სიონის ტაძარში ასვენია) და ქარ-
თლის მაშინდელ მეუეს, მირიანს, პირველი ხის ეკლესიაც –
„სვეტიცხოველი“ ააშენებინა მცხეთაში.

იმავე IV საუკუნეში რომის იმპერიაში, კონსტანტინოპო-
ლის კარზე დაწინაურდა ქართველი ფილოსოფოსი, რიტორი,
პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე – ბაკურ იბერიელი. იმ
დროის უპირველესი ფილოსოფოსი ლიბანიოსი წერს ქართ-
ველი მოაზროვნისა და მოღვაწის შესახებ: ქვეყნად ვერავინ
შეედრება ბაკურ იბერიელის „სულისა და სხეულის ღვთაებრივ
ბრწყინვალებას; იგი არის სიბრძნის მდელო, ხოლო ჩვენ იმ
მდელოზე აღმოცენებულ ყვავილებს ვკრეფთ“...

ეგრის-ლაზეთში, ქალაქ ფასისში (ფოთში), უგვე არსებობ-
და უმაღლესი სამეცნიერო-სახელოვნებო სკოლა, „აკადემია“,
ანუ „მუზათა ტაძარი“, სადაც ქართველებთან ერთად სწავლობ-
დნენ ბერძნები, ბიზანტია-რომის მოქალაქენი. სწორედ ფასი-
სის აკადემია დაასრულეს და უმაღლესი განათლება აქ მიიღებ
სახელგანთქმულმა ბერძენშა ფილოსოფოსებმა, მამა-შვილმა
ევგენიოსმა და თემისტიოსმა.

გორგასალი და მისი დრო

საქართველოს ახალი აღორძინება და გამძლავრება დაიწყო
ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს (457-502). იგი 15 წლი-
სა ავიდა ტახტზე. ჭაბუკმა ხელმწიფემ დასაწყისშივე დიდი
ნიჭი და ენერგია გამოიჩინა. ქვეყანა შინაგანად განამტკიცა და

გააძლიერა. გაატარა სამხედრო რეფორმა: საომარი მაღება რამდენიმე საჯარისო განწესებით გააწყო — ქვეითი ლაშქარი, თოროსნები (მძიმედ შეჯავშნული ცხენოსნები), მსუბუქი ცხენოსნები და რჩეული მხედრობა („გვარდია“).

ვახტანგმა, სამხრეთიდან და დასავლეთიდან მოწოდილ საურთხეთა უკუსავდებად, გადაწყვიტა კავკასიის ხალხთა გაერთიანება. თავდაპირველად ქართლის მეფე ჩრდილოეთ კავკასიაში გაეშურა, არავის კარი (დარიალი) გაიარა, დაამარცხა ხაზარები, ყივჩაყები, ჰაჭანიგები; შემოიერთა ოსეთი და ჯიქეთი; იქიდან დასავლეთ კავკასიონზე დაეშვა, აფხაზეთიდან და ეგრისიდან ბიზანტიელთა გარნიზონები განდევნა და დასავლეთ საქართველოც სრულიად შეუერთა ქართლის მიწა-წყალს (საქართველოს „მეორე გაერთიანება“).

ამ ლაშქრობათა გამო ხალხმა ვახტანგ მეფეს „იალბუზი“, გმირი“ უწოდა და სიმღერაც მიუძღვნა:

ვახტანგ მეფე ღმერთს უჟვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შედგა, --
დიდმა მოებმა იწყეს დრეკა.

464 წელს 22 წლის ვახტანგ მეფემ ჯარები დასძრა სამხრეთ-დასავლეთისაკენ. იქ, მდინარე ჭოროხის გადაღმა, ქართული მიწები ბიზანტიელებს დაეპყროთ. ბრძოლა ისევ ქართველებმა მოიგეს. ვახტანგმა პირისპირ შეტაკებაში მოჰკლა ბაზანტიელთა სარდალი. ქართველებმა ქართული მიწები საქართველოს სამანებში მოაქციეს და უკან გამობრუნდნენ.

ირანისა და ბიზანტიის საჭეომპყრობელებმა ერთხანზე ქართველ ხელმწიფესთან „მეგობრობა“ და „მოყვრობა“ არჩიეს. ირანის შაჰი ვახტანგს „ათთა მეფეთა ახოვანს“ ეძახდა. ვახტანგი მაინც ფრთხილობდა და მოსალოდნელი ომებისთვის ემზადებოდა: ამაგრებდა ძველსა და აშენებდა ახალ ციხესიმაგრეებს, სჭედდა იარაღს, წვრთნიდა ლაშქარს, ამზადებდა ხალხს მტრის დასახვედრად.

467 წელს ირანელთა უზარმაზარი მხედრობა შემოიჭრა მტკვრის ხეობაში. ვახტანგმა ჯარი სასწრაფოდ გაიყვანა და მტერს შეება. გასაოცარი გმირობით იბრძოდა თვითონ მეფე.

სპარსელებმა შენიშნეს, ქართველთა მეფეს მუზარადზე მგელი ესახა და სადაც კი ეს „მგლისთავა“ გოლიათი გამოჩნდებოდა, ასტეხდნენ ყვირილს: „დურ აზ გორგასარ!“ („მოერიდეთ თავსა მგლისასა!“). ასე დაიბადა სამარადჟამოდ სახელგანთქმული ზედსახელი დიდი ქართველი ხელმწიფისა – გორგასალი.

სპარსელებმა ზავი ითხოვეს. ირანის ხელმწიფებ ქართველთა სამფლობელო საზღვრებად სცნო მდინარე არაქსი და კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო. ამას გარდა, სპარსთა მეფე „მისცა გორგასალსა ალვა ლიტრა სამი ათასი, ამბრი ლიტრ, ხუთასი, მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიჭი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი“.

ისევ ქვეყნის აღმშენებლობას მიუბრუნდა ვახტანგ გორგასალი. მცხეთაში, ნინო განმანათლებლის დროინდელი ხის ეკლესიის ადგილზე, აღაშენა ქვის დიდი სიონი. ეს იყო მცხეთის სახელოვანი სვეტიცხოველის მეორე ხუროთმოძღვრული გარდასახვა.

იმავე ხანებში ვახტანგმა განასრულა თავისი ახალი სამყოფელი, უჯარმა, რომელიც მან „აღაშენა ნაშენებითა უზომოთა“.

აშენდა ახალი ეკლესიები ნიქოზს, ნინოწმიდას, ჭერემს, წელეთსა და ქალეთს.

მეტების მაღლობზე, ნამგლის სახედ მოღრეკილი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, აღმართა კიდევ ერთი ტაძარი – სამომავლოდ განთქმული „შეტეხის ტაძარი“.

ბოლოს, ვახტანგ გორგასალმა დაიწყო ახალი სატახტო ქალაქის – თბილისის მშენებლობა. მაშინვე ხალხში ლეგენდა იშვა თბილის-ქალაქის აღშენებისა: ერთხელ ვახტანგ გორგასალი თავისი ამაღლით სანადიროდ ბრძანებულა თბილისის უღრან ტყეებში. ანაზდეულად ხოხობი აფრენიათ. მეფემ ხოხობს მიმინო გამოადევნა. ორივე ფრინველი გადაიკარგა. კარგანის ძებნის შემდეგ წაადგნენ უცნაურ სურათს: მეტების პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მხარეს, მიწის გულიდან ამომდინარე წყაროში იპოვნეს ორივე ფრინველი. სწორედ ამ წყაროს პირდაპირ წამოსწევია მიმინო ხოხობს და ორივენი შიგ ჩაცენილან და ჩახარშულან!.. წყარო ცხელი ყოფილა, სურნელიანი და ოხშავრიანი. ვახტანგმა მაშინვე ტყეების გაჩეხვა და ქალაქის გაშენება ბრძანა. სახელიც თვითონ დაუდგინა, „ტფილ“

წყაროთაგან ნაწარმოები – ტფილისი (აქაური სოფლური და-სახლების ძველი სახელი).

თბილისი სწრაფად შენდებოდა, მტკიცდებოდა, ხალხით ივსებოდა. მაგრამ ვახტანგ მეფემ მაინც ვერ მოასწრო ახალი სატახტოს დასრულება და მასში სამეფო ტახტის გადატანა. ამას მისი შვილი და მემკვიდრე, დაჩი განასრულებს შემდგომ.

502 წლის ზაფხულში ისევ შემოიჭრა ქართლს ირანელთა უზარმაშარი მხედრობა. ერთბაშად მოედვნენ ივრის ხეობას, რუსთავს და სამცორს. ისევ შეება ვახტანგ გორგასალი ურიცხვ მტერს. სამი ღღე-ღამე წონასწორად იძვროდა ბრძოლის სას-წორი. მეოთხე ღღეს, გადამწყვეტ ჟამს, სპარსელთა შუაგულში შეჭრილ ვახტანგ მეფეს მოღალატე მონა_მსახურმა ჯაჭვ-ჩარღვეულ იღლიაში მოარტყა ისარი. მაინც ბრძოლის დასას-რულამდე იბრძოდა მეფე უკუიქცნენ ირანელები.

მძიმედ დაჭრილი ვახტანგი უჯარმას მიიყვანეს. იქვე გარ-დაიცვალა. დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოველში . ხალხში ღრმა კვალი დატოვა სახელოვანმა ხელმწიფებმ. ლექსებს, სი-მღერებს, ლეგენდებს თხზავდნენ „იალბუზის გმირზე“; ამბობ-დნენ – ვახტანგ გორგასალი სიმაღლით 12 ბრჭყალი (2 მ. და 40 სმ) იყო; გაქცეულ ირემს იარაღით შეჭურვილი დაეწეო-და; შეჭურვილ ცხენს მხრებზე თოხლივით მოიგდებდა და მცხეთიდან არმაზ-ცახეზე მუხლჩაუკრეფლად ავიდოდა; როცა მით და შრომით დამაშვრალს ღვინო მოესურვებოდა, ღმერთი კანწს მოაწოდებდა!..

ქართულ დროშას ეწოდა მისი სახელი – „გორგასლიანი“.

ს ა ზ ე პ ი

უძლიერები და უმაღაცესი ხალხია ლაშები და სხვა
ძლიერ ხალხებზეც მბრძანებლობენ; კოლხთა ძველი
სახელოვნებით ამაყობენ და, არცთუ უხაუუძლოდ,
გვარიანადც ქედმალლობენ... მე არ მეგულება არც ერთი
სხვა ესოდენ სახელგანთქმული და ქველი ხალხი, რო-
გორც თავის სიძლიდრის სიუხვით, ისე ქვეშვრდომთა
სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მო-
სავლიანობით, ისე ხასიათის სიმშვენიერითა და სი-
მკვირცხლით.

ა გ ა თ ი ა ს ქ თ ლ ა ს ტ ი კ თ ს ი

V საუკუნის შუა ხანებში, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ვახტანგ გორგასალი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გააერ-
თავანებდა, ლაზიკა ანუ ეგრისი აღმოსავლეთ რომის იმპერიის, ანუ ბიზანტიის სამფლობელოდ ითვლებოდა. მაგრამ ლაზიკის მეფე გუბაზ პირველი ბიზანტიის იმპერატორის უმაღლეს ძა-
ლაუფლებას არ სცნობდა და თავი სრულიად დამოუკიდებელ ხელმწიფედ მიაჩნდა. ბიზანტიის მაშინდელი კეისარ-იმპერა-
ტორი მარკიანე ამას არ შეურიგდა და 456 წელს ლაზიკის დასალაშქრავად ანატოლიისაკენ დაიძრა.

ლაზების მეფესაც წინასწარ თადარიგი დაეჭირა. მტრის სავარაუდო სალაშქრო გზაზე, მისი ბრძანებით, ლაზებს ღრმა ორმოები გაეჭრათ, შიგ წვერამართული შუბების ტყე ჩაერგოთ, ზემოთ ხის ჩელტები, ჩელტებზე მიწა და მიწაზე ბურის მარცვალი დაეთესათ. გაზაფხულზე რომ ჯეჯილი ამწვანდა, ბიზანტიიდებიც სწორედ იმ ამწვანებულ ყანებზე შემოიჭრნენ. შე-
მოიჭრნენ და ფეხქვეშ ერთბაშად მიწა ჩაექცათ; ცხენ-კაციანად ორმოებში ინთქმებოდნენ და შუბებზე ეგბოდნენ. ვინც იმ სი-
ჰელიანი „ქვაბებიდან“ ამოსვლას შეიძლებდა, ზემოდან ლაზები

ხოცავდნენ და უკახვე ორმოებში ყრიდნენ. კეისრის ლაშქარი სრულიად ამოწყდა.

მარკიანემ სამარცხვინოდ წაგებული ომის რევანში ვეღარ შეიძლო და ლაზეთის მეფის წინააღმდევ დახმარება ბიზანტიის მარადიულ მოსისხლე მტერს, სპარსეთის მეფე იეზდიგერდ მეორეს სთხოვა. იეზდიგერდს მაშინ ჰუნებთან ომი ჰქონდა და ბიზანტია-ლაზეთის „სასურველ“ კონფლიქტში ვეღარ ჩაერია.

იმპერატორმა იარაღს ისევ დიპლომატია ამჯობინა და ლაზეთის მეფესთან სამშვიდობო მოლაპარაკებების სერია გამართა. ბოლოს, ბიზანტიის იმპერატორი და ლაზეთ-ეგრისის მეფე ერთმანეთს შეხვდნენ კონსტანტინოპოლის სამუსი კონსისტორიონში (იმპერატორის სატახტო სასახლე).

სასახლის კარი გაიცემული იყო იმპერატორის მანამდე გაუგონარი შემწყნარებლობით: ლაზების მეფე გუბაზ პირველი შუბოსან თანამემამულეთა თანხლებით შევიდა სატახტო დაბაზში. იქ კი ყველა მოხიბლა გუბაზის დახვეწილმა მჭევრ-მეტყველებამ, თავაზიანმა სიტყვა-პასუხმა, საღვთისმეტყველო და საფილოსოფით საგანთა ცოდნამ და მომხიბლავმა მიმოხრამ. ბოლოს, გუბაზ მეფე ბიზანტიელებმა დიდის ძღვენით და პატივით გამოისტუმრეს ეგრისში.

იმ წელს (457) იმპერატორი მარკიანეც მოკვდა და შაპი იეზდიგერდ მეორეც.

ტახტთა ახალი მფლობელნი – ბიზანტიელი ლეონ პირველი და სპარსელი იეზდიგერდ მესამე სავსებით დაჩრდილა და დაჯაბნა ქართველმა დიდმა ხელმწიფემ, ვახტანგ გორგასალმა. მალე ვახტანგმა ქართლს შეუერთა ეგრის-ლაზიკაც და მთელა „პონტოური საქართველოც“.

განვლო ვახტანგ დიდის დრომაც და მისი მემკვიდრეების დროს ისევ ცალკე სახელმწიფოდ გამოჩნდა ლაზეთ-ეგრისი.

ამის შემდეგ, VI საუკუნეში, სწორედ ეგრის-ლაზეთისათვის დიდი, ხანგრძლივი ომი ატყდა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, ქართველთა მეფეებმა ერთმორწმუნე თანაქრისტიან ბიზანტიასთან სიახლოეს ამჯობინეს და ირანის წინააღმდევ ერთიანი ბრძოლის კავშირიც დაადგინეს.

ბევრი ქართველი დაწინაურდა მაშინ ბიზანტიის სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე. ამათგან გამოირჩეოდნენ: ფარსმან

კოლხი (ლაზი), ზავნა ფარსმანის ძე, რუფინე და ლეონტი ზავნას ძენი, ფირან გურგენის ძე იბერიელი, ბაკურ ფირანის ძე, ფაზა ბაკურის ძე.

ომი სპარსეთთან დიდხანს გაგრძელდა. ერთი დიდი ბრძოლა 550 წლის ზაფხულში მოხდა, მდინარე ცხენისწყლის პირას. ბრძოლის წინ ეგრის-ლაზეთის მამაცმა მეფემ, გუბაზ მეორემ ასე მიმართა თავის ჯარებს:

„არა მგონია, ვაჟკაცებო, კიდევ საჭირო იყოს რაიმე გითხრათ საომარი ცეცხლის წასაკიდებლად. აკი ჩვენივე მდგომარეობა ისედაც აღანთებს ჩვენს გულს მტერთან საომრად. განა, შეიძლება დაგვავიწყდეს რა საფრთხე ემუქრება ჩვენს ოჯახებს, სამშობლო ქვეყანას და ყველაფერს, რისთვისაც სპარსელები აღძრულან ჩვენს წინააღმდეგ? აკი ისედაც ბუნება უკანახებს ყველას, უცხო მტერს არ დაუთმოს თავისი, საკუთარი. თქვენ კარგად იცით სპარსელთა სიხარებებს და გაუმაძლრობა. ისვე გახსოვდეთ, რას გვიპირებენ სპარსელები: თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, მარტო ხარჯს არ გვაკმარებენ, ჩვენი სამშობლო ქვეყნიდან დედაბუდიანად აგვირიან და ირანში გადაგვასახლებენ და გაგვთანტავენ. დაე, მარტო სიტყვად ნუ დარჩება ჩვენი ნათქვამი, არამედ საქმით დავამტკიცოთ ჩვენი გმირობა. დაე, ნუ აღიგვება მიწისაგან სახელი ლაზთა. ჩვენ არასოდეს გაგვჭირვებია სპარსელებთან ბრძოლა; ბევრჯერაც დაგვიმარცხებია ისინი ხელჩართულ შეტაკებაში. ჩვენ მივეჩვიერ მათზე გამარჯვებას, ხოლო მიჩვეულთათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვანაიდან საქმის სირთულე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით. დაე, გძულდეთ მტრები, გეხილოთ ისინი თქვენგანვე დამარცხებულნი და არა თქვენებრ აღფრთოვანებულნი. გახსოვდეთ, ლაზებო, ერთხელ დაცემული სიამაყე ვეღარასოდეს აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ყოველივე აწ თქმული მხედველობაში და კეთილი იმედით აღსავსენ მხნედ გავემართოთ მტერთა ჩვენთა დასამარცხებლად!“

„ნუ აღიგვება სახელი ლაზთა, კოლხთა!“ — იგრიალა ჯარმა.

და გუბაზ მეფემ უმალვე იერიშზე დასძრა ლაშქარი. ბიზანტიელებიც მიჰყვნენ. ხელჩართული ხოცვა-ჟლეტა სპარსელთა განადგურებით დამთავრდა.

ბოლოს, ქართველ მეფესა და მის ბიზანტიელ მოგავშირებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ლაშთა მეფე გუბაზი ამჩნევდა, რომ ბიზანტიელი სარდლები სპარსელებთან ბრძოლაში ლაზ-რობასა და უნიჭობას იჩენდნენ, ზოგჯერ ქართველებს კიდევაც ღალატობდნენ. გუბაზ მეფემ ამის შესახებ აცნობა კონსტანტი-ნოპოლის სასახლეს, მაშინდელ იმპერატორს იუსტინიანეს. ხოლო, სანამ იუსტინიანე კეისარი რაიმეს იღონებდა, მანამ მისმა სარდლებმა ეგრისში გუბაზ მეფეს შეთქმულება მოუწყვეს. შეთქმულებმა მეფე გუბაზი ხობისწყლის პირას მიიწვიეს, ვითომ-ცდა მოსალაპარაკებლად. გუბაზიც მივიდა, გულდანდობილად. არც ამალა ახლდა, არც იარაღი ესხა. უბელო ცხენზე იჯდა, წინ ფეხებმორთხმული. შვიდი ბიზანტიელი მიეგება მეფეს. ერთმა საუბარი გაუბა, მეორე მიეპარა და ზურგიდან მახვილი დასცა. გუბაზი ცხენიდან გადმოვარდა, მაინც წამოიწია და აღიმართა, მაგრამ საგულდაგულოდ გამზადებულმა მეორე მკვლელმა, ისევ ზურგიდან, ორივე ხელით მძლავრად დაჰკრა თავში მახვილი. ეგრის-ლაზეთის მეფე მკვდარი დაეცა. ეს მოხდა 554 წელს.

გუბაზ მეფის ვერაგულმა მკვლელობამ ეგრისელთა დიდი მდელვარება და გულისწყრომა გამოიწვია. საგანგებოდ შეყრილ სახალხო კრებაზე ბევრი ორატორი გამოვიდა, მაგრამ მათგან ყველაზე ძლიერი გამოჩნდა ორი — აიეტი და ფარტაზი.

აიეტმა მოდალატე ბიზანტიელებთან კავშირის გაწყვეტა და სპარსელების მხარეზე გადასვლა მოითხოვა; ამასთან დაკავშირებით იგი ამბობდა: „გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ვეღარასოდეს ვერ ვეღირსებით ძველებურად სხვებზე ვმბრძანებლობდეთ... მე ვინატრიდი, ჩვენი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონოდეს მისი ძველთამველი, სახელოვანი ძალმოსილება და უძლეველობა, რათა არასდროს დასჭირვებოდეს დახმარება უცხოთაგან და გარეშეთაგან. რათა ყოველ დროსა და ყოველ საქმეში, ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდეს! მაგრამ რაკი უამთა ბრუნვით და ბედისწერის უკულმართობით, ანდა ორივე უბედურების წყალობით, ისეთნაირ უძლურებაში ჩავიარდნილვართ, რომ სხვათა ქვეშევრდომობა აღარ აგვცდება, უჯობესია იმათთან ვიყოთ, ვინც ჩვენს მიმართ უფრორე კეთილსასურველად მოგვევლინება. ასეთები არიან

სწორედ სპარსელები, ჩვენთვის უფრო უმჯობესი, ვიდრე ვერა-
გი ბიზანტიიდნი... მაშ, კოლხებო, ნუდარ ვაყოვნებთ, ახლავ
სპარსელებს შევუკავშირდეთ და ბიზანტიიდნებს მტრობისათვის
მტრობით მივუზღოთ!“

ფარტაზი წინააღმდეგა აიეტის მოწოდებას და ხალხსაც თვი-
თონ მოუწოდა არ აჰყოლოდნენ მღელვარე გულისთქმას, გო-
ნიერებით განესაჯათ და ისე გადაეწყვიტათ: ერთმორწმუნე ბი-
ზანტიასთან კავშირი კი არ უნდა გავწყვიტოთ და სპარსელებს
მივემხროთ, არამედ ჩვენი მეფის მხეცური მკვლელობის ამბა-
ვი იმპერატორს ვაცნობოთ და მკვლელების დასჯა მოვითხო-
ვოთო.

ფარტაზის აზრი სახალხო კრებამ მიიღო. იმპერატორი იუ-
სტინიანე ქართველების მკაცრ მოთხოვნას ვეღარ გაექცა და
გუბაზ მეფის მკვლელები მკაცრად დასჯა.

არაპეტი და ქართველები

ხანგრძლივი, თავგანწირული ბრძოლების შემდგომ ქართვე-
ლებმა სძლიეს ირანელთა და ბიზანტიილთა მიმდლავრებანი,
მაგრამ VII საუკუნეში სამხრეთიდან ახალი დიდი, მსოფლიო
დამპყრობელნი გამოუჩნდნენ წამებულ ქვეყანას. ესენი იყვნენ
არაბები.

საქართველო ისევ დაშლილი და დაჭუცმაცებული ხვდე-
ბოდა ახალ მძვინვარე მტერს.

640 წელს არაბებმა სომხეთი დაიპყრეს. ორი წლის შემდ-
გომ არარატის ვალიდან სამ ნაკადად წამოემართნენ. ქართვე-
ლებიც სამწილად დაუხვდნენ. სამგანვე სძლიეს და გააქციეს.
ეს აქამდე „დაუმარცხებელ და უძლეველ არაბთა“ პირველი დი-
დი დამარცხება იყო.

654 წელს მეორედ წამოემართა საქართველოსკენ არაბთა უთ-
ვალავი მხედრობა. ქართველებმა ამჯერად ხარკის გადახდა იკის-
რეს და სისხლისღვრა თავიდან აიცდინეს.

ორი წლის შემდგომ ქართველებმა არაბებს ხარკის ძლევა
ტეუწყვიტეს. ქართველებს სომხებმა და ალბანელებმა მიბაძეს.

მაშინ კვლავ დაიძრა ამიერკავკასიისაკენ არაბული მხედ-
რობა. ოცი წელიწადი გაგრძელდა სისხლიანი ხმალთავეთება-

ნო. 686 წელს სომხები აუჯანყდნენ არაბებს. სომხებს ქართველები მიემველნენ, ნერსეს სარდლობით. ქალაქ დვინთან გამართულ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და გააქციეს არაბი.

735 წელს მურვან სარდალი შემოუძღვა უზარმაზარ არაბულ ლაშქარს. გაუგონარი სისასტიკით და მძვინვარებით მოედვნენ დამპყრობელნი ამიერკავკასიის სოფლებს და ქალაქებს. ქართველებმა მურვანს, სისასტიკისთვის, შეარქვეს „ყრუ“.

სომხეთის, ქართლისა და მესხეთის აოხრების შემდეგ, ზეკარის გზით, დასავლეთ საქართველოსაკენ წამოემართა მურვან ყრუ.

ფერსათის მთაზე, ხანისწყალზე ჩამოსასვლელთან, არაბთა მეწინავე მხედრობას წინ გადაეღია ქართველთა ჯარი, რომელსაც არგვეთის მთავრები, მმები დავით და კონსტანტინე მხეთძეები მიუძღვდნენ. ქართველებმა სასტიკი ხმალთაკვეთებით მტერი დაამარცხეს, „აოტნეს, განაბნინეს და ურიცხვი მოსრუეს“.

გამძინვარებულმა მურვან ყრუმ მთელი ძალები დასძრა, „ვითარცა ქვიშაი სიმრავლითა“. მოედნენ არაბები იმერეთს ცეცხლითა და მახვილით.

დავითი და კონსტანტინე თარეშული („პარტიზანული“) ბრძოლის გზას დაადგნენ. მტერს უსაფრდებოდნენ და მოულოდნელი, მფრინავი თავდასხმებით ავიწროებდნენ და აჩანაგებდნენ. მერე, რომელიდაც ხევში არაბები გარს შემოერტყნენ ერთ მუჭა გმირებს. ქართველებმა ხმლები იშიშვლეს, ქარქაშები დალეწეს და მტერს შეებნენ. ბევრი დამპყრობელის სისხლი დაიქცა, მაგრამ აღესრულა მურვან ყრუს ბრძანება: დავითი და კონსტანტინე ცოცხლად შეიძყრეს და ქუთაისში მდგარ არაბთა სარდალს მიჰვარეს. მურვანის ბრძანებით, მმები სასტიკად აწამეს და დილეგში ჩაჰყარეს. ათი ღღე-ღამე მშიერ-მწყურვალნი ეყარნენ. მერე შეუთვალა არაბთა ბრძანებულმა სიკვდილის პირზე მიყენებულ გმირებს: მე პატივს ვცემ თქვენს ვაჟეაცობას და გთავაზობთ უარი თქვათ ქრისტიანობაზე და სანაცვლოდ მიიღოთ მაპმადიანობა; თუ ასე მოიქცევით, მოგიძლვნით დიდ პატივს, საჩუქრებს და თანამდებობებს, ხოლო თუ არ შეისმენთ, სასტიკი წამებით სიკვდილი არ აგცდებათო.

მაშინ კი უფოფმანოდ უპასუხეს გმირებმა: არ არსებობს ძალა,
რომელიც, ხელს აგვაღებინებს ჩვენს რჯულზე და ქართველო-
ბაზე; ჩვენ მზად ვართ, ჩვენი ქვეყნისათვის თავი მივცეთ შიშ-
შილს, წილურვილს, ცეცხლსა და წყალს, ლახვარს და ხმალსო.

გაცოდებულმა მურვან ყრუმ ჯალათები მიუსია დავითსა და
კონსტანტინეს. მდინარე რიონის პირას ხეზე დაჰკიდეს და მძი-
მე ხელა ტებით სიკვდილამდე სცემეს; მერე ჩამოხსნეს, ხელ-
ფეხი შეაკოჭეს, კისერზე შძიმე ქვის ლოდები დაჰკიდეს და
მდინარეში გადაჰყარეს.

იმ და უსვე მურვანმა არაბთა ბანაკი აჰყარა და ქუთაისიდან
დასავლე, ისაკენ გაეშურა. სამეგრელოსა და აფხაზეთში არა-
ბებს ქართველებმა სასტიკი ბრძოლები გაუმართეს. მურვან
ყრუმ საქართველოდან ფეხი ამოიკვეთა.

ქართველებმა დავითი და კონსტანტინე მდინარიდან ამოას-
ვენეს და მდინარე წყალწითელას ხევში ღრმად ჩაჭრილ კლდო-
ვან ყელზე დაკრძალეს. მერე აქ, გმირთა სახელზე დიდებული
ტაძარი აღმართეს და „მოწამეთა“ უწოდეს.

კულტურის კატალოგი

უცხოელ დამპყრობლებთან თავგანწირული ბრძოლების გა-
სწვრივ, ქართველები არ წყვეტდნენ დიდსა და მრავალფეროვან
კულტურულ საქმიანობას.

ქართველები ისევ ბრწყინვდნენ უცხოეთის კულტურულ
ასპარეზზე. V საუკუნეში ბიზანტიის იმპერიასა და ახლო აღ-
მოსავლეთში სახელი გაითქვეს საეკლესიო მოღვაწეებმა და
ფილოსოფოსებმა — პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა. განსაკუთ-
რებული პოპულარობით სარგებლობდა პეტრე იბერი, პალესტი-
ნის ტაძართა მაშენებელი და მაიუმ-ლაზას მთავარეპისკოპოსი.
იგი იყო ავტორი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კორპუსებისა,
რომლებიც საფუძვლად დაედო შემდგომდროინდელი კაცობრი-
ობის გრანდიოზულ კულტურულ მოვლენებს — რენესანსსა და
ჰუმანიზმს. პეტრე იბერს თანამედროვე და შემდგომდროინდელი
მწერლები და მოაზროვნენი ასეთი ტიტულებით ამკობდნენ:
„მთელს მსოფლიოში საკვირველად სახელგანსმენილი ადამია-
ნი“, „მფლობელი ზეციურ განძთა“, „გული, აზრი და ქცევა

მისი – „უცილობელი ყველა დროისათვის“, „მართალი რწმუნის შუქურა-სვეტი“, „მშვენება და დიდება საქართველოსი“, „ყველასათვის ძვირფასი“, „მეოხე მთელი ქვეყნისა“, „კედელი მთელი დედამიწისა“, „ნიმუში ყოველი სიკეთისა და ვაჟაცური ცხოვრებისა“, „სამკაული და სიქაღული ქართველთა“.

საქართველოში დაიწერა შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლები: V საუკუნეში – იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, VIII საუკუნეში – იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამება“, X საუკუნეში – გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, სტეფანე მტბევარის „გობრონის წამება“, იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

აშენდა შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლები: მცხეთის სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი, თბილისის სიონი და მეტეხი, ბოლნისი, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, პარეხი, ბერთა, მინძაძორი, წყაროსთავი, ანჩი, იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი, ბანა, კალმახი, ტბეთი, აწყური, საფარა, ზარზმა, თმოგვი, კუმურდო, კაცხი, მარტვილი, წალენჯიხა, ხობი, მოქვი, ბედია.

დიდებულ კულტურულ ცენტრებად და ძეგლებად აღიმართნენ ქართული სავანეები საზღვარგარეთ – პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე, ათონის მთაზე.

საქართველო X საუკუნეები

არაბებთან ბრძოლის ხანგრძლივ პროცესში, საქართველოში ოთხი სამეფო-სამთავრო ჩამოყალიბდა: კახეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი და აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო). ყოველი მათგანი ერთდროულად იბრძოდა უცხოელთა უდლის დასამხობადაც და საქართველოში „ჰეგემონობისთვისაც“.

არაბებმა 914 წელს უკანასკნელად ილაშქრეს საქართველოში. ქვეყანა გათავისუფლდა უცხოელთაგან. მხოლოდ თბილისში რჩებოდა ჯერ ისევ არაბი ამირა.

საქართველო „ახლად-შენების“, აღზევებისა და ხელახალა ბაერთიანების გზაზე იდგა. კვლავ იზრდება ქართველთა როლი საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიაში. სამართლიანად წერს ცნობილი გერმანელი ისტორიკო-

სი გელცერი: ქართველები და სომხები X საუკუნის დასაწყისიდანვე „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ რომის იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭ-ირათ იგი“; ხოლო, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიის „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა უკლებლივ ქართველებსა და სომხებს ეჭირათ“.

ასეთ „მსოფლიო მოღვაწეებს“ მაშინ განსაკუთრებით სამხრეთი საქართველო – ტაო-კლარჯეთი ზრდიდა. ტაო-კლარჯეთს იმ ხანად სათავეში ედგა დიდი ხელმწიფე და მამულიშვილი, დავით III კურაპალატი (961–1001), კაცი „სავსე ყოვლითა კეთილითა“. მის შესახებ სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონელი წერდა: „დავით დიდი კურაპალატი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესივრობა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში. მან ბოლო მოუღო ომებს, რომლებიც განუწყვეტლივ ფეთქდებოდნენ ყოველის მხრიდან და გაიმარჯვა გარშემო მყოფ ყველა ხალხზე. ასე რომ ყველა ხელმწიფე თავისი ნებით დაემორჩილა დავითს“.

ქართველთა მეფე ბიზანტიის საშინაო საქმეებშიც ერეოდა ფრიად აქტიურად. 979 წელს ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორს – ბასილის ტახტის წართმევა დაუპირა აჯანყებულმა ფეოდალმა ბარდა სკლიაროსმა. იმპერიის მესვეურებმა დახმარება ქართველ მეფეს სთხოვეს. დავითმა 12000 მეომარი გაგზავნა სახელოვანი სარდლის (იმჟამად ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწის) თორნიკე ერისთავის მეთაურობით. მდინარე ჰალისის (ყიზილ-ირმაკი) პირას გამართულ ბრძოლაში ქართველებმა გაანადგურეს სკლიაროსი და მისი ჯარები. ბასილი იმპერატორმა, დახმარებისა და დახსნისათვის, საქართველოს მისცა ტერიტორიები: კარინი (ერზერუმი), ბასიანი, ჰარქი, აპაჰუნიქი, ხალდო-არიჭის ციხე, სევუკის ციხე, კლისურას ციხე (ერზრუმ-ტრაპიზონის გზაზე).

ას შემდეგ დავით მეფემ იღაშერა სამხრეთით, ვანის ტბა-

სთან აიღო ქალაქები მანასკერტი და ხდათი, განდევნა არაპება და მათ ნაცელად ჩაასახლა ქართველები და სომხები.

საპასუხოდ ირანელმა ამირებმა ასი ათასიანი არმია გამოგზავნეს საქართველოსკენ. 998 წელს გამართულ ბრძოლაში ქართველებმა გაბრიელ ოჩოპინტრის ძისა და ფერის ჯოჯიკის ძის სარდლობით სახტიკად დაამარცხეს. არაბთა მხედრობა.

დავით მესამის მთავარი საზრუნავი მაინც საქართველოს გაერთიანება იყო. სწორედ დავითის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად, ახალი საუკუნის დამდეგს, 1001 წელს, ახლად გაერთიანებული საქართველოს ტახტზე უკვე იჯდა მისი მემკვიდრე ბაგრატ III (საქართველოს „მესამე გაერთიანება“).

საქართველო XI საუკუნეები

საქართველოს გაერთიანება და მტკიცედ ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნა ხელს არ აძლევდა არც გარეშე მტრებს და არც შინაურ თავკერძა ფეოდალებს. XI საუკუნის ყველა ქართველ მეფეს – ბაგრატ III (1001–1014), გიორგი I (1014–1027), ბაგრატ IV (1027–1072) და გიორგი II (1072–1089) – მძიმე ბრძოლების გადახდა უხდებოდათ ბიზანტიასთან, განდის ამირასთან და თურქ-სელჩუკებთან.

1021 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი მეორემ ლევინები შემოუსია სამხრეთ საქართველოს. მეფე გიორგი პირველმა პირველ შეტაკებაში დაამარცხა იმპერატორი, მაგრამ შემდგომ, გადამწყვეტ ბრძოლაში, ქართველები დაამარცხდნენ და სამხრეთ-დასავლეთის ქართული ოლქი – ტაო, ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში მოექცა.

მეფე ბაგრატ მეოთხემ რამდენჯერმე სცადა თბილისის გათვისუფლება უცხოელთა უდლისაგან, მაგრამ ეს ყოველთვის ჩაუშალა კლდეკარის ძლიერმა ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშვა. 1045 წელს დიდი სომხური ქალაქის, ანისის მესვეურებმა ბაგრატ მეოთხეს მათი ქალაქის პატრონობა შემოსთავაზეს. ქართველმა მეფემ ანისი მიიღო და შიგ თავისი გარნიზონი ჩააყენა.

XI საუკუნის 60-იან წლებში ამიერკავკასიის ქრისტიანულ სამყაროზე სამხრეთიდან ახალი ძლიერი მტრები იწყებენ შე-

მოსევებს. ესენი იყვნენ თურქ-სელჩუკები. მათ ჯერ დაიპყრეს სომხეთი, ხოლო იქიდან, 1065 წელს, საქართველოში შემოიჭრენ და ახალქალაქი აიღეს; მეორედ, 1068 წელს, კახეთ-ჰერეთი დალაშქრეს. ქართველთა მარცხმა გაათამამა განძის ამირა ფადლონი და ახლა ისიც შემოიჭრა საქართველოში 33000 მეომრით. ქართველები დაუხვდნენ მტერს, სასტიკად გაანადგურეს და თვითონ ფადლონმა ძლივს უშველა თავს (1069 წ.). მომდევნო წელს თვითონ ქართველები დაეუფლნენ განძას.

1071 წელს კონსტანტინოპოლში, ბიზანტიის საიმპერატორ ტახტზე ავიდა მიხეილ VII დუკა პარაპინაკი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ქართველი მეფის, ბაგრატ მეოთხის ასული მართა, ანუ მარიამი. ქართველი ქალი მსოფლიო იმპერიის ბასილიდა-დედოფალი, უბადლო ყოფილა სულიერი სისპეტაკით და სხეულებრივი სიმშვენიერით. ამის შესახებ წერს მიქელ პსელოსი, გამოჩენილი ფილოსოფოსი, მრავალმხრივი მეცნიერი და პოლიტიკოსი:

„რომ დედოფლის ქება არ გამომივიდეს მისი გვარიშვილბის გამო, — რომელიც სიმდიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება — მის საქებრად მარტო მისი ხასიათი კმარა, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე, მისი სახის სიმშვენიერებე; თუკი ქალისთვის დუმილი სამკაულია, იყო მარიამისთვის ყოველგვარ სამკაულზე უპატივესი იყო, რადგან არავის სხვას, გარდა თავისი ქმრისა, ენას არ გააცნობდა, და თავისთავადაც უფრო ღამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო“.

ასევე, მარიამზე წერდა მისი უახლოესი ადამიანი, შესანიშნავი ისტორიკოსი ქალი, ანა კომნენე:

„მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, ოქარი როგორც თოვლი, პირისახე ჰქონდა არცთუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით ალისფრად გაფურჩქვნილი. ახლა თვალების ბრწყინვალებას აღარ იკითხავთ? ვის შეუძლია ამის აღწერა? წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები ცისფერი. მხატვრის ხელი ხშირად გადმოგვცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფერობას, რომლებითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დრო; მაგრამ დედოფლის სილამაზე და მისი მომა-

ჯადოვებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სათნოება — ყველაფერი. ეს აღემატება ფერწერასა და ხელოვნებას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია მარიამის მსგავსი რამ ქანდაკება. ამბობენ, გორგონას თავი ქვებად აქცევდა ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც მას შეხედვას შებედავდა; ხოლო, ვინც შემთხვევით დაინახავდა მარიამ დედოფალს; — როცა იგი სეირნობდა ან უცაბედად სადმე შეხვდებოდა — საზღვარი არ ჰქონდა მის განციფრებას, — ის გაქვავებული რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდებოდა მას, — თითქოს წართმეოდა სულიც და გონებაც. ასეთი თანაზომიერება ასოთა და ნაკვთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არასდროს არავის არ უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით ჰიმეროსი (სურვილი და სიყვარული), რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე“.

1074 წელს თურქ-სელჩუკთა ახალი უზარმაზარი მხედრობა შემოესია საქართველოს, მაშინდელი მეფე, გიორგი მეორე გაეგება ქართველთა ჯარით. ბრძოლა მოხდა მდინარე ალგეთის ხეობაში, სოფელ ფარცხისთან. ქართველებმა მტერი მძიმედ დაამარცხეს და განდევნება.

იმავე წელს გიორგი მეფეს ეწვია გრიგოლ ბაკურიანისძე, სახელგანთქმული ქართველი სარდალი და პოლიტიკოსი ბიზანტიის იმპერიისა, დასავლეთის დიდი ღომესტიკოსი (მთავარსარდალი), შემდგომში პეტრიწონის (ბაჩკოვი, ბულგარეთი) ქართული სავანის დამაარსებელი. გრიგოლ ბაკურიანისძეს ბიზანტიის იმპერიატორისგან ნაბომები ჰქონდა: ოლთისნი, კარნუ-ქალაქი (ერზერუმი) და კარი (ყარსი). და გრიგოლმა „მოსაც გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეანა“.

მაგრამ კვლავ გამძლავრდნენ თურქ-სელჩუკიანნი. მათ დაიპყრეს სრულიად შუა და მცირე აზია. ბიზანტიას წაართვეს აღმოსავლეთი და ცენტრალური ანატოლია. 1079 წელს თურქთა მხედრობამ კარიც (ყარსი) დაიჭირა და ტაო-კლარჯეთსაც შემოესია. მეფე გიორგი მეორე დამარცხდა და უკუიქცა.

მომდევნო 1080 წელს სეღმიუბი ახალი, უკიდურესი ხი-
სასტიკით შემოხივნენ საქართველოს. ისინი „მოეფინნეს
პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივა-
ნობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშე-
თი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქი და ჭყონ-
დიდი აღივსო თურქითა“. ამ შემოსევას ქართველმა ხალხმა
უწოდა „პირველი დიდი თურქობა“. ამიერიდან ყოველ გაზაფ-
ხულს მეორდებოდა „დიდი თურქობა“.

საქართველო საშინელ აღნიას მისცემოდა. ბუნებაც თი-
თქოს შემოსწყრა ადამიანთაგან დაქცეულ ქვეყანას და 1088
წელს საშინელმა, მანამდე გაუგონარმა მიწისძვრებში დაანგ-
რია საქართველო.

სასოწარკვეთილმა გიორგი მეორემ 1089 წელს სამეფო რე-
გალიები მოიხსნა და გადასცა თავის 16 წლის ძეს — დავითს.

კულტურის კატალოგი

ასე მძიმედ, სისხლიანად ჩათავდა XI საუკუნე. ამ საუკუ-
ნეში ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს 18 დიდი
ბრძოლა; აქედან — მოიგეს 11, წააგეს — 7. მაგრამ მაინც
ხშირად ყოფნა-არყოფნის სასწორზე ეცემოდა ქართველი
ხალხი.

და მაინც ეგზომი სისხლთათხევის ხანაშიც დიდი კულტუ-
რის შემოქმედად რჩებოდა ქართველი კაცი, ხელითაც და გო-
ნებითაც. სწორედ XI ასწლეულში აღიმართნენ დიდებული
ნივთიერი ძეგლები, ტაძრები, სავანები: ალავერდი — კახეთში,
ბაგრატოვანი — ქუთაისში, ზარზმა — მესხეთში, სამთავისი —
ქართლში, სამთავრო — მცხეთაში (განახლებული), ბედია —
სამეგრელოში, ნიკორწმინდა — რაჭაში, კაცხი — არგვეთში.
შესანიშნავმა ქართველმა ხუროთმოძღვარმა არსუკისძემ მო-
ახდინა მცხეთის სვეტიცხოვლის სრული რეკონსტრუქცია
(„მესამე გარდასახვა“ სვეტიცხოვლისა).

ამავე საუკუნეში ისევ მძლავრობდა ქართული კულტურუ-
ლი სული საქართველოს გარეთ: კონსტანტინოპოლიში, ათონის
მთაზე, პეტრიწონში, შავ მთაზე, პალესტინაში, სინას მთაზე.
ითარგმნებოდა ბერძნულიდან ქართულად. სწარმოებდა დაუცხ-
რომელი რკვევანი, კომენტარები, ორიგინალური თვალთახედ-

ვანი და განსჯანი: ფილოსოფიაში, თეოლოგიაში, ფილოლო-
გიაში, იურისპრუდენციაში, ისტორიაში. XI საუკუნეს განეკუთ-
ვნებიან გამოჩენილი ქართველი კულტურული მოღვაწენი,
მწერალნი, მეცნიერნი: იოანე მთაწმინდელი, ეფთვიმე მთა-
წმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტ-
რიში. იმავე უამს უცხოეთის პოლიტიკური ცხოვრების სარ-
ბიელზე ბრწყინავდნენ: თორნიკე II პროტოსპათერი, ელადის
სტრატეგოსი; ფარსმან იბერი, იერაპოლისის ციხიონის უფ-
როსი; მართა-მარიამ, დედოფალი ბიზანტიისა; გრიგოლ ბა-
კურიანისძე, დასავლეთის დიდი დომესტიკოსი, პეტრიცონის
სემინარიისა და სავანის დამარსებელი; აბაზ ბაკურიანისძე,
გრიგოლის ძმა, აღმოსავლეთის დიდი მავისტროსი.

დავით აღმაშენებელი და მისი დრო

როგორც უკვე ითქვა, 1089 წელს სამეფო ტახტზე ავიდა
გიორგი მეორის 16 წლის ვაჟი, ქართველ ხელმწიფეთა შორის
ყველაზე დიდი და ღირსეული ხელმწიფე — დავით მეოთხე,
როგორც დიდი სახელმწიფობრივი და კულტურული მო-
ღვაწეობისათვის ხალხმა უწოდა „აღმაშენებელი“.

დიდის ენერგიითა და ორგანიზებულობით შეუდგა ჭაბუკი
მეფე ქვეყნის აღორძინებისა და ამაღლების საქმეს. სასწრა-
ფოდ შემოიყარა ყოველი თანამემამულე, რომელსაც ქვეყნის
საკოთილდღეოდ ჯერ კიდევ გული უცემდა და „პირში სული
ედგა“. დღე და ღამე სჭედდნენ საჭურველს, იჭურვებოდნენ,
იწრთვნებოდნენ. გადიოდნენ მხედრულ რაზმეულებად. თარე-
შობდნენ მოთარეშე მტრებზე. ხალხი გამოჰყავდათ სამალავე-
ბიდან და სახიზარებიდან, ამხნევებდნენ, საომარ და სამეურ-
ნეო სულს უბრუნებდნენ, ასახლებდნენ, ამკვიდრებდნენ, მამა-
პაპულ გუთანს აჩვევდნენ და თვითონაც გუთნისდედობდნენ.

დავით მეფემ სასტიკად დათრგუნა შინაფეოდალური თვით-
ნებობა და ანარქია. ყველაზე თავგასულნი, მსგავსი ლიპარიტ
კლდეკარელისა და ძაგან არაგვის ერისთავისა, ან საპატიმრო-
ში ჩაჰურა, ან საქართველოდან გააძევა და მათი საერისთა-
ვოები თვითონ, საკუთრად დაიჭირა. ასევე, საგანგებოდ მო-
წვეულ საეკლესიო კრებაზე (რუს-ურბნისის საეკლესიო კრე-
ბა, 1103 წ.) მეფემ დააქვეითა მემკვიდრეობით და გვარიშვი-

ლობით დაწინაურებული და სიმდიდრით გაზუღუქებული სა-
 ეჭლესით არის **ტოკრატია** და მათ ნაცვლად დააწინაურა პირა-
 დი ღირსებებითა და სამამულიშვილო დამსახურებით გამო-
 რჩეული ადამიანები.

იმავე ხანებში დავით აღმაშენებელმა ცალკეული რეფორ-
 მატორული გარდაქმნებით საბოლოოდ ჩამოაყალიბა მტკიცედ
 ფორმირებული უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა — საკაზი-
 რო, რომელიც მთლიანად ექვემდებარებოდა თვითონ მეფეს.
 სავაზირო შედგებოდა რვა ვაზირისაგან:

1. მწიგნობართუხუცესი, იგივე პირველი ვეზირი („პრე-
 მიერ-მინისტრი“), მეფის ყველაზე ახლობელი პირი, „ვითარ-
 ცა მამა“. არა საქმე მის გარეშე სავაზიროში არ გადაწყდებო-
 და. იგი იყო აგრეთვე უზენაესი მოსამართლე, უმაღლესი „მა-
 როლმსაჯული“. იგივე, ვითარცა ჭყონდიდელი (ჭყონდიდის
 ეპისკოპოსი) განაგებდა რელიგიურ საქმეებსაც. მასვე ეკითხე-
 ბოდა მოაჯეთა ყოველი თხოვნის, საჩივრისა და მატერიალუ-
 რად თუ სულიერად გაკითხვა-განჩინების საქმენი. საჩივართა
 და საოხოვართა გასარჩევად მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს
 დანიშნული ჰქონდა ყოველი ორშაბათი.

2. მანდატურთუხუცესი, შინაგან საქმეთა ვაზირი. მას
 ემორჩილებოდა მთელი საპოლიციო სამსახური და დავითის-
 გან ახლად შემოღებული მსტოვართა (მზვერავთა) მრავალ-
 რიცხოვანი, მტკიცე ორგანიზაცია.

3. ამირსპასალარი, სამხედრო საქმეთა ვაზირი და სარდალი.

4. მეჭურჭლეთუხუცესი, ფინანსთა გამგე-ვაზირი.

5. მსახურთუხუცესი, სამეფო სასახლის კარის შინა სამ-
 სახურთა გამგე-ვაზირი.

6. ამირახორი, ამირსპასალარის პირველი თანაშემწე, უმც-
 როსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

7. მეჯინიბეთუხუცესი, ამირსპასალარის თანაშემწე, უმც-
 როსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

8. ჩუხჩარხი, მეფის პირადი სპასპეტი და მეაბჯრეთუხუ-
 ცესი, „მონა-სპის“ („გვარდია“) უფროსი, უმცროსი ვაზირი,
 სათათბირო ხმით.

მეფის კურთხევის დროს სავაზირო ასეთი განრიგებით და-
 წყობოდა: საზეიმო პროცესიას წინ მიუძღვოდა მანდატურთ-

უხუცესი, ხელში სამახდატურო ოქროს არგანით; შემდგომ მოდიდა თვითონ მეფე; მეფის მარჯვნივ — ამირსპასალარი, რომელსაც ორივე ხელზე ეტვირთა სამეფო ხმალი. ამირსპასალარს თავის მხრივ მოჰყვებოდნენ მისი თანაშემწენი — ამირახორი და მეჯინიბეთუხუცესი; მარცხენა მხრიდან მეფეს მოაცილებდნენ მწიგნობართუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი, ხოლო, უკან მეფეს მოჰყვებოდა ჩუხჩარხი-მეაბჯრეთუხუცესი, დატვირთული სამეფო ფარით, ლახტით და ქარქაშით.

დავით აღმაშენებელმა შექმნა ახალი საომარი განწესრიგება. რაკი ფეოდალური სამართალი ფეოდალის საკუთრებას იცავდა, რომ ყმა-მეომარიც მას ეკუთვნოდა და არა მეფეს, ამდენად მეფე, რომელსაც საკუთარი ყმა-მეომარი დიდ საომარ გეგმათა განსახორციელებლად არ ყოფნიდა, მაინცდამაინც ქვეშევრდომ ფეოდალებზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ამიტომ დავითმა ჩრდილოეთიდან საქართველოში გადმოასახლა 40 ათასი ყივჩაყის ოჯახი, სულ დაახლოებით 200 ათასი სული, და აქედან შექმნა და საომრად გაწროვნა 40 000 მხედარი. ამას გარდა, დავითს საკუთარ სამეფო ყმათაგან, სულ 5 000 კაცით, ჰყავდა „მონა-სპა“ („გვარდია“), რომელიც იცავდა თვითონ მეფეს.

დავითმა სელჩუკიანთა სულტანს ხარკის ძლევა შეუწყიტა; შეტევაზე გადავიდა და ზედიზედ გაათავისუფლა ქართული ციხესიმაგრენი უცხოელთაგან. სამოცამდე დიდი და მცირე ბრძოლა ყველა ძლევამოსილად განასრულდა დავით მეფემ. მაგრამ ამათგან ყველაზე გრანდიოზული მაინც დიდგორს მომხდარი ბრძოლა იყო. აქ, 1121 წლის 12 ავგისტოს, დავითმა 56 000 მეომრით სასტიკად გაანადგურა ნახევარმილიონიანი მუსლიმური მხედრობა (სომეხი მათე ურპაელი მოითვლის 560 000 მუსლიმ მეომარს, ფრანგი გოტიე კი უფრო მეტსაც — 600 000 მეომარს).

მომდევნო 1122 წლის დამდეგს დავით აღმაშენებელმა ოთხასწლოვანი უცხოური ბატონობისეან გაათავისუფლა თბილისი. აწ სრულად გათავისუფლებული და გაერთიანებული საქართველოს რეზიდენცია დავით აღმაშენებელმა ჟუთასი-დან კვლავ გადმოიტანა თბილისში (საქართველოს „მეოთხე გაერთიანება“).

დიდი ქართველი ხელმწიფე მარტო ქართული შეწების შემკრება-გაერთიანებით არ დაკმაყოფილებულა. მან ზედიზედ იღაშერა შირვანს, დაიჭირა შემახა, შაბურანი, დარუბანდი და კასპიის ზღვაზე გაიტანა თავისი სამფლობელო სამანები. ამავე დროს, თვითონ სომებთა თხოვნით, დაიჭირა ანისი, ვანანდი, არარატი, ხაბანდი და არცახი.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებლის მოთავეობით წარმოებული თცწლიანი ომები დიდი შედეგებით განესრულა. ქართველი ხალხის წინამდლოლობით შეიქმნა კავკასიელ („იმიერ“ და „ამიერ“) ხალხთა ერთიანი მძლავრი სახელმწიფო, გაშლილი „ნიკოფიითგან“ (ტუაპსე) დარუბანდამდის (დერბენტი) და ოვხეთიდან (ჩრდილო თხეთი) არეგაწამდე (სამხრეთ სომხეთი)“.

თვითონ, პიროვნულად იყო დავით აღმაშენებელი მძლავრი სულითაც, სხეულითაც, ტანად გოლიათი, სახით სახიერი. მთელი სიცოცხლის მანძილზე განუყრელად ხელთ ეპყრა ხმალიც და წიგნიც. წიგნები „იყვნეს მისა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ: იგინი შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ“. წიგნს კითხულობდა გზად მიმავალი, ამხედრებული, ნადირობის თუ ნადიმობის ჟამს. წიგნებით დატვირთული ჯორები, ცხენები და აქლემები მისდევდნენ ბრძოლად მიმავალს. უყვარდა წაკითხულის განსჯა, რკვევა და კამათი. უბრწყინვალესად იცოდა მრავალი ენა, იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურა, სახულიეროც, საეროც, წარმართულიც, ქრისტიანულიც, მაჰმადიანურიც. ვითარცა ისლამის დიდი მცოდნე ქრისტიანი ხელმწიფე, განძაში ერთ სწავლულ ყალს ყურანის წარმოშობაზე ეკამათებოდა. ასევე დიდებულად იცნობდა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებს, განსაკუთრებით ისტორიას, ფილოსოფიას. ასტრონომიას და პოეზიას. თვითონვე იყო მემატიანეც, სიბრძნისმეტყვალიც, ვარსკვლავომრიცხველიც და პოეტიც (ამის ნათელი საბუთია მისივე უკვდავი პოეტური ნაწარმოები – „გალობანი სინაულისანი“ – ძველი ქართული ლიტერატურის მარგალიტი, დღეს მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი). ისტორიის ხაგანიც სწორედ ისე ესმოდა, როგორც ანტიკური დროის მოაზროვნებს – „ისტორია ცხოვრების მასწავლებელიაო“.

დავითიც მთელ თავის დაუცხრომელ მოღვაწეობაში სწორედ იმას ცდილობდა, რომ „გარდასრულთა შემსგავსი მომავალი“ განეჭვრიტა, კაცობრიობის საისტორიო გამოცდილებით თავისი ხალხის წარსული შეეფასებინა და მომავალი სწორი გზით წარემართა.

* ასეთ ვონებავრცელსა და განსწავლულ გვირგვინოსანს მართლაც შეეძლო ისეთი გაოცებისა და აღტაცების გამოწვევა, რასაც იგი თავისი მაღალნიჭიერი წიტყვებით ახდენდა ამათუიძ საეკლესიო ოუ საფილოსოფიო შეკრებებზე.

დავით აღმაშენებლის ზემაღალი კულტურული მოღვაწეობის სიმბოლო შეიქნა მისგანვე აშენებული გელათის სავანე. მისი მშენებლობა დაიწყო 1106 წელს, დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მახლობლად, „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსაც შინა ვითარცა მეორე ცაი გარდაართხა ტაძარი... აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნელთა, რომელი ზეშთა ჰმატებს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთითა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნელობისა შეუსწორებლობითა“.

განათლებულსა და განმანათლებელ გვირგვინოსანს კარგად სცოდნია, რომ საერთოდ რელიგიას არასდროს არ შეეძლო „თავი დაედწია“ მეცნიერებისაგან და ჩინური კედლით გამოჰყოფოდა მას. თეოლოგია და თეოსოფია, ნებით თუ უნებურად, ზედმეტნაკლები სისუსტითა და სიმტკიცით მაინც ფილოსოფიის ჭიპზე იყო მიბმული. ამიტომაც ყველა დიდ საქრისტიანო-სატაძრო-სასულიერო სავანეებთან საერო-სამეცნიერო-სახელოვნებო სავანეებიც არსებობდნენ. მით უფრო საქართველოში, საღაც ყოველთვის უცხო იყო ბნელთაბნელი ევროპული ინკვიზიციისა და სამარცხვინო „კანოსაში წასვლის“ რანგში აყვანილი ფანატიზმი, შეუძლებელი იქნებოდა, ყოველი „მეორე იერუსალიმის“ (რელიგიური ცენტრი) გვერდით „მეორე ათინა“ (სამეცნიერო-სახელოვნებო ცენტრი) არ ყოფილიყო. მთავარიც სწორედ ეს იყო: დავითმა გელათში ერთდროულად მთავარი ტაძარიც აღაშენა და სამეცნიერო აკადემიაც. დავითის ღვაწლით გელათი „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძუ-

ღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსაა”.

მეფე თვითონ იყო ტაძრისა და აკადემიის მთავარი ხუროთ-მოძღვარიც, უპირველესი ქვისოსტატიც და ოფლადდაღვრილი ქვათამტვირთველიც.

მთავარი ტაძრისა და აკადემიის გარდა, გელათურ ანსამბლოვანში შედიოდა კიდევ ერთი ნაგებობა, ნაშენები დავითისაგან. ეს იყო ქსენონი, სამკურნალო-საავადმყოფო (გნებავთ — „კლინიკა“) სნეულთა და დავრდომილთათვის.

დღი კულტურის ცენტრად იქცა გელათი. დავითმა აქ „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათხოებითა“. მეფეს გელათში სამოღვაწოდ მოჰყავდა არა მარტო ქართულ „სამეფოთა შინა პოვნილნი“ კულტუროსანნი, არამედ სადაც კი საქართველოს გარეთ პატიოსნებით, ნიჭიერებითა და ღვაწლმოსილებით სახელმოხვეჭილი ქართველი შეიგულა, სუყველა „მოიყვანნა და დაამკვიდრნა“ გელათს.

საკმარისია ითქვას: დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწოდ მოიყვანა და „დაამკვიდრა“ გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები და მოაზროვნენი — იოანე პეტრიწი და არსენი (შემდგომში — იყალთოელი). რამდენიმე წლის შემდგომ დავითმა არსენი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში გაგზავნა. აქ, იყალთოში, არსენმა დავითის მფარველობით და მზრუნველობით აღაშენა ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი — იყალთოს აკადემია. ხოლო, ქართლში, შიო-მღვიმის სავანე გააძლიერა და მესამე დიდ კულტურულ ცენტრად აღამაღლა დავითმა.

დავითი ბევრს ზრუნავდა საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ სავანეებზე. მან „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორლალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა“. ქართულ სავანეთა გარდა, დავით აღმაშენებელმა დიდალი საბოძვარი გაიღო იერუსალიმის წმიდა ადგილთა შესაწირად. მან სინას მთაზე „აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეული, და მოსაკიდელი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიაო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულსა“. ყოველივე ამათ გარდა, დავითმა „რაოდენი ეპლე-

სიანი აღაშენა, რაოდენი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენი ეკლესიანი წარმართთაგან შეგინებულნი განწმინდნა სახლად ღმრთისად, რაოდენი ნათესავნი წარმართთანი შეიღად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა“.

დავით აღმაშენებელი მარტო ქრისტიანთა მფარველი არა ყოფილა. იგი დიდის შემწყნარებლობით ეყყრობოდა ყველა ერის შეილს. თბილისის გათავისუფლების შემდგომ აქაურ, ეროვნულად და სარწმუნოებრივად ჭრელ მოსახლეობას შთა-აგონებდა ქართველი გვირგვინოსანი: ყველანი ერთი ხართ ადამის ძენი, უფლებით და მოვალეობითო; რაკი ერთ დროს მუსლიმანები ქრისტიანებს სტანჯავლენენ, ეს იმას არ ნიშნავს რომ ახლა ქრისტიანებმა სტანჯონ და აბუჩად აიგდონ მუსლი-მანებიო; პირიქით, ახლა დამარცხებულებმა უკეთესად უნდა იგრძნონ თავი გამარჯვებულთა შორის; მოსლიმანებს ნება მიეცით, ილოცონ არა მარტო ქართველ მეფეზე, არამედ „მათი“ ხალიფასა და სულტანის სახელზე; ყოველწლიური გამოსაღე-ბიც – ქრისტიანმა 5 დინარი გადაიხადის, ებრაელმა – 4, ხო-ლო მუსლიმანმა – 3 დინარიო; თვითონ დავითი, უფლისწულ დემეტრეს თანხლებით, ყოველ პარასკევს მეჩეთში შედიოდა, ხუტბასა და ყურანის კითხვას ისმენდა, მუეძინებს ყურანის ცალკეულ სურათა ანალიზში ეხმარებოდა, უსწორებდა, ასწავ-ლიდა, აქეზებდა და ოქროთი აჯილდოებდა კიდეც. მუსლიმანი პოეტებისა და სუფიებისთვის თბილისში საგანგებო სახლიც აუგია ქრისტიან მეფეს. მათთან მიღიოდა, პოეტურ და ფილოსო-ფიურ მეჯლისებში მხურვალედ ებმებოდა და მადლიერებით წყალობასაც გასცემდა.

დაუცხრომლად ზრუნავდა მეფე ახალგაზრდა თანამემამულეთა აღზრდისათვის. გარდა თვითონ საქართველოს კულტურული ცენტრებისა, მეფე ჭაბუკ ქართველებს უცხოეთის კულტურულ ცენტრებშიც აგზავნიდა სასწავლოდ და „საწურონელად“.

ჟამიდან ჟამზე დავითი სამართლის განსაჩინებლად გავიდო-და გზა-შარაზე, სოფელ და სოფელ. ხალხმაც იცოდა, გამოჩნ-დებოდა მეფე მისი, „მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდა-ბლესთათვის“; იცოდა და ელოდა მის სამართლიან განჩინებას მდაბიოთა, ქვრივთა, ობოლთა და უპოვართა სამფარველოდ და სამწყალობლოდ. ცალკე ქისა ჰქონდა მეფეს, ყოველ დილით

საჭუთარი ფულით გაავსებდა და ღარიბ-ღატაკებზე დასარიგებლად გაიტანდა...

იდგა 1125 წლის 24 იანვარი, და საქართველოს მოუკვდა დავით აღმაშენებელი. დაკრძალეს მისგანვე აშენებულ გელათის.

მისი სახელი გორგასალის გვერდით დაეწერა საქართველოს სახელმწიფო დროშას – „გორგასლიან-დავითიანი“.

დავით აღმაშენებლის შემდგომი შემდგომი სახელი

დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდგომ სელჩუკებმა სამხრეთიდან განაახლეს შემოტევები საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ანისისათვის. დავითის ძე, მეფე დემეტრე I (1125-1156) იძულებული გახდა ანისი მხოლოდ ყმაღნაფიცობის პირობით დაენარჩუნებინა და ქალაქის ხელისუფლად მაჰმადიანი ამირა ეცნო.

1138 წელს ისევ წამოჰყო თავი განძის ამირამ. დემეტრეც სასწრაფოდ გაეშურა ქართველთა ლაშქრით, განძა აიღო, ხელა ახლა დაიმორჩილა, ქალაქს კარები ჩამოხსნა და გელათს ჩამოიტანა მის შესაწირად (დღემდე ინახება ეს კარები გელათში).

უფრო ძლიერად და ენერგიულად მოქმედებდა დემეტრეს ძე, მეფე გიორგი მესამე (1156-1184), რომელმაც 1161 წელს ანისიდან ისევ განდევნა მაჰმადიანები და ქალაქში გარნიზონად ორი ათასი ქართველი ჩააყენა. არ შეურიგდნენ ანისის დაკარგვას შაჰ-არმენი, დიარბექირის და არზრუმის ამირები და 80 000 მხედრით წამოემართნენ რევანშის ასაღებად. შემდეგ ბრძოლა ისევ ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

გიორგი მესამემ ხელახლა შემოიმტკიცა სრულიად სომხეთი და სრულიად შირვანი.

თამარ მეფე და მისი დრო

მეფე გიორგი მესამეს ვაჟი არ ჰყავდა და თანამმართველად და მომავალ ხელმწიფედ თავისი ასული, თამარი გამოაცხადა. გიორგი 1184 წელს გარდაიცვალა. საქართველოს ერთპიროვნული საჭეთმპყრობელი შეიქნა თამარი, ასაკით 18 წლისა, მაგრამ „მეცნიერებითა, ცნობიერებითა, გონიერებითა და შუე-

ნიერებითა“ სავსებით სრულქმნილი სამეფო-სადედოფლო
პრინცესა.

მაგრამ ყმაწვილი ქალი-ხელმწიფე გამეფებისთანავე უცნა-
ური პოლიტიკური „მოძრაობის“ პირდაპირ აღმოჩნდა. მაშინ-
დელმა მეჭურჭლეთუხუცესმა (ფინანსთა მინისტრმა), სახელად
ყუთლუ-არსლანმა მეფის სასახლის გვერდით ცალკე „კარავის“
(„დაწესებულების“, „ინსტიტუტის“) დაარსება მოითხოვა, შიგ
თავისი მომხრეები უნდა დაესვა და ყოველი სახელმწიფო-სა-
კანონმდებლო საკითხი მხოლოდ ამ „კარავში“ განხილვისა და
მიღების შემდგომ უნდა მისვლოდა მეფეს ხელის მოსაწერად.

ამგვარად, სრულიად უმაღლესი იმპერიუმი, რომელიც ქარ-
თველ მეფებს ამდენ საუკუნეთა მანძილზე ხელთ განუყოფლად
ეჭირათ, ახლა შუაზედ უნდა გაყოფილიყო: უმაღლესი საკანო-
ნმდებლო ხელისუფლება „კარავს“ უნდა დაეჭირა, ხოლო მეფეს
მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩენოდა.

ასეთ განაცხადში სწორედ რომ დიდი პოლიტიკურ-სახელ-
მწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე გამოსჩანს. სრულიად აზი-
ის მხცოვან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრებია, ხოლო, რა
იცოდა ყუთლუ-არსლანმა და მისმა „თანამოდასეებმა“, რომ მათი
პოლიტიკური განასაჯი რაღაცნაირი წინამორბედი უნდა გა-
მხდარიყო გვიან-ევროპული „პარლამენტისა“, „გენერალური
შტაბებისა“, თუ „კონსტიტუციური მონარქიისა“.

არასოდეს არცერთ მონარქს უბრძოლველად არ დაუთმია
თავისი, აბსოლუტური იმპერიუმი“. თამარმაც პირველად სცადა
ხელმწიფური სიმტკიცისა და ნებიანობის გამოჩენა. მისი ფიც-
ხელი ბრძანებით ყუთლუ-არსლანი შეიძყრეს და დილეგში ჩა-
აგდეს.

მაგრამ ყუთლუ-არსლანი თურმე მარტო არა ყოფილა. მას
ჰყოლია „დასი“, ფიცით შეკრული, სწორედ ის „დასი“, რომე-
ლიც „იმ კარავში“ კანონმდებელ საკრებულოდ უნდა დამჯდა-
რებო. თურმე ჯარიც ჰყოლიათ გამზადებული, რათა საჭირო
შემთხვევაში მახვილის კვეთებასაც არ დარიდებოდნენ. და გან-
დგომილებმა იარაღის ავი ჟღრიალით მოითხოვეს ბელადის გა-
თავისუფლება. თამარის მომხრეებიც გაეწყვნენ საომრად. „სა-
მოქალაქო ომის“ სუნი ჩამოწვა. ხოლო, თამარს ვერ წარმო-

ედგინა, რომ მისი ხელმწიფობა ძმათაშორისი სისხლისღვრით დაიწყებოდა.

დიდი ხელმწიფური სიბრძნე, დახვეწილი ტაქტი და მომხიბლავი რომანტიკა გამოსჭვივის ყმაწვილი ქალი-ხელმწიფის გადაწყვეტილებაში. ქალმა-ხელმწიფემ სწორედ ქალის გუმანით იცოდა, რომ მისი თანამემამულენი, — სულ ერთია, მისი მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი — უზენაესი კრძალვით და პატივით ეპყრობოდნენ სწორედ ქალს, მათი ოჯახისა და ქვეყნის წმიდათა-წმიდა კერპს, ქალის შეუვალ სიტყვას, მის წმინდა მანდილს. და თამარმა საომრად აღძრულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყველაზე საპატიო დესპანები გაგზავნა — ორი მანდილოსანი, ორი „საპატიო დიოფალი“, ხუშაქი ცოქალი და კრავაი ჯაყელი. მართლაც, მანდილოსანმა მოციქულებმა დააცხრეს „დასელების“ ავი ყარყაში. მათ გადასცეს თამარის ფიცი, რომ იგი ყუთლუ-არსლანის გარდა არც არავის ბრალს დასდებდა, არც ვისმეს დასჯიდა. ხვაშაქმა და კრავაიმ იარაღაყრილი „მოჯანეები“ თამართან მიიყვანეს. ქალთაგან მოყვანილებმა ქალი-ხელმწიფის წინაშე მუხლი მოიყარეს, თაყვანი სცეს და სამარადფამო ერთგულება შეჰქიცეს. თავის მხრივ თამარმა აღუთქვა, რომ „დარბაზის“ უფლებებს გააუართოებდა და დიდმნიშვნელოვან საკითხებს მასთან „თანადგომითა და ერთნებაობით“ გადაწყვეტდა.

ყუთლუ-არსლანის „მოძრაობა“ ასე დამთავრდა.

თამარის დროს ისევ მძლავრობდა საქართველოს მხედრული ორგანიზაცია. ქართველებმა რამდენჯერმე ილაშქრეს სამხრეთით და ხელახლა აიღეს და შემოიმტკიცეს განდგომილი ქალაქები — ბარდავი, განძა და კარნუ-ქალაქი. სამაგიეროდ, სამხრეთიდან დიდი კოალიციური ლაშქრობა მოეწყო ათაბაგ აბუბაქარის სარდლობით. თამარმაც სასწრაფოდ საომარი წვევა ბრძანა, მთავარსარდლობა თავის მეუღლეს, დავით სოსლანს მიანდო და მტრის შესახვედრად გაგზავნა. ბრძოლა მოხდა 1195 წელს, ქალაქ შამქორთან. ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. გამორჩეულად თავი ისახელეს თვითონ დავით სოსლანმა, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელმა ანტონ გლონისთავისძემ და შალვა ახალციხელმა. ქართველებმა განძა და შამქორი ხელახლა დაისაჭუთოეს და, დიდძალი ნაღავლით შემობრუნდნენ. თბი-

დისში, ამ გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფზე, გამარჯვებულებმა გამოატარეს 12 000 ტყვე, 40 ავაზა, 20 000 ცხენი, 7 000 ჯორი, 15 000 აქლემი, ურიცხვი ლარი, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და მტრის საომარი დროშები.

ხელახლა შემოიყარა ჯარები აბუბაქარმა, წამოემართა და მოულოდნელი თავდასხმით ხელთ იგდო ჯერ განძა, შემდეგ დვინი. თამარმა ქართველთა ჯარი ორად გაჰყო, ერთი დავითს ჩააბარა და განძას გაგზავნა, მეორეს თვითონ უსარდლა და დვინისაკენ გაემართა, სომხეთს. ისევ დამარცხდნენ საქართველოს მომტერენი. ისევ მოექცნენ საქართველოს სამანებში განძა და დვინი.

მომდევნო 1203 წელს შაჰ-არმენის სასულტნო დალაშქრეს ქართველებმა. ხალახლა დაიჭირეს არჭეში, მანასკერტი და ატ-ტინი.

1204 წელს ისევ დასჭირდათ გალაშქრება ქართველებს სამხრეთით. ილაშქრეს და კვლავ ხელახლა დაუუფლნენ ჯერ ხლათს, შემდეგ კარს (ყარსი).

თამარ მეფე წინარე ქართველ დიდხელმწიფეთა მსგავსად, ძველი პონტოურ-ქართული მიწების (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიები) შემომტკიცებისთვისაც ზრუნავდა გაცხოველებით. პონტოს ქვეყანა იმჟამად ბიზანტიის სამფლობელოთა საზღვრებში შედიოდა. თამარს საბაბი უნდოდა, ლაზებითა და ჭანებით დასახლებული ქართული მიწები კეისარი იმპერატორისათვის წაერთმია და საქართველოს სამეფო კარი-სათვის დაექვემდებარებინა. ასეთი საბაბიც გამოჩნდა. 1203 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის ქართულ სავანე-მონასტერთა მოღვაწენი. თამარმა დიდის ამბით მიიღო ისინი, „მრავალ დღე არა გაუშვნა“, ხოლო როცა გაუშვა, ყოველ მათგანს „მისცა დიდძალი ოქრო, თვით მათთვის და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად“. როცა ასე უხვად დასახუქრებული სამღვდელონი გავლით კონსტანტინოპოლს მივიდნენ, მოხდა სავსებით მოულოდნელი და გაუგონარი ამბავი: ისინი გაძარცვა თვითონ კეისარმა, ბოროტმა და ანგარმა აღექსი III ანგელოსმა. ეს თვით კონსტანტინოპოლში არავის გაჰკვირვებია, რადგან კეისარი „ანგელოსი“, რომელსაც მმისთვის თვა-

ლები დაეთხარა და იმპერატორობაც წაერთმია, მიცვალებულ
კერსართა საფლავებსაც თხრიდა და იქიდან ოქროს იღებდა.

თამარი გააოცა და განარისხა ბიზანტიელი ხელმწიფოს ესოდენ აშკარა ავაზაკობამ. მაშინვე „სხვა უფროსი“ ოქრო გაუზავნა კეისრისაგან გაძარცვულ ბერებს, ხოლო, რაც მთავარია, სასწრავოდ ჯარი შეჰყარა და პონტოსაკენ აფრინა.

სწორედ ამ ჯარმა ერთიმეორის მიყოლებით დაიკავა „ლა-ზია, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსინი, კერასუნდი, კიტიორა, ამას-ტრია, ერაკლია და ყოველნი ადგილნი ფეხბლადონისა და პო-ტოსანი“.

ქართველები ორას კილომეტრზე იყვნენ კონსტანტინოპოლიდან.

აღექსი III-ს ქართველებისთვის აღარ სცხელოდა: ევროპელი ჯვაროსნები თვითონ კონსტანტინოპოლს მოსდგომოდნენ საირიშოდ.

თამარმა კი ბიზანტიისაგან გათავისუფლებული „პონტოს ქვეყანა“ ცალკე ვასალურ, საქართველოს ყმადნაფიც სამეფოდ გამოაცხადა, ხოლო მის მმართველად დასვა აღექსი კომნენტი, ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი, საქართველოს მეფეთა ნათესავი (აღექსის მამა ანდონიკე თამარის მამის, გიორგი მესამის მამიდაშვილი იყო) და საქართველოში შემოხიზული უფლისწული.

თამარის ბრძანებით, ალექსი თბილისიდან გავიდა და ტრაპიზონს დაჯდა. თანამმართველად თამარმა ალექსის დაუნიშნა მისივე ძმა დავით კომნენოსი.

მართალს წერს აკადემიკოსი კუნიგი: „კომნენტსები ჯერ კიდევ ყრმობისას მოხვდნენ საქართველოში, სადაც აღიზარდნენ კიდეც. მათი დედა-ენა იყო ქართული. რაკი იზრდებოდნენ და აღზრდასაც მათი ნათესავის (თამარ მეფის) კარზე დებულობდნენ, ისინი ყოველთვის ქართული ცხოვრებისა და ქართული ცნებების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ“. ისინი სამი წლიდან თუ წლამდე საქართველოში იზრდებოდნენ, ბიზანტია აღარც ახსოვდათ და ბერძნულ ენასაც „უცხო ენად“ სწავლობდნენ, ვითარცა სხვა ქართველ დიდებულთა შვილები. ასე რომ, ოცი წლის ასაკში აღექსი და დავით კომნენტსები უფრო ქართველი დიდებულები იყვნენ, ვიდრე ბიზანტიილები.

ასევე წერს გამოჩენილი ბიზანტიინოლოგი უსპენსკი: „შავი ზღვისპირეთზე კომნენოსთა დამტკიცება არის საქმე თამარის ხელისუფლებისა... კომნენოსთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის მხოლოდ ეპიზოდი საქართველოს ბრძოლაში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე პირველობისათვის, ივი არის გა-გრძელება თამარის მამის პოლიტიკისა, რომლის ჯარები აღ-წევდნენ ერზერუმამდე და თვით ტრაპეზუნტამდე“. და კომნე-ნოსები იყვნენ „იარაღი თამარის პოლიტიკისა“. ისევ უსპენ-სკის მართებული აზრით, ტრაპიზონის იმპერიის ბუნება უპირ-ველეს ყოვლისა უნდა აიხსნას „მოსახლეობის ეთნოგრაფიული ხასიათისა და ისტორიის თავისებურებით, რომელშიც ელინიზმს გაბატონებული ადგილი არ სჭერია. საჭიროა გვახსოვდეს პონ-ტოს ძველი ისტორია და პონტოს მეფეების პოლი-ტიკური მიმართულება, ისევე როგორც თავისებურე-ბანი ტრაპიზონელი ბერძნების ენაში... არ შეიძლება წინ არ წამოვწიოთ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ხაზი არ გავუსვათ იმ პირობებს, რომელნიც XIII საუკუნის დამდეგს და იმპერიის შექმნის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის გან-მავლობაში მიუთითებენ ადგილობრივი, ლაზური ტენდენციების ბატონობაზე ტრაპიზონში, რომელთაც ზურგს უმაგრებენ თბი-ლისიდან და მხარს უჭერს თვით ტრაპიზონელი მეფეების სუ-ლისკვეთება, რაც მთლიანად და სავსებით საქართველოსკენ იყო მიმართული“.

თამარის ნებით წარმოქმნილი ეს ახალი სახელმწიფო, სა-ხელად „ტრაპიზონის იმპერია“ – ნაწილი იყო თვითონ სრუ-ლიად საქართველოს იმპერიისა, მისი „პროტექტორატი“ და ისეთივე „ყმადნაფიცი“, როგორც შირვანი, დარუბანდი, ლუნძე-თი, ოსეთი, ქაშაგათი და კარნუ-ქალაქი.

1204 წელს რუმის ანუ იკონიის სულტანმა რუქნ ად-დინმა ილაშქრა თამარის წინააღმდეგ, ოთხასი ათასიანი არმიით. ბრძოლა მოხდა ბასიანში (არზრუმის ახლოს). ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს.

1210 წელს თამარმა ირანის დასალაშქრავად გაგზავნა ჯა-რები. ქართველები ზედიზედ დაუუფლნენ მარანდს, თავრიზს, შიანას, ზენჯანს და ყაზვინს. მერე აიღეს ხორასანი და ბოლოს

რომ-გური (ავღანეთი). იქედან უკანვე გამობრუნდნენ დიდალი ნადავლით დატვირთულია.

საქართველო თავისი ძლიერების მწვერვალზე იდგა.

ასეული წლების წინათ მიტოვებული ქარქაშები მოიკითხეს ქართულმა ხმლებმა.

შხოლოდ ქართველებს შეეძლოთ იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშებით შესვლა.

ბრწყინავდები: ქართული კალამი, ყალამი, საჭრეთელი.

ზეობაში იდგა საქართველო – „ნიკოფილითი დარუბანდა-მდის“ (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სა-მხრეთით).

კვლავ უფრო გაზრდილიყო და გაშლილიყო სახელმწიფო კავკასიელთა. მასში შედიოდნენ:

საკუთრივ საქართველო მისი საერისთავოებით: ჰერეთი, კახეთი, რუსთავი, თბილისი (მეფის დომენი), ქართლი, ორბეთი, ლორე, კაენი, გაგი, თორი, ჯავახეთი, თმოგვი, სამცხე, ტაო, ჭანვთი, ქუთაისი (მეფის დომენი), არგვეთი, რაჭა-თაკვერი, სვანეთი, გურია, ოდიში, ცხუმი;

სომხეთი: ანისი, დვინი, ბიჯნისი, სივნიეთი, ხაჩინი (არწახი);
შირვანი: შირვანი, დარუბანდი;

ჩრდილოეთ კავკასია: ქაშაგეთი, ოსეთი, დურმუკეთი, ლუნ-ძეთ-ლეკეთი;

პროტეპტორატები, ვასალები, „ყმადნაფიცები“: ტრაპეზუნ-ტის სამეფო, კარნუ-ქალაქის საამირო, ერზინჯის საამირო, შაპ-არმენთა სასულტნო, ადარბადაგანი, განძის სასულტნო...

იჯდა თამარი ერთიანი კავკასიური იმპერიის ტახტზე.

მის დროს სრულ იქმნა დავით აღმაშენებლის მიერ საფუ-ძველებული ეთიკუტი საქართველოს სამეფო კარისა. და ჩვენც ასე უნდა წარმოვიდგინოთ, საისტორიო წყაროებით დამოწმე-ბული, დარბაზობის ცერემონიალი მაშინდელი საქართველოს სამეფო კარზე:

მეფეთა მეფე, პორფირით მოსილი, გვირგვინით თავშემკო-ბილი და სკიპტრით ხელში, ზის ოქროჭედილ ტახტზე.

დარბაზობის დაწყებისას პირველი შემოდის გელათის აკა-დემიის მოძღვართმოძღვარი. იგი მიდის ტახტის წინ დაგებული

ნოხის ნაპირამდე და თავს დაუკრავს მეფეს. მეფე წამოღება, ნოხის მთლიანად გამოივლის, მოძღვართმოძღვარს იქ მიეგებება, სამაგიერო სალამს მიუძღვნის და მის მხლებელს მიმართავს: „მოახსენე, ბრძანოსო“. თუ მოძღვართმოძღვარს რაიმე სათხო-ვარი აქვს, მაშინვე შეუძლია მოახსენოს მეფეს.

მერე შემოღის კათალიკოსი. მის თაყვანს მეფე თაყვანითვე უპასუხებს, მაგრამ ისე, რომ ნოხის მხოლოდ მესამედს გადმო-ივლის.

ახლა მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი ეახლება და ორ-ჯერ ეთაყვანება. მეფე სამ ნაბიჯს გადმოდგამს, საპასუხო სა-ლამს მიუგებს და გადაჰკოცნის.

შემდეგ ვაზირები მიჰყებიან. ჯერ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი მიეახლებიან და ორჯერ ეთაყვანებიან. სამაგიეროდ მეფეც ორგზის უპასუხებს და სალამის მიცემას ხელების მაღლა აპყრობით დაასრულებს, ხოლო მეჭურჭლეთ-უხუცესისა და მსახურთუხუცესის ორგზის თაყვანზე მეფე ასევე მისალმებითა და უფრო „უმდაბლე ხელის აპყრობით“ პასუხობს.

ერთად შემოღის სამი ეპისკოპოსი — ქუთათელი, იშხნელი და სომხეთის მიტროპოლიტი. მეფე მათ თაყვანზე ორ-სამ ნა-ბიჯს გამოივლის და ისე უპასუხებს სალამით.

დანარჩენ სასულიერო და საერო პირებს, რიგით ეპისკოპო-სებს, ვეზირებს და ერისთავებს, მეფე სალამით ადგილიდან, ტახტიდანვე უპასუხებს.

მაღალი რანგის მოხელეთათვის და საპატიო სტუმრებისა-თვის დარბაზში ოქროჭედილი სელები და მაგიდებია ჩარიგე-ბული. პირველ მაგიდას უზის საქართველოს კათალიკოსი, მე-ორე მაგიდას — გელათის მოძღვართმოძღვარი და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი. მესამე მაგიდა განკუთვნილია სა-ქართველოს პოლიტიკურ მფლობელობაში მყოფი ოთხი მეფი-სათვის — ტრაპიზონის მეფე, შირვან-შაჰი, შაჰ-არმენი და ოსთა მეფე. მეოთხე მაგიდასთან — ჭყონდიდელი, ქუთათელი, იშხნე-ლი და სომხითის მიტროპოლიტი. მეხუთე მაგიდასთან — ათა-ბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუ-ცესი და მსახურთუხუცესი. შემდგომ მაგიდებს უსხედან რიგითი ეპისკოპოსი, ვეზირნი და ერისთავნი.

ასეთი იყო თამარის კარი.

ხოლო თვითონ თამარი...

იყო ქალთაგან უმშვენიერესი; ტანად ტანოვანი, ნაკვთოვანი, „მუნებითა აფროდიტიანითა“, სახედ — საოცრად სახიერი; იერსახედ — მომხიბლავი არამიწიერ, — „სატრფო საჭურეტი დაბნედამდის“. ღაწვები — ღვთაებრივ სპეტაკნი, მქრქალი ვარ-დისფერით შეფერილნი; თვალნი — გრემანნი, აღსავსე ხიბლით, სიბრძნითა და შუქმოსიერებით, — „მორცხვი ხედვა, ლალი მი-მოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზლო სიტყვის სი-ნარჩარე“.

სიბრძნით იყო სწორუპოვარი მისსავე ბრძენ საუკუნეში — „ღმრთივ-განბრძნობილი“, „უკლებელი გონებითა და საუნჯე სიბრძნისა“. მოსაუბრე — „სიტყვითა ოქრონექტარითა“. ზნე-ობითა — უსპეტაკვესი. იყო საოცრად თავმდაბალი, გულმოწყა-ლე და დიდსულოვანი შემწყნარებელი. მსაჯული დინჯი და „გაურისხებელი“. მის დროს არც სიკვდილით, არც სხეულის დასახიჩრებით არავინ დასჯილა. ყოველივე მკაცრად აკრძალა სწორუპოვარმა ჰუმანისტმა ხელისუფალმა: სიკვდილით დასჯაც, ასოს მოკვეთაც, ჯოხებით ცემაც. მის სამეფოში „საყდართა და მონასტერთა დაღუწასა ვერავინ იკადრებდა. ქარავანს ვერვინ ძარცვიდა... ერთიცა ქათამი არსად მოიკვლოდა; მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო“...

უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ სადა, მოკრძა-ლებული, „უქონელი“ ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო, ხალ-ხისთვის, ქვრივთა, ობოლთა, უქონელთა, გლახაკთა და უპო-ვართათვის, გასცემდა „სიუხვითა მზეებრითა“. ყოველ წელს სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედ წილს („ნაათალი“) ღარიბებსა და უქონელ-უპოვრებს ურიგებდა. უხვად აჯილდო-ებდა მეუე ლაშერად გასულ ყმა-აგრიკოლებს, ამიტომაც მის დროს „აზნაურის ყმანიც მათთა პატრონთა სწორად იმოსებო-დეს“. გულის სიღრმემდე ეცოდებოდა თამარს უძლურნი და საპყარნი. თავის მახლობლად დააბინავებდა მათ. საკუთარი ხე-ლით აჭმევდა, საკუთარი ხელით სარეცელს გაუწყობდა, ღა-აწვენდა, დალოცავდა და გაამხენევებდა. დიდი დავით აღმაშე-ნებლის მწიგნობრულ ტრადიციებზე აღზრდილმა, თავისი დრო-ის „უგანათლებულესი სამყაროს“ სათავეში მდგარმა სკიპტრო-სანმა ქარგად იცოდა, რომ ქრისტიანულ ტაძრებში, სახარების

გარდა, საერო წიგნებიც — საფილოსოფოსო, სამეცნიერო, სახელოვნებო თხზულებებიც იკითხებოდა და იწერებოდა. თამარი იყო უდიდესი აღმშენებელი და მზრუნველი ტაძართა და სავანეთა. აღაშენა, აღადგინა, გადააკეთა, გადაარჩინა, ან „რომელნიმე დარღვეულნი აღაშენა“, ეკლესიები, ლავრები და სავანები — პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, ისავრიაში, კურუხეთში და კონსტანტინოპოლში. აღაშენა, მორთო, მოკაზმა და აურაცხელი ოქროვერცხლითა და საბოძვარით ააქსო ისინი, მათი სასულიერო მოწესენი, მეცნიერნი-მწიგნობარნი და ღვთის გლახანი.

ცისმარე დღეს შეუსვენებლივ იღვწოდა თამარი. იცოდა „წენარმა და ნარნარმა, ცნობიერმა და გონიერმა“, ადამიანური უქმობისაგან წარმოსდგებოდა ადამიანური ბოროტებანი. ყველა დასაქმებული ჰყავდა. „არცა თვითონ უქმობდა და არცა თვისთა ყმათა აუქმებდა“. შრომობდა ქართველი ხალხი. შენდებოდა ტაძრები, სავანები, სრა-სასახლენი, ციხესიმაგრენი, გზები, ხიდები, ფუნდუკები, სარწყავ-საირიგაციო სისტემები, ჯებირები, აქვედუკები. გაჩნდა მრავალი — „თამარის სასახლე“, „თამარის ციხე“, „თამარის ხიდი“, „თამარის წყარო“, „თამარის ლავრა“, „თამარის სავანე“, თამარის ხატი“, „თამარის ყელსაბამი“, „თამარის სარტყელი“, „თამარის ქოში“... რად ღირს თუნდაც თამარისეული გეგუთი, ბეთანია, ყინწვისი და ვარძია... ვარძია — კლდეში ნაკვეთი ქალაქი, გასაოცარი ნაშობი ადამიანის გონისა და ხელისა...

დიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი: მშვილდოსან-მახვილოსნობა, ნადირობა, ჯირითობა, მხედრობა.

დიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი“ სადიაცონი: მატყლის ჩეჩვა და ძაფის რთვა, ქსოვა და ბეჭვა, ჭრა და კურვა, ქარგვა და კემსვა მანეულებად.

მეუღლეს — დავით სოსლანს და ძეს — გიორგი ლაშას მისი ხელით შეკერილი და მოქარგული ჯუბა ემოსათ.

საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაკერს საკუთარი ხელით აცმევდა ღარიბს, ქვრივს, ობოლს, დავრდომილს.

მრავლად დააბიჯებდნენ ქვეყანაზე „ბედნიერი“ მათხოვრება

და მაწანწალები — ბეჭნიერნი, რამეთუ ემოსათ ნახელავნი თა-
მარ „შვილმათობიერისა“...

იდგა 1211 წლის იანვარი; განუწყვეტლივ თოვდა. და სა-
ქართველოს მოუკვდა თამარ მეფე. დაკრძალეს გელათს.

მისი სახელი მარადიულ სიცოცხლედ დარჩა ხალხის ხსოვ-
ნაში.

ყველგან, მთაში თუ ბარში, „თამარის ქებასა მელექსეობ-
დიან“.

სადღაც შორს, „ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენა
თამარის შესხმასა მუსიკელობლიან; ფრანგნი და ბერძენნი,
ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქება-
თა იტყოდიან. ესრეთ ყოველი ქვეყანა სავსე იყო მის-მიერითა
ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაც ოდენ სახელი
მისი ასმიოდეს“. მერე, ბიზანტიაში დიდი პოემა დაიწერა თა-
მარ (დინარ) დელოვალზე. მრავალ ენაზე ითარგმნა იყო, აღმო-
სავლეთში თუ დასავლეთში. რუსეთშიაც ფართოდ გავრცელდა
თამარის სახელზე შეოხული აპოლოგიანი. რუსეთის დიდი
ხელმწიფე, ივანე მრისხანე თამარ ქართველთა დელოფლის
გმირული სახელით აღაფრთოვანებდა საომრად დარაზმულ რუ-
სულ დრუჟინებს. თამარი და მისი ქვეყანა ცოცხლდებოდა ყო-
ველ ზღაპარში, თქმულებაში, მატიანეში. შორეულ ინდოეთშიც
გატაცებით, მოწიწებითა და აღტაცებით იხსენიებდნენ საკვირ-
ველი სიმშვენიერითა და სიბრძნით შემკობილი ქართველი
ქალისა და ხელმწიფის სახელს.

ილეწებოდნენ საუკუნენი.

ხოლო სახელი თამარისა ახალ-ახალი სიცოცხლით ცო-
ცხლდებოდა.

მისი სახელი უმშვენიერეს სამკაულად დაებეჭდა ქართულ
სახელმწიფო დროშას, ამიერიდან — „გორგასლიან-დავითიან-
თამარიანი“.

კულტურის კატალოგი

XII საუკუნე საქართველოსათვის იგივე იყო, რაიც ბვ.
წ. V საუკუნე საბერძნეთისათვის — ეპოქა „კლასიკური“ —
ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ზნეობრივი აქ-
ვავება-აღზევების დროჟამი.

XII საუკუნის დასაწყისიდან თამარ მეფის აღსასრულა-
 მდე (110 წლის მანძილზე) ქართველებმა გარეშე მტრებთან
 გადაიხადეს 128 ბრძოლა; აქედან — მოიგეს 124, წააგეს 4.

ქართული ხმლის ძლევამოსილების გასწვრივ, უაღრესი
 ამაღლებით და აღზევებით ვითარდებოდა ქართული კულტუ-
 რა. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით აწ მოხსენიებულ ფი-
 ლოსოფოსებს — იოანე პეტრიწა და არსენ იყალთოელს.
 იოანე ჯერ ბიზანტიაში მოღვაწეობდა — პეტრიწონის ქარ-
 თულ სავანეში და კონსტანტინოპოლში. იმპერიის სატახტო-
 ში იგი თავგამოდებით იბრძოდა მეცნიერული აზრისა და
 კვლევა-ძიების სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლო-
 ბისათვის. მის თარგმანებში, კომენტარებში და ორიგინალ-
 ურ ფილოსოფიურ გააზრებაში ღრმა ცოდნა გამოსჭვივის
 სამყაროს მატერიალისტური შემეცნებისა (თვითონვე ამბობ-
 და: ხელს მიშლიდნენ, ორემ ყველა იხილავდა, როგორ შე-
 მებლო „მეარისტოტელურა!“). ასევე დიდი ამაგი დასდო ქა-
 რთულ ფილოსოფიურ აზროვნებას არსენ იყალთოელის თარ-
 გმანებმა, კომენტარებმა და ორიგინალურმა დებულებებმა.

ამავე საუკუნეში აყვავდა საისტორიო მწერლობა. ბრწყინვალე შრომა დაგვიტოვა დავით აღმაშენებლის ისტო-
 რიკოსმა; ასევე — თამარ მეფის სამმა ისტორიკოსმა. ყველა
 თხზულება დაწერილია მაღალი სამწერლობო ხელოვნებით,
 სახოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მართებული რკვე-
 ვით, ფართო განათლებითა და ერუდიციით.

ქართველი მეცნიერები, მოაზროვნენი და მწერლები დე-
 დანში ეცნობოდნენ, კომენტირებას ახდენდნენ ბერძნულ, ბი-
 ზანტიურ, აღმოსავლურ-აზიურ, ქრისტიანულ და მაჰმადი-
 ანურ კულტურულ მემკვიდრეობათა შედევრებისას.

ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან ფლობდა უმშ-
 ვენიერეს, მრავალფეროვან ხალხურ პოეზიას, მრავალხმოვან
 ხალხურ მუსიკას, მაღალხელოვან ხალხურ სახიობას. XII
 ასწლეულის საქართველოში შეიქმნა საკომპოზიციო მუსი-
 კალური შედევრებიც.

XII საუკუნის საქართველოში განსაკუთრებით აყვავდა
 საერო ღიტერატურა. უმდიდრესი ქართული ლექსიკითა და
 პოეტური სახეებით ითარგმნა დიდი სპარსული სასიყვარულო

რომანი — „ვისრამიანი“. ორიგინალური სახოტბო პოეზიის შედევრები შექმნეს იოანე შავთელმა და გრიგოლ ჩახრუხაძემ.

მარტო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ და სახელებაც კმარა XII საუკუნის ქართული სულიერი კულტურის სისალლეთა წარმოსადგენად. განუზომელია ამ, ჭეშმარიტად გენიალური ნაწარმოების სიღრმე და სივრცე — მხატვრული სახეებით, ბრძნელი აფორიზმებით, საოცარი მეტაფორებით, ლექსიკის სიმდიდრით, ზოგადგაცობრიული იდეებით, უკეთილმობილესი ჰუმანიზმით, პოეტური ტექნიკის სწორუპოვარი სინატიფითა და მრავალსახოვანებით. შოთას პოემა არის ღვთაებრივი საგალობელი უსპეტაკესი სიყვარულისა, რაინდული თავგანწირვისა, კაცთაშორისი ძმობისა, თანადგომისა და თანამეგობრობისა. იგი არის ყოვლისმომცველი სიმფონია ზენაარი ხელოვნებისა, სიბრძნისა, ზნეობისა, ადამიანისა და გარებუნების განუყორელი მთლიანობისა.

XII საუკუნეში აღმასვლას განაგრძობდა ქართული სახვითი ხელოვნება — არქიტექტურა, ფერწერა, ფრესკა, მოზაიკა, კერამიკა, ჭედურობა. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი მაღალმხატვრული ჭედურობისა: ჯრუჭის ოთხთავი, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებანი, ხახულისა და ანჩის ხატები — ნახელავი ამ საუკუნის ბრწყინვალე ქართველი ოქრომჭედლებისა — ბექა და ბეშქენ ოპიზარებისა. ფრესკული მხატვრობის შედევრებად საკმარისია დავასახელოთ მოხატულობანი გელათის, ყინწვისისა და უბისას გედლებისა. ხოლო, საერთოდ ხუროთმოძღვრების ძეგლებად ბრწყინავენ: იკორია, ქვათახვი, იყალთო, ვარძია, გელათი, გეგუთი, ბერთუბანი, ყინწვისი, ბეთანია, ფიტარეთი, წუღლულაშენი, უბისა. XII საუკუნის ძეგლები გვიჩვენებენ ორნამენტულ-ჩუქურთმოვანი ხელოვნების განსაკუთრებულ სიმდიდრეს, სიხშირესა და სინატიფეს. აკადემიკოსი ნ. კონდაკოვი ამტკიცებს, რომ ქართული ხუროთმოძღვრება მსოფლიო არქიტექტურის მოწინავე რიგებში დგასო.

XI—XII საუკუნეთა ქართული კულტურის ძეგლები — განსაკუთრებით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნი“, გამოკვეთილად ამჟღავნებენ იმ ძირითად კულტურულ მიმართულებებს, რომლებიც ორასი-სამასი წლის შემდგომ საფუძ-

საქართველო XIII საუკუნეები

თამარის ხიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე გიორგი IV ლაშა (1211–1222), რომელმაც ღირსეულად დაიცვა დიდი წინაპრების ვრცელი მემკვიდრეობა — საქართველოს „იმპერია“ — „ნიკოფიიდან დარუბანდამდის“, „ოვსეთიდან არეგაწამდის“, „სინოპიდან არდაველამდის“.

ერთი საუკუნე სრულდებოდა მას შემდეგ, რაც ევროპასა და აზიაში სცნეს ქართველთა ჰეგემონობა ახლო აღმოსავლურ სამყაროსა შინა. მთელი ასი წლის მანძილზე, ბიზანტიის იმპერიის დაკნინების ფონზე, საქართველო წარმოადგენდა ერთადერთ საიმედო ბურჯსა და დამცველს აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროსათვის. ამ / ასწლეულის მანძილზე „ჯვაროსნად“ ამხედრებულ ევროპას ერთადერთ საიმედო „ჯვაროსან მოკავშირედ“ და თანამოლაშქრედ ქრისტეს საფლავისა და სხვა „წმინდა ადგილთა დასახსნელად“ მიუჩნევია ისევ და ისევ საქართველო. ევროპელთათვის აღმოსავლეთის დიდ „ჯვაროსან ხელმწიფებად“ ითვლებოდნენ იმ „მწვერვალი საუკუნის“ ხელმწიფები: დავით აღმაშენებელი, ღემეტრე პირველი, გიორგი მესამე და თამარ მეფე. ხოლო, ახლა, სწორედ გიორგი IV ლაშას მეფობის ქამს, მაშინ როცა ევროპა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა, სწორედ ოქალურად დადგა საკითხი ქართველთა, ვითარცა „აღმოსავლელ ჯვაროსანთა“, უშუალო მონაწილეობისა მაშინდელ „მსოფლიო ომში“.

1219 წელს ევროპელმა რაინდებმა დიდის ვაი-ვაგლახით მუსულმანებს წაართვეს დიდი ციხე-ქალაქი დამიეტა ნილოსის დელტაში. ქართველებმა მაშინვე მილოცვა გაუგზავნეს ჯვაროსნებს, თანაც დამასკოს სულტანს ბრძანება აახლეს, განზრახვაზე ხელი აიღე და იერუსალიმის კედლების დანგრევაზე არ იფიქრო. სწორედ იმჟამად ჩაწერა ფრანგმა სამ-

დვლელომ უაკ დე ვიტრიმ ქართველთა შესახებ „იერუსალი-
მის ისტორიაში“:

„ისინი არიან დიდად მედგარნი და მამაცნი ბრძოლაში, სხე-
ულით მძლავრნი და მხედრობით ძლევამოსილნი, მათ სასტი-
კად ჰყავთ დაშინებულნი სარკინოზები, ზშირი თავდასხმებით
ამარცხებენ მათ მოსაზღვრე მიდიელებსა და ასირიელებს, თვი-
თონ ურჯულო ხალხებით გარშემორტყმულნი, მათ ჰქვიათ გე-
ორგიანები, რადგან განსაკუთრებულ პატივსა და თაყვანს მია-
გებენ წმიდა გიორგის, რომელსაც თვლიან თავის მფარველად
და მედროშედ ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ ყველა
სხვა წმინდანზე მეტად. ყოველთვის, როცა კი ეწვევიან სალო-
ცავად უფლის საფლავს, ისინი წმიდა ქალაქში შემოდიან გაშ-
ლილი დროშებით და არავის ხარკს არ უხდიან. სარკინოზთა-
გან ვერავინ ბედავს მათ შეწუხებას, რამეთუ შინ მიბრუნებულთ
შეუძლიათ შური იძიონ თავის მეზობელ სარკინოზებზე, მათი
კეთილშობილი ქალები ამორძალთა მსგავსად შეიარაღებულნი
იბრძვიან რაინდთა მხარდამხარ“.

ევროპაში უკვე დიდის პატივით, კრძალვით და აღტაცებით
ლაპარაკობდნენ ლეგენდარული თამარის ღირსეულ ვაჟზე, „ახ-
ალ აღექსანდრე მაკედონელზე“, ქრისტიანობის უბრწყინვა-
ლეს რაინდზე.

კიდევაც მოვიდა ეპისტოლე ევროპიდან საქართველოში,
რომის პაპი პონორიუს III ქართველთა მეფეთა-მეფეს თხოვდა
დაძრულიყო თავისი მხედრობით იერუსალიმისკენ მიმავალ
ევროპელ ჯვაროსნებთან შესაერთებლად.

დიდი სიხარულით მიიღო გიორგი ლაშამ მისი რაინდული
ბუნებისათვის ეგზომ მრავლისაღმთქმელი წვევა. მაშინვე სა-
ომარი სამზადისიც ბრძანა.

და წერს პალესტინიდან ფრანგი რაინდი დე-ბუა საფრანგე-
თში, ბეზანსონის არქიეპისკოპოსს: „...ახლა მოისმინეთ გასაო-
ცარი და დიდმნიშვნელოვანი ცინცხალი ცნობები. ჯერ ყურმოკ-
რულად შევიტყვე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩების მეშვეო-
ბით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების,
რომელიც გეორგიანებად იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და
ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთვანებულმა და ძალ-
ზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმარ-

თების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგანაც ძლიერნი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქცია... ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმიდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. იგი აღექსანდრე მაკედონელს ჰვავს; ვაჟკაცობითა და სათხოებით... ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვნია შვილისათვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და... გადუწყვეტია წმიდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართები თუ არა“.

მაგრამ ვერ აღესრულა ნაოცნებარი ფრანგი რაინდისა, — ქართველებმა ვერ დაიპყრეს „ჭიპი დედამიწისა“. ამაოდ იკაზმებოდნენ ქართველები ახალი ომისათვის — „ჯვაროსნული ომისათვის“, ახალ ქვეყნებში სალაშქროდ, ახალ ხალხებთან შესახვედრად. აზია-ევროპის გზაკვანძზე ქართველთა ორასწლოვან ზეაღსვლას ერთბაშად გზა ჩაუჭრა და ჩაუქცია მსოფლიო კრიგალად მოვარდნილმა 20-იანმა წლებმა XIII საუკუნისა.

აღმოსავლეთიდან ყოველი ქვეყნის დამანგრეველი და წამლეკავი ტაიფუნი მოჰქმდოდა...

ესენი იყვნენ მონღოლები, ანუ თათრები, მსოფლიოს ველური დამპყრობელნი, რომელთა მომთაბარე, ცხენებზე და საბარგულებზე ასხმულ-აგორებულ სახელმწიფოს საფუძველი დაუდო ჩინგიზ-ხანმა.

ჩინგიზმა ჯერ შუა აზიაში ხვარაზმის სახელმწიფო გაანადგურა და ოცი ათასი მეომარი დასავლეთისაკენ გამოუშვა. 1220 წელს ისინი საქართველოს მოადგნენ ანაზდეულად. ქართველებმა უცხო მტერი უკუაქციეს და, დარუბანდის კარით, ჩრდილო კავკასიაში გადარეკეს. მეფე გიორგი ლაშა მონღოლებთან შეტაკებისას დაიჭრა და 1222 წელს გარდაიცვალა. ტახტზე მისი დაი — რუსუდანი დაჯდა (1222–1245).

იმ ხანად მონღოლთაგან დევნილი ხვარაზმელი შაჰი, კა-

ლალ ად-დინი ირანში გამავრდა, დიდძალი მაჰმადიანური ჯარები შემოიყარა და საქართველოსკენ წამოემართა.

1225 წელს გარნისთან (სომხეთში) ერთმანეთის პირისპირ დაღგა 200 000 მუსლიმანი და 60 000 ქართველი. ჯალალ ად-დინმა მთელის ძალებით შემოუტია. ქართველმა სარდალმა, ივანე მხარგრძელმა კი ბრძოლაში რატომდაც (იქნებ ღალატით) მხოლოდ 4 000 მეომარი ჩააბა და მთავარი ძალებით ხმლის მოუქნევლად უკუიქცა. ქართველები მძიმედ დამარცხდნენ. ეს მოულოდნელი მარცხი საბედისწეროც გამოდგა. ჯალალ ად-დინი სრულის მხედრობით თბილისისაკენ წამოემართა. თბილისთან ქართველები დაუხვდნენ და დაამარცხეს. მაგრამ მეორე დღეს, თბილისელი მაჰმადიანების აქტიური ხელშეწყობით, ჯალალ ად-დინმა მაინც მოახერხა ქალაქში შეჭრა (1226 წლის 9 მარტი). რუსუდან დედოფალი, სამეფო კარითურთ, ქუთაისში გაიქცა. თბილისში ჯალალ ად-დინმა უსაშინელესი ხოცვა-ჟღეტა და რბევა-დანგრევა გააჩაღა. 100 000 თბილისელის სიცოცხლე შეეწირა დამპყრობთა მახვილებს.

ერთი წლის თავზე ქართველებმა თბილისი დაიბრუნეს, მაგრამ ხუთი წლის მანძილზე ჯალალ ად-დინი მაინც დაუსჯელად აოხრებდა და არბევდა ქართულ სოფლებსა და ციხე-ქალაქებს. 1230 წელს მონღოლების ახალმა გამოჩენამ ისევ დააფრთხო და გააქცია ზვარაზმ-შაჰი, ვიღაც ქურთ მომთაბარეს შეეფარა ლტოლვილი. მასპინძელი სტუმრის ძვირფას აღკაზმულობას დაეხარბა და მძინარეს გულში მახვილი დასცა.

1235 წელს მონღოლები სრულის ძალებით შემოესივნენ ქართველთა სამკვიდრებებლს. სამხრეთ საქართველოს მესვეურებმა, მხარგრძელებმა, მათზე მინდობილი სამფლობელოები მტერს ჩააბარეს და თვითონაც ჩაბარდნენ. მონღოლები მთელს სამხრეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიას მოედვნენ. თბილისიც აიღეს. მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე და ქუთაისზე გალაშქრება ვერ გაბედეს.

რუსუდან დედოფალი ისევ ქუთაისში იჯდა და რომის პაპს, გრიგოლ IX-ეს „ჯვაროსნულ დახმარებას“ სთხოვდა. მაგრამ რაკი „ევროპული გზის“ ძიება ამაო შეიქნა, რუსუდანმა ისევ მონღოლებთან შერიგება სცადა და თავისი ძე, დავითი, საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად, ყაენთან გაგზავნა, რუსუდანი

შეიღის დაბრუნებას ვეღარ მოესწრო და გარდაიცვალა (1245 წ.).

მონღოლებმა საქართველო ოვა დუმნად (სამმართველო ოლქებად) დაჰყვეს, დუმნების სათავეში ადგილობრივი ქართველი ერისმთავრები ჩააყენეს და ხარკი („ხარაჯა“) გააწერეს:

1247 წელს ქართველმა ერისმთავრებმა მონღოლთა უღლის დასამხობად შეთქმულება მოაწყვეს. საიდუმლო შეკრება მოხდა ტახტასთავს — ჯავახეთში. აქ შეითქვნენ: ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, გახაბერ გახაბერისძე, ვარამ გაგელი, შვარევარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორდა პანკელი, გამრეკელი თორელი, სარგის თმოგველი. დააღინეს — ერთიანი ძალით „კრძოლებით თათართა“, და საომარ ძალითა თავმოსაყრელ ადგილად დათქვეს რკინის-ჯვარი. ცოტნე დადიანი და გახაბერ კახაბერისძე კოხტასთავიდან ადრე წავიდნენ — დასავლეთ საქართველოდან ჯარების გადმოსაყვანად. დანარჩენებმა წასვლა-წამოსვლა ვეღარ მოასწრეს: მონღოლები დაუსხნენ და კველანი შეიძყრეს — ვიღაცას შეთქმულება გაეცა. შეპყრობილნი სომხეთში ჩაიყვანეს, ანისის ახლოს, მონღოლთა ბანაკში; ყველანი გაშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუბოჭეს, ტანხე თაფლი წაუსვეს და მწველი მზის ქვეშ დაჰყარეს. როცა ეს ამბავი ცოტნე დადიანმა შეიტყო, თვითონაც სომხეთს ჩავიდა, თვითონაც ტანთ გაიხადა, შხარ-მკლავი გაიკრა და მზითა და კრაზანებით განაწამებ ამხანაგებში ჩაჯდა. გაოცებული მონღოლი ბელადები ცოტნეს მიცვივდნენ და ასეთი უცნაური თავგანწირვის მიზეზი ჰკითხეს. ჩემს ამხანაგებს „თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს“, — უპასუხათ დადიანმა — ისინი უდანაშაულონი არიან, ხოლო თუ უდანაშაულოთა დასჯა გადაგიწყვეტიათ, მაშინ მეც მათთან ერთად უნდა დავისაჯოო.

მონღოლებმა ვაჟგაცობისა და თავგანწირვის ფასი იცოდნენ. ცოტნე დადიანის გასაოცარმა გმირობამაც გაჭრა. მონღოლებმა შველანი გაათავისუფლეს.

ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მეფობის საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო. საქართველოს ტახტისთვის ერთმანეთს ეცილებოდა ორი დავითი, ბიძაშვილ-მამილაშვილი, მე გიორგი ლა-

შასი და მე რუსუდან დედოფლისა. და 1249 წელს მონღოლების დიდმა ყაენმა მანგუმმ ორივე დავითი დაამტკიცა ერთმანეთის „თანამევეებად“. ერთ ხაზე ორივე დავითი — დავით VI რუსუდანის ძე და დავით VII გიორგის ძე — „თანადგომით“ ეწეოდნენ მონღოლურ ულელს: ხარჯს იხდიდნენ და მონღოლთა გაუთავებელ ომებში ქართული ჯარებით, „როგორც წესი“, მუდამ მეწინავე ხაზე იბრძოდნენ (მაშინდელი ცნობილი ფორმულა: „წესადმცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“). მონღოლური ულელი განსაკუთრებით დამძიმდა, როცა ირანში ცალკე მონღოლური სახელმწიფო და ცალკე ყაენი (ჰულაგუ და ჰულაგიდები) ჩამკვიდრდნენ.

1258 წელს, ისევ ქართველთა „წესისმიერი წინმბრძოლობით“, მონღოლებმა აიღეს ქალაქი ბაღდადი. იმავე წელს ისევ დავით მეშვიდისა და მისი ქართული ჯარის წყალობით, ევფრატის პირას, ჰულაგუ ყაენმა გაანადგურა ევვიპტის სულტანის ჯარები.

1259 წელს დავით VI რუსუდანის ძე (მონღოლები „ნარინს“ — „უმცროსს“ ეძახდნენ) აუჯანყდა ჰულაგუ ყაენს. ჰულაგუმ დამსჯელი ჯარი აფრინა. მძიმე ბრძოლებით ქართველებმა უკუაქციეს მტერი. დავით ნარინი ქუთაისში გადავიდა და დასავლეთ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აქცია. ამგვარად, საქართველოში ორი ტახტი დაიდგა: ქუთაისში — დავით რუსუდანის ძე („ნარინი“ — „უმცროსი“), თბილისში — დავით გიორგის ძე („ულუ“ — „უფროსი“). მონღოლებმა დასავლეთ საქართველოში გალაშქრება ვერც ამჯერად გაბედეს.

მომდევნო 1260 წელს დავით VII ულუც აუჯანყდა ყაენს, მაგრამ დამარცხდა და შერიგება ითხოვა. ჰულაგუ ყაენმაც შერიგება არჩია, რადგან ჩრდილოეთიდან მეორე ყაენის, ბერქას შემოსევას ელოდა და ძალიან სჭირდებოდა ქართველებისა და მათი მეფის თანადგომა მოსალოდნელ ომში. ეს ომი კიდევაც მოხდა. ჰულაგუმ, ქართველთა „წინამბრძოლობით“, შირვანში შემოჭრილი ბერქა დაამარცხა და დარუბანდს გადაღმა გააქცია.

1266 წელს კი საქართველოს ახალი უმძიმესი მარცხი ეწვია. დავით VII ულუ დაარწმუნეს, რომ სამცხის (მესხეთი, სამხრეთ საქართველო) მმართველი სარგის ჯაყელი გლალატობ-

სო. მაღლემრწმენმა მეფემ ერთგული ქვეშევრდომის ღალატი დაიჯერა და შეიპყრო კიდეც. სარგისის ქვეშევრდომებმა მონ-ლოლთა მაშინდელ ყაენს, აბალას აცნობეს ყოველივე. აბალა ყაენმა დავით ულუს სარგის ჯაყელის გათავისუფლება და მასთან გაგზავნა მოსთხოვა. მეფემ ყაენის ბრძანება აღასრულა. მალე ახ-ალი შემაძრწუნებელი ბრძანება მოვიდა თბილისში: ამიერიდან სარგის ჯაყელი და მისი სამთავროო სამცხე ცხადდება ყაენის პირად „ხასინჯუ-ულუსიანად“ — საკუთრებად. ასე ჩამოიკვეთა ერთ დროს ერთიანი საქართველოს პოლიტიკური სხეულისაგან კიდევ ერთი სისხლხორცეული ერთეული — სამცხე, ანუ მესხე-თის უდიდესი ნაწილი. ამიერიდან ამ ქართულ ქვეყანასთან საქართველოს მეფეს აღარაფერი ესაქმებოდა.

1270 წელს გარდაიცვალა მონღოლთა სამსახურში დასწუ-ლებული დავით ულუ ლაშას ძე.

ხოლო დავით ნარინ რუსუდანის ძე ჯერჯერობით ერთად-ერთი გვირგვინოსანი იყო, რომელმაც აქამდე მოახერხა მსოფ-ლიოს მპყრობელთაგან თავისი სამეფოს გადარჩენა და დამოუ-კიდებლად შენარჩუნება. მაგრამ მონღოლთა „დაშინებით“ როდი ამოიწურა მისი ხელმწიფური სიმაღლე. მან თვალი მიაპყრო უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ძველთამცელ პო-ნტოს და ჭანეთს, სადაც დიდმა თამარმა XIII საუკუნის დამ-დეგს თავისი საპატრონო და საუფლო სახელმწიფო შექმნა — „ტრაზიზონის იმპერია“, რომლის ყოველი კეისარიც, რასაკ-ვირველია, ქართველი ხელმწიფის „პროტექტორატის“ ქვეშ ითვლებოდა.

წინა აზიასა და საქართველოში მონღოლთა შემოსევას, ბუ-ნებრივია, თავისი ავი დაღი საქართველო-პონტოს ურთიერთო-ბისთვისაც უნდა დაესვა. საქართველომ დაპყარგა აღმოსავლეთ სამფლობელოები, — ასეთივე საფრთხე ელოდა დასავლეთ გავ-ლენის სფეროთა მფლობელობასაც.

მართლაც, როცა მონღოლებმა რუმ-იკონიის სულთანი (რუ-სუდან ქართველთა მეფის სიძე) დაამარცხეს და დახარკეს (1244 წ.), ტრაპიზონის კეისარმაც ხარკის ძლევა, ქართველე-ბის ნაცვლად, მონღოლებს დაუწყო.

მანამდე ტრაპიზონის სასახლის კარზე ორი პოლიტიკური დასი უპირისპირდებოდა ერთმანეთს — ქართული და ბიზანტი-

ური. სანამ საქართველო ქვეყნად პირველობდა, ვერც ტრაპიზონის ბიზანტიური დასი და ვერც მისი მფარველი კონსტანტინოპოლის ხელისუფლება კრინტის დაძვრასაც ვერ ბედავდა. ტრაპიზონ-პონტოს ქვეყნა უპირველეს ყოვლისა ქართული ქვეყნა იყო და მისი ხელისუფლებაც, დიდი თამარის ხელდასხმის კვალობაზე, ყოველთვის ქართული „დასის“ და ორიენტაციის საფუძვლებით მოქმედებდა და ცხოვრობდა.

ხოლო ახლა, როცა საქართველოს ძლიერება მსოფლიოს დამანგრევლებს დაენგრიათ და დაეძაბუნებიათ, ტრაპიზონის საკეისროში ერთბაშად გაციცხელდა ბიზანტიური „დასი“. კონსტანტინოპოლის ხელისუფლებაც, რომელიც იმჟამად ძალზე გაცხოველდა, მაშინვე აფუსფუსდა პონტოური ქვეყნის საქართველოსგან წასაგლეჯად და ბიზანტიის საზღვრებში მოსაქცევად. კიდევაც გაიტანეს თავისი ბიზანტიის მესვეურებმა. ტრაპიზონის ციხე-ქალაქებში ბიზანტიური ციხიონები ჩააყენეს. თითქოს საქართველო აღარც კი არსებობდა.

სწორედ ამის გამო ამხედრდა დავით VI ნარინი. 1282 წელს, გაზაფხულზე, ჯარი შეჭყარა და ტრაპიზონ-პონტოს მხარეს შეესია, ბიზანტიელები გარეკა და ისევ ქართული „დასი“ აღადგინა ტრაპიზონის საჭეთმცყრობელობაში.

ასე დარჩა ეს „სტატუსი“ თვითონ დავით მეფის აღსასრულამდე. ხოლო აღესრულა დავითი 1293 წელს, — დავით VI ნარინ რუსულანის ძე, შვილიშვილი დიდი თამარისა — იმჟამინდელ აზიელ ხელმწიფეთა შორის ერთადერთი, რომელსაც მსოფლიოს მპყრობელმა მონღოლებმა ქედიც ვერ მოახრევინეს.

მონღოლთა ყაენმა აბალამ დავით VII ულუს გარდაცვალების შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დაამტკიცა მისი 11 წლის ძე, დემეტრე II (1271—1289).

1277 წელს 17 წლის დემეტრე მეფემ აბალა ყაენის საომარი წვევა მიიღო. მონღოლთა მბრძანებელი ეგვიპტის სულტანის, ფუნდუყარ ბეიბარსის წინააღმდეგ აგზავნიდა ლაშქარს. ქართველთა მეფეც მაშინვე გაეშურა 3 000 მეომრით. ბრძოლა მოხდა მესოპოტამიაში, სადაც ქართველებმა ისე იბრძოლეს, „რომე თათარნი განკვირდეს“. საოცარი სიკისკასე გამოიჩინა ქართველთა ჭაბუკმა მეფემ. მაგრამ მისი გულადობა და გულ-

მოდგინება ძვირი დაუჯდა ქართველობას. თათართა „განკვირ-ვების“ საფასურად სამი ათასი ქართველიდან თითო-ოროლა გადაურჩა სიკვდილს.

მომდევნო 1278 წელს მონღოლებმა გილანს გაიღაშქრეს. არც ეს ლაშქრობა ჩატარებულა ქართველთა მონაწილეობის გარეშე. არც ამ ბრძოლაში დაუტოვებიათ „განკვირვების“ გარეშე მონღოლები ქართველებს მათთვის ჩვეული „თავგამოდებითა“ და „თავგადაკვდომით“. აქაც „ქართველი მიეტევნეს მნენე და აოტნეს გილანელნი“, მაგრამ მთაკლდოვანი და ციხესიმაგროვანი გილანის დაპყრობა იმჟამად ვერ შესძლო მონღოლ-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა.

1280 წელს განახლდა ბრძოლა მონღოლებსა და ეგვიპტელებს შორის. ისევ გაეშურნენ ქართველები მონღოლთა სადროშოებად, დემეტრე მეფისა და სამცხის მთავარის, ბექა ჯაყელის სარდლობით. ქალაქ დარბუზაკთან (სირიაში) გამართულ ხოცვა-ულეტაში გასაოცარი გმირობითა და შემმართებლობით ყველა დაჩრდილეს ბექა ჯაყელმა და მისმა მესხებმა. ამათ შეანგრიეს ქალაქის კედელი და შეუძლვნენ დანარჩენ მონღოლ-ქართველთა ლაშქარს დარბუზაკში.

დარბუზაკის დაცემის შემდგომ, 1281 წლის 30 ოქტომბერს, ქალაქ ამასიასთან ისევ შეხვდნენ ერთმანეთს მომტერენი. თვითონ ეგვიპტის იმჟამინდელი სულტანი მელიქ მანსური მოვიდა ბრძოლად „ყოვლითა ძალითა მისითა“. ისევ ითხოვა წინამბრძოლობა დემეტრე მეფემ, ნება მიიღო და გავიდა რჩეული ქართული რაზმით წინა ხაზზე. ეგვიპტელთა შუაკერძი გაარღვიეს ქართველებმა, მაგრამ ფლანგებზე ისუსტეს მონღოლებმა. ქართველები აღყაში მოექცნენ. ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს. ძლივს გამოაღწია საბედისწერო სალტიდან დემეტრე მეფემ. 4000 ქართველის გვამი ესვენა ეგვიპტელთა და მონღოლთა გვამებით დატვირთულ საომარ ველზე...

1284 წელს ირანის მონღოლთა ყაენი შეიქნა არღუნი. დემეტრე მეფე ახალ ყაენსაც ერთგულად ემსახურებოდა და „უცხო დროშის ქვეშ“, „უცხო თესლთაოვის“, თავისი ქართველებით ისევ „ქართველთა წესისაებრ წინამბრძოლობდა“. მონღოლთა კართან ქართველი მეფის სიახლოვეს ისიც განამტკიცებდა, რომ ყაენის მთავარი ვეზირი და უპირველესი მრჩეველი, ბუდა

ჩინგსანგი, მისი ახლობელი და მოყვარე იყო (დემეტრეს ასული ცოლად ჰყავდა ბუღას ძეს).

მაგრამ 1288 წელს არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება გამჟღავნდა. შეთქმულების მეთაურობა ბუღა ჩინგსანგს დაბრალდა. ყაენის ბრძანებით ბუღას თავი გააფდებინეს. მოკლეს მისი ვაჟიც (დემეტრეს სიძე), ამოწყვიტეს მისი ნათესავებიც, ახლობელებიც, მეგობრებიც. სახელმწიფოს ყოველ კუთხეში გაუღლიტეს ბუღასგან დაწინაურებული ყველა მოხელე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს საერთოდ არაფერი გაეგებოდა, რაის მიზეზით თუ საბაბით ასაღმებდნენ წუთისოფელს.

ჯერ ფეხზე იდგა მხრილოდ ერთი „ბუღასთაგანი“ — ქართველი მეფე დემეტრე... და, 1289 წლის საახალწლო დღეს იმანაც მიიღო „მიწვევა“ მოხღოლთა ურდოში.

მეფემ სახელმწიფო დარბაზი შეჰყარა — საერონი და სასულიერონი — და რჩევა ჰქითხა, როგორ მოქცეულიყო. ყველა მიხვდა, რომ მეფეს გამდვინვარებული ყაენის კარზე უეჭველი სიკვდილი ელოდა, ამიტომ ყველამ ერთხმად ურჩია — მთებში გადახიზნულიყო და თავისთვის ეშველა.

დემეტრემ ეს რჩევა არ მიიღო და ურდოში წასვლა მტკიცედ გადაწყვიტა: მან ასე მიმართა დარბაზს: „თუ არ წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი, მაშინ, აპა, ყოველი სამეფო ჩემი მათ წინაშე ძევს, და იხილეთ: რაოდენი სული ქრისტიანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იშვინების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოზრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსრვიან!.. მე ესრეთ ვჰგონებ: მრავალმდელვარე არს საწუთოო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ დღენი ჩვენნი, სიზმარებრ და აჩრდილებრ წარვლენ და ჩვენი შეუნელებელ და მსწრაფლ გვევალება წარსვლა ქვეყნისა ამისაგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისაგან? აწ მნებავს რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მოკლან, ვგონებ რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს!“

პვლავ ბევრი ურჩიეს, უმტკიცეს, არწმუნეს, მაგრამ ვერ გადაარწმუნეს და გადაწყვეტილებაზე ხელი ვერ ააღებინეს.

„მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და არა და-
ვიშლი ურდოსა წასვლას!“ — საბოლოოდ დაბეჭდა მეფემ.

და გაემართა იგი მონღოლთა კარზე, — საკუთარი სიცოცხ-
ლის ფასად სამშობლო ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად.

და, 1289 წლის 12 მარტს, მონღოლმა ჯალათმა ქართველთა
მეფეს, დემეტრე მეორეს, თავი გააგდებინა.

ქართველმა ხალხმა მისთვის თავგანწირულ გმირს უწოდა —
„თავდადებული“.

დემეტრეს გმირობიდან შვიდასი წლის შემდეგ, დიდმა ქარ-
თველმა მწერალმა, ილია ჭავჭავაძემ, წამებულ გვირგვინოსანს
უძღვნა პოემა — „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

არლუნ ყაენის ნებით, აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე
დაჯდა ვახტანგ მეორე, ხოლო მისი ხანმოკლე მეფობის (1289—
1292) შემდგომ, მონღოლთა ახალმა ყაენმა, ქეილათუმ, მეფედ
დასვა დემეტრე თავდადებულის ვაჟი, დავით მერვე (1292—
1311).

1295 წელს ირანის მონღოლთა ურდოში ახალი გადატრია-
ლება მოხდა და ძალაუფლება ხელთ იგდო ყაზან ყაენმა. ორი
წლის შემდეგ ყაზანმა საქართველოს მეფე ურდოში გაიწვია.
დავით მერვე არ აღმოჩნდა მამისებრ გმირული ხულის პატ-
რონი. მან ურდოში წასვლაზე უარი სთქვა, „რამეთუ აქუნდა
შიში თათართა ყაენის ხილვისა“. იგი ჟინვანს გაიქცა, იქაური
ციხეები გაამავრა, ჯარი ჩააყენა და თვითონ მთიულეთში გა-
უჩინარდა.

ამის შემდგომ ხუთი წლის მანძილზე მონღოლები განუწყ-
ვეტლივ ლაშქრობდნენ საქართველოში. ქართლი მიწასთან გას-
წორდა; მეურნეობა მოიშალა და ჩაკვდა; კაცის ხელით ნაშენები
დაინგრა და დამიწდა; ადამიანური ხული გატყდა და გამწარდა;
„არა იყო მათ უამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე“.

ძლივს მიიჟამა მეცამეტე საუკუნე — დაწყებული ქართველი
ხალხის უბრწყინვალესი აღზევებით და ამზევებით, ხოლო გან-
სრულებული უმძიმესი სისხლთა თხევითა და დაცემა-დაქვეი-
თებით.

დიადი XII საუკუნის „მსოფლიო მონაპოვარნი“ სავსებით

შეიწირა მომდევნო ასწლეულის საოცარმა ბეღუკულმართობამ.

გიორგი ლაშას აღსასრულიდან საუკუნის მიწურულამდე (78 წლის მანძილზე) ქართველებმა გარეშე მტერთან გადაიხადეს 34 უმძიმესი ბრძოლა. აქედან — მოიგეს 17, წაგეს 17. ეს პირველად ხდებოდა, რომ ქართველები საომარი თალპიონიდან „აქტიური ბალანსის“ გარეშე გადიოდნენ.

უფრო მეტი სისხლი ქართველებმა დააქციეს და დაიქციეს უცხო მიწაზე. „უცხო დროშის ქვეშ“, ანუ „უცხო ოქსლოთა ისტორიის შესაქმნელად“ — ქართველებმა გადაიხადეს 23 ბრძოლა.

საქართველო XIV საუკუნის დამდეგს

ახალი საუკუნე ახალი უბედურებით შემოიჭრა საქართველოს საისტორიო ჟამსაბრუნვაში. 1301 წელს, მონღოლთა შემოსევებით განაწამებ ქართლს საშინელი შიმშილობა დაატყდა თავს. პური აღარ იშოვებოდა არავითარი ფულის ფასად. „ესოდენ გამძვინდა შიმშილი“, რომ „მძორსა არაწმინდასა ურიდად ჭამდნენ. სავსე იყენეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი, მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკვდრებითა. ყრმანი მკვდართა დედათა ლეშკთა სწოვდიან“ (იმ წლებში შიმშილობდა მთელი ირანი, შუამდინარეთი, ეგვიპტე).

ერთადერთ ბეღნიერებად ესღა დარჩენილიყო, როომ თათართა შემოსევებისაგან დაცული მესხეთი გადარჩენილა შიმშილს. აქ „იპოვებოდა პური სასყიდლად“. ქართლის დამშეული მოსახლეობა მესხეთს მიაწყდა. მესხებიც გულუხვად დაუხვდნენ სისხლისღვრითა და შიმშილით ღონეწართმეულ თანამომმებს. ბეჭა ჯაყელის მეუღლე, ვახახი, ქალი საოცრად სათნო და „ყოვლითურთ შექობილი“, სათავეში ჩაუდგა სამცხისაკენ ლტოლვილ ქართლელთა „უხვად და უზომოდ“ დაპურება-დაბინავების საქმეს. საქართველოს სახელმწიფო ტახტისაგან განდგომილმა „მესხურმა ბეღელმა“ უხვი კალთა გაუხსნა თავის სისხლიერ ძმებს.

ხოლო, „განდგომილება“ მესხეთისა, როგორც მკითხველს ემახსოვრება, ჯერ კიდევ დავით VII ულუს დროიდან დაიწყო,

როცა მეფის უმაღლერობით გაგულისებულმა სარგის ჯაყელმა მესხეთი მონღოლთა ყაენს პირად ხასინჯუ-ულუსიანად შეავე-დრა და შეავრდომა. მის შემდგომ ქართველმა მეფეებმა დაკარ-გეს სამცხე-მესხეთი, ეს „ერთი მესამედი საქართველო“. ამიე-რიდან მესხეთის მფლობელები, ჯაყელ-ციხისჯვარელნი, ქარ-თველ მეფეთაგან განრინებულნი და თათართა ყაენის „კალთას შეფარებულნი“, განაგებდნენ ქვეყანას ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე.

მარამ ხშირ შემთხვევაში ეს „განრინება“ მაინც პირობით ხასიათს ატარებდა. მრავალსაუკუნოვან ქართულ ფეხვებზე ნა-ზარდ მესხურ „ინსტიტუტებს“ მაინც არ შეეძლოთ დედაქარ-თული სახელმწიფოებრივი ხისაგან სავსებით მოკვეთილიყვნენ. მესხეთის ამაყი მბრძანებლები, ჯაყელ-ციხისჯვარელნი, „სამც-ხის სპასალარის“, „მანდატურთუხუცესისა“ და „მეჭურჭლეთ-უხუცესის“ მქუხარე ტიტულებს ისევ „თბილისელი მეფის“ ხელდასმით დებულობდნენ.

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ყველაზე ძლიერი პიროვნება სწორედ სამცხის მთავარი, მანდატურთუხ-უცესი ბექა ჯაყელი იყო. მისი სარდლობით 12 000 მესხმა სას-ტიკად გაანადგურა ბასიანსა და ტაოში შემოჭრილი 60 000-იანი ურდო, რომელსაც ვინმე აზატ-მოსე მოუძღვნდა. ამ ამბავმა ყველა დიდსა და მცირე მტერს „გაახსენა“, რომ ქართველებს გამარჯვება არ დავიწყნოდათ.

მერე, ძლიერ ქართველ ხელმწიფეთა მსგავსად, ბექა ჯაყელ-მა დასავლეთისკენაც გაიწია — „პონტოურ-ჭანური საქართვე-ლოს“ შემოსამტკიცებლად. აქ, ტრაპიზონის სასახლის კარზე, კვლავ თავგამოღებით ებრძოდნენ ერთურთს ქართული და ბიზა-ნტიური „დასები“. ბექა ჯაყელმა ტრაპიზონის კეისრის ტახტ-ზე თავისი სიძე, ალექსი II აიყვანა, ტრაპიზონში მესხური ცი-ხიონი შეაყენა და თამარ მეფისგან შექმნილ სახელმწიფოში „ქართული ორიენტაციის“ საფუძვლები კვლავ განამტკიცა და გააძლიერა.

ბექა ჯაყელი დინჯი გულსრულობით და წინდახედულობით განაგებდა „თავის წილ საქართველოს“. მამაც სარდალსა და ჭკვიან ხელისუფალს სამართლისმცოდნისა და კოდიფიკატორის იშვიათი უნარიც აღმოაჩნდა. ბექა ჯაყელმა მისი დროის „იუ-

რისტთა“ საკრებულო შეპყარა და მათი დახმარებით ქართული წიგნი შეაღვინა — „წიგნი სამართლისა კაცთა შეცდომებისა კო-ველისავე“.

მთაში გადახვეწილ დავით მერვეზე გადამტერებულმა ყაზან ყაენმა საქართველოს „ნამდვილ მეფედ“ მისი ძმა, ვახტანგ დე-მეტრეს ძე გამოაცხადა. ვახტანგ მესამემ ექვსი წელიწადი (1302—1308) იმედა „სრულიად საქართველოს მეფის“ ტიტუ-ლით, თუმცა სინამდვილეში მისი სამფლობელოს საზღვრება-თბილისისა და დმანის-სამშვილდის იქით ვეღარ მიღიოდა. თბი-ლისის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ მიწებს ისევ დავით-მერვე ჩაფრენდა, დასავლეთ საქართველო კვლავ დავით VI ნარინის შვილებს ეპყრათ, ხოლო სამხრეთი მხარე, დიდი მეს-ხეთი, ისევ და ისევ ჯაყელთა ხელში იყო განკერძოებით.

ვახტანგს ჯერ კიდევ გამეფებამდე გაუვარდა ნიჭიერი და მა-მაცი ჭაბუკის სახელი. 1299 წელს ყაზან ყაენმა დიდი ლაშქრო-ბა მოაწყო სირია-პალესტინიდან ეგვიპტელთა გასაღევნად. ყა-ზანმა ვახტანგიც თან წაიყვანა ქართლელთა და მესხთა ჯარე-ბით. მონღოლები და ქართველები შეიძრნენ „ქვეყანასა ასუ-რასტანისასა და შამისასა და მოაოხრებდეს“. მაშინ დიდალი მხედრობით წამოვიდა ეგვიპტის სულტანი ნასარ მელიქი. სას-ტიკი ბრძოლა გაჩაღდა ქალაქ ჰემსთან. ქართველებმა აშკარა-დაღუპვისგან იხსნეს ყაზან ყაენი. მონღოლებმაც მხრები გაშა-ლეს ქართველთა „საკვირველი წინამბრძოლობით“ ფრთაშესხ-მულებმა. დამარცხდნენ და „ივლტოდეს მეგვიპტელნი და ნასარ მელიქი“. ქალაქი ჰემსი აიღეს და დაიჭირეს გამარჯვებულებმა. იმ წელსვე იერუსალიმსაც დაეუფლნენ მონღოლები და ქართ-ველები. ახლა დამასკოს ჯერიც დადგა.

1300 წლის გაზაფხულზე, ყაზან ყაენმა ვახტანგი გაგზავნა. ქართული ჯარით დამასკოს დასაპყრობად. სასტიკი, თავზეხე-ლაღებული იერიშებით აიღეს ქართველებმა მსოფლიოში გან-თქმული ციხე-ქალაქი. აიღეს და მონღოლთა მბრძანებელს მი-ართვეს.

ოთხი თვე ძლიერ მოათია მონღოლთა ციხიონმა დამასკო-ში. აჯანყდნენ დამასკოელნი და გამოდევნეს ქალაქიდან მონ-ღოლნი. ისევ გაიწვია ლაშქრად ვახტანგი ყაზან ყაენმა. ისეჭ-

პირველი შეიჭრნენ ქართველები დამასკოში. მიჰყვნენ მონღოლები და სასტიკად აიკლეს დაცემული ქალაქი.

კიდევ სამი წელი იბრძოდა „წინამბრძოლად“ ვახტანგ მეფე თავისი ქართველებით მონღოლთა და ეგვიპტელთა შორის გამართულ სისხლიან პაექრობაში. ისევ ქართველთა „წინამბრძოლობით“ გაიარეს, დაიპყრეს და გაძარცვეს მონღოლებმა ქვეყნები ტიგროსიდან ლაზამდე და სუეცის ყელამდე.

გიორგი პრეციცვალე და მისი დრო

1314 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მეფე შეიქნა დემეტრე თავდადებულის უმცროსი ძე, გიორგი მეხუთე, „ბრწყინვალე“.

გიორგი მეხუთემ მემკვიდრეობად ქვედამხობილი და დაქცეული საქართველო მიიღო. მონღოლურ-თათრულმა უღელმა, ურჯუმმა ბასკაკობამ სავსებით გააპარტახა და ძირფესვიანად ამოაგდო სამეურნეო ცხოვრება. მძიმედ დახარკული ქართველი გლეხი მის უსაყვარლეს და უმთავრეს საქმიანობას — მიწათმეურნეობას ტოვებდა, დედაბუდიანად იყრებოდა და მთაში იხიზნებოდა. გარბოდა თითქმის ყველა, ვინც კი მონღოლთა გაუთავებელ ომებში სიკვდილს გადაურჩა. საქართველოს ბარი სოფლიან-ქალაქიანად ცარიელდებოდა და ვერანდებოდა.

მონღოლურმა სამხედრო მანქანამ შეარყია და შეცვალა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებაც. უთავეუმო ომებმა და უცხო დროშის ქვეშ „წესად მიღებულმა“ ქართველთა „წინამბრძოლობამ“ სამხედრო სიქველე უმაღლესი საზოგადოებრივი „მოწოდებისა“ და პრივილეგიის საგნად აქცია. ახალი სოციალური შრე — სამხედრონი — წარმოადგენდა იმდროინდელი საზოგადოების „ელიტას“. ძველი აზნაურებიდან წინაურდებიან „დიდებულები“. მეფის შემდგომ უმაღლეს მაგისტრატურებს იჰკერენ „მთავრები“, ანუ „საქვეყნოდ გამრიგენი“, რომლებიც, ისევ და ისევ ძლიერ მახვილზე დაყრდნობით, ხელთ იგდებენ ცალკეულ ქართულ თემთა და კუთხეთა უზენაეს ხელისუფლებას.

ძირფესვიანად შერყეულიყო საუკუნეთა მანძილზე მკაცრად და მკვრივად ჩამოსხმული ქართული ზნეობრივი და სამართ-

ლებრივი სამყარო. იდგა „დიდი უსამართლობა და მძღვრებულობა... ერთმანეთსა დალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგრა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი“, არსად „სამართალი არად იყო-და“.

ახეთი იყო საქართველო XIV საუკუნის დამდეგს – დამლილ-დაწიწვნილი პოლიტიკურად, ჯანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული სულიერად.

და სწორედ დროზე მოევლინა თავის ქვეყანას გიორგი მეხუთე ბრწყინვალე – დირსი, იხსენიებოდეს გვერდით დიდთა ქართველთა ხელმწიფეთა: ფარნავაზისა, ვახტანგ გორგასალისა, ბაგრატ მესამისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა.

გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს მთიანეთი მოიარა, მკაცრად მოიმტკიცა და ბართან ერთად ერთიან სახელმწიფო-ბრივ და ზნეობრივ კანონმდებლობაში მოაქცია. მეფის ახალ კანონმდებლობას, რომელიც სახელმწიფო დარბაზმაც მოიწონა, ეწოდა „ძეგლის დადება“. საქართველო უბრუნდებოდა თავის ძველ, ტრადიციულ წესრიგსა და ზნეობრიობას. ფეოდალური განკურძოებულობა გზას უთმობდა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების შეუვალ და განუყოფელ უზენაესობას. ბორიტი „ულუსობანი“ (მონღლოური ზნე-ჩვევანი) მძიმედ, მაგრამ გარდუვალი უამგასულობით ივლტოდა ზნეობრივი სამყაროდან.

კანონთა კრებულს – „ძეგლის დადებას“, გიორგი მეფემ ახალი სახელმწიფო-ბრივ-პოლიტიკური კანონმდებლობა მოადევნა. ესაა – სახელგანთქმული „ხელმწიფის კარის გარიგება“, ქართული სახელმწიფო-სამართლებრივი კულტურის ბრწყინვალე გამოვლინება. ეს ნიშნავდა დიდი დავითისა და თამარის დროინდელი სახელმწიფო-ბრივი სისტემის აღდგენა-აღორძინებას...

გიორგი ბრწყინვალე ცხოველი ენერგიით იბრძოდა საქართველოს დანგრეული სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად და ასაყვავებლად. მთაში გახიზნულ ბარელებს ისევ თავის ნაფუძარზე აბრუნებდა, ამკვიდრებდა და ტრადიციული გლეხური ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა, ამხნევებდა, ეხმარებოდა.

საგანგებო ფინანსური რეფორმით გიორგი ბრწყინვალემ აღამაღლა ეროვნული ფულადი მეურნეობა. მოჭრა ახალი ვერცხლის მონეტა – „გიორგაული თეთრი“, რომელმაც მაღე და-

ჩრდილა და ბოლოს ფულადი მიმოქცევიდან გააძევა მონღოლური „ყაზანური თეთრი“.

გიორგიმ ფართოდ გაშალა კულტურული აღმშენებლობა. კვლავ აღადგენდა ასი წლის მანძილზე ნანგრევ-ნაოხარ ქალაქებს, სოფლებს, სავანეებს, ტაძრებს, არხებს, გზებსა და ხიდებს. მან განაახლა დაქცეული და შერყვნილი ტაძრები — დადანისა, ფიტარეთისა, წუღრულაშენისა, კაზრეთისა და ლმანისისა.

ყველაზე მთავარი გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობაში მაინც ის იყო, რომ მან იარაღი აღმართა მონღოლთა უღლის ჩამოსაგდებად. აღმართა და თავისი გაიტანა კიდეც. მისი მეთაურობით ქართველებმა 1335 წელს დაამხეს ასწლოვანი ბატონობა მონღოლებისა. ქართველთა მეფე ერთბაშად „მსოფლიო გმირად“ იქცა, რადგან მონღოლთა მბრძანებლობაში მყოფთაგან მსოფლიოში იგი აღმოჩნდა პირველი, რომლის მოთავეობით მასში ხალხმა პირველმა დაამხო უბოროტესი „თათრული უღლი“.

მონღოლთა განდევნამდე გიორგი საქართველოს გაერთიანების საოცნებო საქმესაც შესდგომოდა. 1327 წელს მან შემოიერთა დასავლეთი საქართველო (იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი). საქართველოს უკიდურესმა ჩრდილოდასავლეთმა სამანმა კვლავ მიატანა თავის ძველ საზღვარს — ნიკოფილის (ტუაფსე). 1334 წელს გიორგი მეფემ შემოიერთა შესხეთი და სრულიად სამხრეთი საქართველო. შემდეგ, ზედიზედ შემოიერთა სომხეთი, დაიპყრო რანი, მოვაკანი, დაღესტანი, დახარკა შირვანი და ისევ აღმართა ქართული სამანი კასპიის ზღვაზე, ქალაქ დარუბანდს.

მაშ, გიორგი მეხუთე ბრწყინვალემ, „ვითარცა აღმაშენებელმან“, კვლავ აღადგინა კავკასიელთა იმპერია „ნიკოფილით დარუბანდამდის“.

ხოლო, 1341 წელს გიორგი ბრწყინვალემ ქართული „დასის“ საჭითმპყრობელობა ისევ აღადგინა ტრაპიზონ-პონტოს სახელმწიფოში და ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ისევ გადაიჭიმა სინოპიდან არდაველამდის.

ისევ ახმაურდა მსოფლიო ლეგენდარული დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერის სახელმწიფოს ხელახლი აღორძინების თაობაზე. ევროპა დიდის ამბით იხსენიებს ქართ-

ეელთა ქვეყანას, ქართველთა სატახტოს, ქართველთა მეფეს. რომის პაპმა უმჯობესად სცნო, ევროპელთა საქრისტიანო კათოდინა, — რომელიც სარწმუნოებრივზე მეტად დიდსა და იდუმალ პოლიტიკურ ზრახვებს ემსახურებოდა — ქალაქ სმირნადან საქართველოს სატახტოში გადმოეტანა. ამასთან დაკავშირებით რომის პაპი იოანე XXII თავის ეპისტოლები წერდა: „თბილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, უაღრესად შესანიშნავი, ერთ სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია. ამიტომ... სმირნას საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ჩენებულს თბილისის ქალაქსა“.

გიორგი მეხუთე თავგამოდებით ზრუნავდა, აღედგინა „ყველა რჯულის“ მსოფლიოში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი პრესტიჟი საქართველოსი. გავიხსენოთ, — XI საუკუნეში, პროხორეს მეთაურობით, ქართველებმა იერუსალიმში ააგეს ჯვარის მონასტერი (დღესაც რომ არსებობს). მერე, დავით აღმაშენებელმა სინას მთაზე ააშენა ქართული ეკლესია. ყოველივე ამას სარწმუნოებრივ მნიშვნელობაზე უფრო წმინდა პოლიტიკური მიზანდასახულობა ჰქონდა: მუსლიმანურ აღმოსავლეთში და ქრისტიანულ ეკროპაში ქართული პრესტიჟის „გამსოფლიოება“. ავბედითმა XIII საუკუნემ ქართველებს „მსოფლიო წიაღსვლები“ ხელიდან გამოსტაცა. მაპმადიანებმა, ეგვიპტის სულტანის წაქეზებითა და თანადგომით, იერუსალიმის ჯვარის ლავრა ქართველ ქრისტიანებს წაართვეს და ისლამიტურ მიზგითად გადააკეთეს. ქართველებსაც ამიერიდან, სხვა ქვეყანათა ქრისტიანების მსგავსად, უფლება წაერთვათ ეროვნული დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. ამას გარდა, მუსლიმანებმა ქართველების დამცირებაც ისე გადაწყვიტეს, როგორც მანამდე ამცირებდნენ დანარჩენ ქრისტიანებს: ისინი, მაპმადიანთაგან განსხვავებით, ცხენზე თუ სახედარზე ცალგვერდით ფეხებგადაწყობილნი უნდა მჯდარიყვნენ, ვითარცა დედაკაცები... იერუსალიმის ყოველი „წმიდა ადგილი“, მათ შორის ქრისტეს საფლავიც, უკლებლივ მუსლიმანებს ჩაეგდოთ ხელში.

გიორგი მეხუთემ ეგვიპტის სულტანს ელჩები გაუგზავნა (პიპა ერისთავი და დეკანოზი იოანე ბანდასძე) და მოსთხოვა: მიზგით გაეუქმებინა ჯვარის მონასტერში და დაებრუნებინა იგი ქართველებისთვის; აღარ აეკრძალა ქართველებისთვის წესისა-

მებრ ცხენზე ჯდომა და მათთვის მიეცა ყველა სხვა უფლებანი, რაითაც კი თვითონ მაპმადიანები სარგებლობდნენ; ქართველებს დაბრუნებოდათ ტრადიციული უფლება იერუსალიმში გაშლილი ქართული დროშებით შესვლისა; ბოლოს, ქრისტეს საფლავის კლიტებს მოითხოვდა ქართველი მეფე.

ყველა ამ საკითხთა შესრულება მაპმადიანური წესით შეუძლებელ საქმედ იყო მიჩნეული. მაგრამ მაპმადიან ხელმწიფებშიც იმდენად დიდი ყოფილა რიდი და კრძალულება საქართველოს მეფისადმი, რომ ეგვიპტის დიდმა სულტანმა უკლებლივ აღასრულა ყველა მისი მოთხოვნა.

მაშ, ისევ დაუბრუნდათ ქართველებს მათი ტაძრები და სავანები პალესტინასა და სინას მთაზე. ისევ შედიოდნენ ქართველები იერუსალიმში ეროვნული დროშების რჩევით და მხედრულ-რაინდული ოქარუნით. ქრისტეს საფლავის კლიტებიც ჩამოუტანეს გიორგი მეფეს მისმა ელჩებმა იერუსალიმიდან თბილისში.

ნიშანდობლივია გულზვავიან მუსლიმან მბრძანებელთა — მათ შორის, ყველაზე ძლიერ ეგვიპტელ სულტანთა მიმართვანი. ქართველი ხელმწიფისადმი:

„ალლაჰმა დღეგრძელჲყოს ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშრშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, ლომისა, ტასტ-გვირგვინისა მპყრობელისა, თავის სარწმუნების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, მართლმადიდებელ ქრისტიან მეფეთა შორის საუკეთესოისა, ქართველთა სულტანისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოთა განძისა, რაინდთა მფარველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა, რუმისა და ირანის ქვეყნების მფარველისა, გვირკვისოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საძირკვლისა, წმიდა აღგილთა (პალესტინა-იერუსალიმის) განმადიდებლისა, ნათელდებულთა მისაყრდნობელისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, უახლოეს მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა...“

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მას უწოდა — „ბრწყინვალე“.

იგი მოუკვდა საქართველოს 1346 წელს. დაკრძალუს გე-
ლათს.

თემურლევი და საქართველო

გიორგი ბრწყინვალის აღსრულებიდან ორმოცი წელი ძლივს
მოათავა საქართველომ უომრად, სისხლდაუღვრელად, მშვიდო-
ბიანი გუთნისდედობით, ვაზის დარგვა-ზრდით, აღმშენებლო-
ბით, შემოქმედებით.

აღმოსავლეთში უკვე აღმართულიყო ახალი, ყოვლის დამა-
ნგრეველი ტაიფუნი. ეს იყო თემურლევნი („თემურ-კოჭლი“),
უძლავრესი მესამე ტაიფუნი (აჭილასა და ჩინგიზ-ხანის შემ-
დგომ).

მოპქროდა „კოჭლი რკინა-კაცი“. უკვე დაეპყრო მთელი ცე-
ნტრალური აზია — მავერანხავრი, ხორებმი და ხორასანი. უკ-
ვე დაერბია, დაენგრია და სისხლნაზავ ნაცარტუტად ექცია მრა-
ვალი კულტურული შენამოქმედი. უკვე დაედგა კოშკები აღ-
მიანთა წარკვეთილი თავებისაგან!..

მხოლოდ თავისი სატახტო ქალაქის, სამარყანდის აშენების,
აღზევების, გამშვენიერებისა და გამდიდრებისათვის ზრუნავდა
მსოფლიოს ეს ახალი დამანგრეველი. მსოფლიოს დასამონებ-
ლად აღძრულიყო კაცი, რომელშიც ერთმანეთისგან განუყრე-
ლად ჩაკირულიყო: კაციც და სატანაც, დიდი ხელმწიფეც და
შარაგზის ყაჩაღიც, ბრძენიც და შლეგიც, კულტურის მოყვარეც
და კულტურის დამანგრეველიც, წიგნის მოთაყვანეც და წერა-
კითხვის უცოდინარიც...

ხორასნიდან ირანს შემოიჭრა თემურლენგი. 1386 წელს
მან აიღო თავრიზი; იქიდან სომხურ პროვინციებში შემოიჭრა
ცეცხლითა და მახვილით, ზედიზედ აიღო გარნისი, სურმალუ
და კარი. აქედან კი თემური და მისი მხედრობა საქართველოს-
კენ წამოემართნენ. მოდიოდა „სიმრავლე სპათა ურიცხვი, რო-
მელსა ვერ იტევდნენ მთანი და ველნი და ყოველნივე არენი და
სანახებნი საქართველოსანი“.

საქართველოს მაშინდელმა მეფემ, ბაგრატ მეხუთემ (1360—
1393), საომრად ამართული დაახვედრა სატახტო ქალაქი მძი-
ნვარე მტერს. მან მოკლე სიტყვით მიმართა ქართველთა ლაშ-

ქარს: „ურიად უმჯობეს არს და სანატრელ სიკვდილი სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, ვიღრე-და მორჩილებასა, იძულებით შეპყრობასა და მონობაში“. სოქვა და ხმალშიშველი გაუძღვა ჯარს. ქალაქის გარეთ შეებნენ ქართველები უკვე იერიშზე დაძრულ მტერს. თემურმა უკუქცევა ბრძანა. მეორე დღეს ისევ წამოვიდნენ იერიშზე თათარ-თურქმანნი. ისევ უკუქციეს ქართველებმა. ათი დღე გაგრძელდა უსაზმნო რკენა.

უკანასკნელი, გადამწყვეტი იერიშისათვის გაამზადა თემურმა ურდო. ფლანგებზე ცხენოსანი კორპუსები დააყენა, შუაზედ ქვეითი ათასეულები სქელ ტყედ შეჰყარა, გვერდებზე ფარები და თავზე რკინის წნულ-ჩელტები გადააფარა და, მძლავრი „საარტილერიო ცეცხლის“ (ქვის ჭურვები ლოდსატყორცნებით), შემდეგ, მოწყდა და გამოქანდა „ყოვლითა ძლიერებითა“.

გაეგებნენ ქართველები თავზე რკინაგადავლებულ ურდოს, შეუხტნენ და შეაწყდნენ უსაზმნოდ. რკინის ზღვამ გადათქერა და გადალეკა თბილისის ციხიონი. ქალაქი მთელი დღე შეუწყვეტლივ ივსებოდა „რკინის-ჩელტიანებით“.

უამრავი ნადავლ-ნაალაფარით დაიტვირთა თემური და მისი ლაშქარი; „რა ქონება იგდო ხელო, რა ხატები გაძარცვა და დაწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს“. მრავალი დაატყვევეს და ბორკილდადებული გაირეკეს. თემურლენგმა ტყვედ წაიყვანა თვითონ მეფე ქართველთა, ბაგრატ მეხუთე და მისი ოჯახი.

თემურლენგმა ძვირფას ნადავლად თან წაიღო ქართველ მეფეთა მდიდარი და განთქმული ბიბლიოთეკა და ქართულ ეკლესია-სავანეთაგან ვატაცებული „მრავალნი საღმრთო და საერო წიგნები“. თემურის ბრძანებით, საქართველოდან წაღებული წიგნადი საუნჯენი სამარფანდს სავანებოდ საბიძლიოთეკოდ გამზადებულ შეჩერში დააბინავეს, რკინის ღობებით შემორაგვეს, მტკიცედ დაკლიტეს, დაბეჭდეს და ზედ წყველა-მუქარა დააწერეს, რათა „არავინ განიღოს მუნითგან წერილნი“.

ტყვეობაში ბაგრატ მეფემ მოახერხა თემურლენგის ნდობის მოპოვება (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ძვირფასმა ტყვემ „ძვირფას მასპინძელს“ ძვირადღირებული რკინის პერანგი აჩ-

უქა). ბოლოს, გამოუშვა კიდეც საქართველოში თემურმა, ბაგრატი, 12 000 თათრის თანხლებით. საგრაფტა წინასწარ იღუმალ შეატყობინა თავის ძეს, უფლისწულ გიორგის – თათრები მომყვებიან, გზაზე დასაფრდით, „წინა-უკანა ვუქმნათ“ და გავანადგუროთ. მართლაც დაუხვდნენ ქართველები თათრებს ერთ ვიწრო ხეობაში, გზები ჩაუჭრეს, მიესივნენ და ისე ასწყვიტეს, მოამბეც ადარ გაუშვიათ ციცხალი. ეს თემურლენგის პირველი დიდი მარცხი იყო მის „დასავლურ ლაშქრობათა“ ასპარეზზე.

მეორედ წამოვიდა საქართველოსკენ მოულოდნელი მარცხით გაშმაგებული თემურლენგი. მოდიოდა „ძალითა მრავლითა და საშინელებითა ზარის-სახდელითა, საყვირითა და დაბ-დაბ ცემითა და ბუკთა ტკრციალითა“.

გაეგებნენ ქართველები. განსაკუთრებული სიმამაცით იპროდნენ მეწინავე „ახალმოასაკენი“ ბაგრატ მეფისა. მაგრავთავისი გაიტანა მტრის რიცხობრივმა სიჭარბემ. ხუთჯერ მეტი მტრისანი დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ მაინც დამარცხებული უკუიქცნენ ქართველნი.

ცეცხლითა და მახვილით შემოესივნენ ქართლის მიწა-წყალს მომთაბარენი. მოსახლეთაგან ვეღარავის მოახელთეს, რადგან წინასწარ გაეხიზნა ბაგრატ მეფეს ხალხი კავკასიონის მთებსა და ხევხუვებში. უარესი გახელებით შეუდგნენ მარცვას, რბევას და ნგრევას დამპყრობელნი. „მოითარეშეს, მოაოხრეს და დაწვეს ყოველნივე შენობანი, და უფროსდა წმინდანი ეკლესიანი და მონასტერნი დააქცინნეს და დაწვეს ცეცხლითა“, შემუსრეს მცხეთის დიდებული ტაძარი. ქვაბთა-ხევის მონასტერში მღვდელ-მონაზონ-მოწესენი შეჰყარეს და გარედან ცეცხლი წაუკიდეს. დიდალი ნაძარცვით დატვირთული გაბრუნდა საქართველოთან თემურლენგი.

მესამედ 1393 წელს შემოესივნენ საქართველოს თემური და მისი მოლაშქრენი. ამჯერად სამცხე-მესხეთი მოითარეშეს და მოძარცვეს. მესხები გააფთრებით ებრძოდნენ მტერს. თათრებმა სამცხის მიწაზე ფეხი ვერ დაიმაგრეს და უკან გაბრუნდნენ.

თემურლენგს დაუძინებელი მტრობა ჰქონდა ჩრდილო-მონღლური ულუსის, ოქროს ურდოს ყაენთან, თოხთამიშთან. თან იგი ეჭვობდა, რომ თოხთამიშთან ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მაშინდელ მეფეს, ბაგრატის ძე გიორგი მეშვიდეს

(1393–1407), რომელსაც შეეძლო არაგვის კარი (დარიალი) გაეხსნა და სამხრეთისკენ, ირანის დასალაშქრავად გამოეშვა თემურლენგის ჩრდილოელი მეტოქეები. ამიტომ 1394 წელს თემური მეოთხედ წამოემართა საქართველოსკენ, ამჯერად არაგვ-დარიალის ხელში ჩასაგდებად.

არაგვის ხეობა ურიცხვი თაორული მხედრობით გაივსო. არაგველი ქართველები მარად ჩვეული სიმამაცით დაუხვდნენ მტერს. თემურლენგს ძვირი უჯდებოდა ბრძოლა ყოველი ციხისათვის, უღელტეხილისათვის, ბილიკისათვის. მაინც გააღწია დარიალზე, მაგრამ შეიტყო, რომ ოქროს ურდოელებს დარუბანდის კარი გადმოულახავთ და შირვანში შემოჭრილან.

სასწრაფოდ გამობრუნდა დარიალიდან თემური. ქართველები კვალდაკვალ მოსდევენენ და თარეშული თავდასხმებით თათართა ძალებს ათხელებდნენ. მტკვრის ხეობაც ვაი-ვაგლახით გაიარა თემურის ურდომ. შირვანს გავიდა, მაგრამ უკვე გადაესწროთ დარუბანდზე ჩრდილო ულუსიანებს. მომდევნო 1395 წელს თემურლენგმა თერგის პირას სასტიკად გაანადგურა თოხთამიში, გაქცეულს მისდია და ვოლგაზე სატახტო ქალაქიც წაართვა და დაუნგრია.

1398 წელს თემურენგმა ინდოეთს ილაშქრა, აიღო ფენჯაბი, დელი და ის იყო განგსაც მიატანა, რომ მოულოდნელი ამბავი წამოაწიეს: ისევ აჯანყებულან ქართველები, მეფე გიორგი მეშვიდის შეთავრობით შეტევაზე გადმოსულან, ადარბადაგანი აუღიათ, ირანული ციხეებიც დაუპყრიათ, თათართა ციხიონები გაუწყვეტიათ და ქართული ციხიონები ჩაუყენებიათ, და ქართველთა წაბაძით, თურმე სხვა ქვეშევრდომებიც აჯანყებისთვის ემზადებიან.

ინდოეთიდან გამობრუნდა თემურლენგი.

და 1399 წელს, კვიან შემოდგომაზე, იგი მეხუთედ შემოესა საქართველოს. ეს იყო მტრის უმძიმესი შემოსევა, რომელიც კი ოდესმე განეცადა ქართველთა ქვეფანას. ამჯერად აღმოსავლეთის მხრიდან, კახეთ-ჰერეთიდან მოიწევდა თათართა ურდო. წინასწარ ტყვები გააჩეხვინა თემურმა თავისიანებს და ისე გაიგდეს გზა ქვეყნის სიღრმისკენ. მაგრამ დიდი თოვლი მოვიდა და კვლავაც განუწყვეტლივ თოვდა. თემური ორ კვირაში აპირებდა საქართველოს სრულ ამოგდებას, მაგრამ ომი გა-

ჭიათურდა. ქართველები უსისხლოდ არ თმობდნენ არცერთ გოჯ მიწას. მაშინ ბრძანა თემურმა: ქართულ მიწაზე მოესპოთ და მოეთხარათ ყოველივე საარსებო, რის ვარეშეც წარმოუდგენელი იყო არსებობა ქართველი კაცისა — აეჩებათ და ამოეძირკვათ ბაღები, ამოეგდოთ და წარეხოცათ ბოსტან-ბაღჩები, აეჩეხათ და ამოეთხარათ ვაზ-ვენახები, დაეძარცვათ, დაენგრიათ და დაეწვათ ყოველნაირი ნაგებ-ნაშენობანი — კერძო სახლებიც, ყოველი შრამელიც, სასახლეებიც, საყდრებიც და ეკლესია-მონასტრებიც. ყოველივე აღესრულა: აჩეხეს, აკაფეს, ამოთხარეს, ამოძირკვეს, დაანგრიეს, ქვა-ქვაზე არ დატოვეს, ფერფლად აქციეს და ქარს გაატანეს. თვითონ თემურის მამებელი მეისტორიე გაიძახდა გაოცებული: თემურლენგს ინდოეთში ლაშქრობის დროსაც არ დაუნგრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოში დააქციაო!..

მაგრამ ზაქს მაინც არავინ იხვეწებოდა მსოფლიოს დამპყრობ-დამანგრეველის წინაშე ქედდადრეკილი და ქვედავრდომილი, ავად სდუმდა ძებორციელთაგან დაცალიერებული, მთასა და ტყე-ღრეში გახიზნული ქვეყანა.

ავი მდუმარებით კრიჭაშეკრული ტოვებდა თემურლენგი მტრისათვის ეგზომ მწარე ქვეყანას — ქართველთა ქვეყანას.

მექევსედ 1400 წელს შემოესია საქართველოს თემურლენგი. გიორგი მეფემ ისევ მთებსა და გამოქვაბულებში გახიზნული დაახვედრა ხალხი მოსისხლეს. ისევ ასჩეხეს, ამოთხარეს და გადალექეს ყოველი ნერგი და ჭირნახული თათრებმა, ისევ ანგრიეს და აქციეს ნაცარტუტად კაცის ხელით ნაშენები ყოველი. მერე მთებს და ხევებს შეუყენა ჯარები თემურმა, შეხიზნული ხალხის საჟღეტად. და გაჩაღდა „სამთო ომები“. თათრები საგანგებოდ გაწყობილ გოდრებში და კალათებში სხდებოდნენ და თოკებ ჩამობმულნი კლდეებზე გამოქვაბულთა პირდაპირ ეშვებოდნენ; აქედან უშენდნენ ისრებს ქვაბულებში შეხიზნულ ქართულ ოჯახებს. შეხიზნულებიც შეგნიდან სროლითვე პასუხობდნენ მტრის „საპაერო დესანტებს“. ან თუ მოახელებდნენ, თოკებს ჰკვეთდნენ და „დესანტები“ უფსკრულებში ცვიკოდნენ... ვერ შესძლეს დამპყრობლებმა მთაში გახიზნული ქართული ოჯახის ვერც ამოწყვეტა, ვერც დამორჩილება და დამო-

წება. თათრები მთიდან დაეშვნენ. ქართველები თარეშულ („პარტიზანულ“) ომშე გადავიდნენ და მოუღოდნელი თავდასხმებით აჩანაგებდნენ ქართლის მიწა-წყალზე გაფენილ ურდოებს. მაინც დიდმალი ნაძარცვი აიღო და 60 000 ტყვეც წაიყვანა იმ წელს თემურმა საქართველოდან.

კიდევ ორჯერ ილაშქრა თემურლენგმა საქართველოში – 1401 და 1403 წლებში. ჯერ თორთუმის ციხე აიღეს თათრებმა, ხოლო ბოლოს, მერვე ლაშქრობის დროს, ქართლში ბირთვისის ციხე დაიპყრეს და დასავლეთ საქართველოსკენ წამოემართნენ. შვიდასამდე სოფელი ააოხრეს იმერეთში თათრებმა. ქუთაისამდე მიაღწიეს. აქ კი, გააფთრებულმა წინააღმდეგობამ უკუაქცია დამპყრობელი...

მიღიოდა თემურლენგი საქართველოდან, 17 წლის ამაო სისხლისლვრით გატეხილი და დამარცხებული. „დიდი ისკანდერის (ალექსანდრე მაკელიონელის) რაშის ბედიც მუხლებს დაიმსხვრევდა გურჯესთანის მიწაზეო!“ – თავს ინუგეშებდა იგი.

საქართველოდან გასვლის ორი წლის თავზე მოკვდა.

საქართველო საქართველოდ დარჩა, მაგრამ მძიმედ დაზიანებული, დანგრეული და სისხლდადენილი. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყდა, ქვეყანა ნანგრევებად იქცა, სამეურნეო ცხოვრება მოიშალა. მძიმე ჭრილობების მოშუშება მძიმელვე ვიდოდა. საუკუნეები სჭირდებოდა აურაცხელი ნივთიერი და სულიერი ზარალის ანაზღაურებას.

ქართველი კაცი მაინც იმედიანად უცქერდა მომავალს, ისევ მხნედ გუთნისდედობდა, რგავდა, ახარებდა, აშენებდა და ამაგრებდა.

საქართველო XV საუკუნეები

მაგრამ საქართველოს ისევ გამოუჩნდნენ ახალი საშიში მტრები. ეს იყო თურქმანთა ახალი გვარ-ჯილაგი – ყარა-ფოინლუ, ანუ „შავბატქნიანები“ (რადგან დროშაზე შავი ბატყანი ეხატათ). მათმა ბელადმა, ყარა-იუსუფმა, ირანში მძლავრი მონარქიის შექმნის შემდეგ, საქართველოსკენ დასძრა დიდმალა მხედრობა. 1407 წელს უმძიმესი ბრძოლა გაიმართა თურქმანთა

და ქართველთა შორის. გმირის სიკვდილით დაეცა შეფე გიორგი მეშვიდე. ქართველ მეომართა უმრავლესობა ფეხმოუცლელად შეაკვდა რიცხვმრავალ მტრის.

საქართველოს მეფე შეიქნა კონსტანტინე პირველი (1407–1411), რომელსაც ისევ მოუჩდა თურქმანებთან საომრად გასვლა. ყარა-იუსუფმა შირვანის დასაპყრობად დასძრა ლაშქარი. შირვანის მფლობელმა ტრადიციულ სიუზერენს, ქართველ მეფეს სთხოვა დახმარება. კონსტანტინე მეფე ორი ათასი ქართველით გაეშურა შირვანელთა მისაშველებლად. ბრძოლა მოხდა ჩალადანთან, მტკვრის მარცხნა ნაპირზე, 1411 წელს. შირვანელები პირველ ხმალზედევ გაექცნენ ბრძოლას. მათი ბელადი ყელზე თოვგაბმული მიართვეს ყარა-იუსუფს. ქართველები მარტო შერჩნენ გარშემორტყმულ მტრის ურიცხვ მხედრობას. სხვა რაღა დარჩენდათ და, იმდროინდელი მუსლიმანი ისტორიკოსის სიტყვით, ქართველებმა „თავგანწირული ბრძოლა გააჩადეს და წელზე წინააღმდეგობის სარტყელი შემოირტყეს“. საარაკო სიმამაცით იბრძოდა თვითონ კონსტანტინე მეფე. ორი ათასი ქართველიდან ათას შვიდასი დაეცა განგმირული, ხოლო სამასი, მათ მეფესთან ერთად, ტყვედ აიყვანეს „შავბატკნიანებმა“. რისხვამ აიტანა ყარა-იუსუფი, როცა სამასივე ქართველმა უარი სთქვა მის წინაშე მუხლის მოყრაზე. მან ხელგაკრული ქართველი მეფე საკუთარი ხელით მოჰკლა, ხოლო დანარჩენი ქართველები თავის მხლებლებს ჩახოცვინა.

საქართველოს ტახტზე ავიდა ალექსანდრე პირველი (1412–1443), ენერგიული და ნიჭიერი ხელმწიფე, ხალხისგან „დიდის“ ტიტულით შემკობილი. ალექსანდრემ შეძლო აღეკვეთა თურქმანთა შემოსევები საქართველოში. მან რამდენჯერმე გაანადგურა და განდევნა „ურჯულონი“. 1431 წელს ქართველებმა თათრებს ხელიდან გამოჰკლიჯეს და შემოიმტკიცეს ლორე და მისი ველები. შემდეგ შემოიერთეს სივნიეთი (ყარაბაღი და მისი მეზობელი თემები). ამით საქართველოს ამოწყვეტილ მოსახლეობას 60 ათასი კომლი შემოემატა.

საქართველოს ხელახალმა აღორძინებამ ისევ აღმრა სამხრეთელ მტერთაგან შევიწროებული სომეხი ხალხი ქართულ საზღვრებში თავშესაფარებლად. დედაწულიანად მოდიოდნენ და გულდანდობილად სახლდებოდნენ – სამშვილდეში, თბილისში.

კრწანისში, გორში, უფლისციხეში, ვარდისუბანში, თმოცვეში,
ოთაში... ყველგან, სადაც კი მოისურვებდნენ და მოისადაგებდ-
ნენ „ამ კეთილი ვრაცების“ კეთილ მიწაზე...

• • • • •

აღექსანდრე პირველის მეფობის შემდგომ საქართველოში
ფრიად გამძლავრდა და გამძაფრდა შინაპოლიტიკური რღვევის
პროცესი. ცალკეულ რეგიონთა მესვეური-ფეოდალები ისევ მი-
ელტვიან ცალგე, „მიკრომონარქიული“ განცალკევებისაკენ. უკ-
ვე სავსებით დამოუკიდებლად ეჭირა თავი მესხეთს, ანუ სამც-
ხე-საათაბაგოს მთავარს — ათაბაგს.

აი, 1453 წლის 29 მაისი და — სრულიად ახალი ერას და-
საწყისი მსოფლიო ისტორიაში: თურქები იღებენ კონსტანტი-
ნოპოლის — წინამძღვრი, ახალგაზრდა, მამაცი სულტანი, ოს-
მანის შთამომავალი, მუჰამედ II.

წყდება ათასწლოვანი ისტორია ქრისტიანული ბიზანტი-
ოსა.

იწყება ახალი ისტორია მაჰმადიანური თურქეთისა, ანუ ოს-
მალეთისა.

და ეს სიახლე არის არა ოდენ ერთი ხალხისა, თუ ერთი
ქვეყნისა, არამედ სრულიად მსოფლიოსა, სრულიად დედამიწა-
პლანეტისა.

ამიერიდან, კონსტანტინოპოლის ნაცვლად — ისტანბულ.

ამიერიდან — დედამიწის „ოქროს ჭიპზე“ ანუ „ოქროს ხი-
ზე“, მსოფლიოს სანიშანსვეტოდ — ჯვარის ნაცვლად ნახევარ-
მთვარე.

• • • • •

XV საუკუნე მიექანება დასასრულისკენ, მიეექანება და მი-
ითრევს საქართველოს, ფიზიკურად ჯანდაშრეტილს, პოლი-
ტიკურად დაწიწვილს. ამ საუკუნეში ქართველებმა გარეშე
მტრებთან გადაიხადეს 28 ბრძოლა. აქედან მოიგეს 18, წააგეს
10. მაინც აღარ არსებობს „იმპერია“ საქართველოსი „ნიკოფ-
იით დარუბანდამდის“.

საქართველოს ნანგრევებზე წარმოქმნილან „საქართველოე-

ბი“: ქართლის სამეფო, კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამცხის სამთავრო (საათაბაგო).

იმერეთის სამეფოდან ცალ-ცალკე მიისწრაფიან: საბედიანო-სამეგრელო, აფხაზეთი და გურია.

ერთმანეთს მტრობენ, მესისხლეობენ, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებენ უერთმანეთოდ, დაქსაქსულად, ერთმანეთის საზიანოდ, „ერთიანი ფრონტის“ დავიწყებით და... დამიწებით...

საქართველო XVI საუკუნეში

XVI საუკუნის დასაწყისში ირანის სახელმწიფოს სათავეში სეფიანების, ანუ „ყიზილბაშების“ („წითელთავიანები“ – წითელი თავსარქმელების მიხედვით) დინასტია მოექცა. მათმა ბელადმა, ისმაილმა, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ქართველების დახმარებით ჩაიგდო ხელში. მაგრამ ისმაილ შაჰია ქართველებს დანაპირები არ შეუსრულა – საქართველოს არც ხარკი მოხსნა, არც მის წინააღმდეგ ლაშქრობებზე აიღო ხელი.

1514 წელს აჭყდა ნახევარსაუკუნოვანი ომი ყიზილბაშურ ირანსა და ოსმალურ თურქეთს შორის. საქართველო ისევ უნდა „მი-მო-ქცეულიყო“ ამ ორ ბუმბერაზს შორის.

ჯერჯერობით ორივე მხარე ასე რიგდებოდა საქართველო-სადმი დამოკიდებულებაში: აღმოსავლეთი საქართველო – ირანს, დასავლეთი საქართველო – თურქეთს.

ირანელებს დიდის თავგამოდებით ებრძოდა ქართლის მეფე ლუარსაბ პირველი (1527–1556). არც ბაგრატ მეფე ურიგდებოდა თურქთა გაბატონებას იმერეთში. 1543 წელს სულეიმან სულთანმა არზრუმის ბეგლარბეგი მუსა ფაშა გამოგზავნა 22 000 იანიჩარით იმერეთის დასასჯელად. ქარალაქთან გამართულ ბრძოლაში იმერლებმა სასტიკად გაანადგურეს რიცხვმრავალი მოპირდაპირე. ამ ამბის მომსწრე მუსლიმანი ისტორიკოსი წერს: „ქართველებმა ლალისფრად შეღებეს ბრძოლის ველი ოსმალთა სისხლით და მრავალი ოსმალო, მუსა ფაშასთან და წარჩინებულ ოსმალებთან ერთად დახოცეს, ხოლო მათი ბანაკი დაარბიეს და აიკლეს“.

1555 წელს, ქალაქ ამასიაში, ოსმალეთმა და ირანმა ზავი

შეკრეს. დასავლეთ საქართველო კვლავ ოსმალეთს მიეკუთვნა, აღმოსავლეთ საქართველო კი — ირანს.

მომდევნო 1556 წელს ირანის ქვეშეევრლომი, განჯა-ყარაბა-ლის ბეგლარბეგი, შაჰვერდ ზიად-ოღლი შემოესია ქართლის მიწა-წყალს, დიდძალი მხედრობით. ლუარსაბ მეფემ სასწავლოდ აწვია ლაშქარი. ბრძოლა მოხდა ციხესიმაგრე გარისთან, მდინარე ხრამის ხეობაში. ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს, მაგრამ ბრძოლაში დაცა თვითონ ლუარსაბ მეფე.

ქართლის მეფე შეიქნა ლუარსაბის უფროსი ძე, სვიმონ პირველი (1556—1569; 1578—1601), მამაცი, ნიჭიერი, გულმხურვალე მამულიშვილი. მან რამდენიმე ბრძოლა ძლევამოსილად გადაიხადა ირანიდან შემოჭრილ არმიებთან. 1569 წელს ახალი თურქმანულ-ირანული ურდო შემოიჭრა ქართლის საზღვრებში. ბრძოლა მოხდა სოფელ ფარცხისთან. სვიმონ მეფემ ფიცხელი შეტევით გაარღვია მტრის შუაგული, და „მიეტევნეს ქართველნი გულითა სრულითა... და მიდრიკნეს ყიზილბაშნი პირველსავე კვეთებასა ზედა“. მაგრამ მოღალატემ, მტრის მეგზურმა კახაბერ ყორდანაშვილმა, წინ გაჭრილ მეფეს ყოველის მხრიდან ყიზილბაშთა გამდლავრებული რაზმები მიუსია, მეფე ზურგიდან ძგერებით ცხენიდან გადააგდეს და ტყვედ წაიყვანეს. ქართველებმა თითქმის მოგებული ბრძოლა წააგეს.

ირანის მბრძანებელს, შაჰ თამაზ პირველს მიჰვარეს სვიმონ მეფე. შაჰი ქართველს გათავისუფლებასაც შეკპირდა, ქართლის ტახტის დაბრუნებასაც, ოღონდ სამაგიეროდ ქრისტიანობაზე ხელის აღება და გამაჰმადიანება მოსთხოვა. სვიმონმა ცივი უარი სთქვა. მაშინ შაჰის ბრძანებით სვიმონი ალამუთის ციხეში ჩააგდეს. სვიმონის ნაცვლად ქართლის მეფედ შაჰმა ლუარსაბის შუათანა ვაჟი, გამაჰმადიანებული დავითი (დაუდხან) გამოაცხადა.

ქართველი პატრიოტები კი ბრძოლას განაგრძობდნენ. ქვეწისა და სვიმონ მეფის მოღალატეებს, სადაც კი მოახელებდნენ, უწყალოდ ქლეტდნენ. ქვემო ქართლის სპასპეტმა, საჩინო ბარათაშვილმა, მოღალატე ყორდანაშვილი შეიპყრო და კლდეზე გადასჩეხა. დაუდ-ხანი თბილისის ციხიდან ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდა. ქართველ მამულიშვილთა შურისმგებლურ ბოლმაში დაიბადა ახალი, მტრის თავზარდამცემი სიმღერა:

„ქიდევაც დაიზრდებიან
ალგოთ ლექვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი!“

1578 წელს განახლდა ომი ირანსა და ოსმალეთს შორის. ამავე წლის 9 აგვისტოს, ჩილდირის ველზე დიდი ბრძოლა მოხდა. ოსმალებმა გაიმარჯვეს.

ოსმალეთის სულთანმა მურად მესამემ დრო ხელსაყრელად ჩასთვალა, ირანელები ამიერკავკასიიდან სავსებით გაეძევებინა და ერთხელ და სამუდამოდ დაეპყრო ქვეყნები „ორ ზღვას შორის“. და იმავე წელს დიდაღი თურქული მხედრობით აღმოსავლეთ საქართველოსკენ წამოემართა ჩილდირის ბრძოლის გმირი, სერასქერი ლალა მუსტაფა ფაშა. ქართლი უმეთაუროდ შეხვდა ოსმალობას. ირანის შაჰისგან დაყენებული დაუდ-ხანი ირანში გაიქცა. კახეთის მეფემ, ალექსანდრე მეორემ, ქართლის საშველად თითიც არ გაანძრია და თურქეთის ხელმწიფეს მორჩილება გამოუცხადა. თურქები თბილისს დაეუფლნენ და კახელ მეომართა თანხლებით აზერბაიჯანის დასაპყრობად და იქიდან ირანელთა გასაღევნად გაემართნენ. თურქებმა და ქართველებმა ზედიზედ აიღეს შაჰის, შემახის, ბაქოს, შაბურანის, დერბენდის, მაჰუდაბანდისა და სალიანის ციხე-ქალაქი.

ირანის სახელმწიფო კარიც არ შეურიგდა თავისი „გავლენის სფეროების“ დაკარგვას ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. ირანის სასახლის კარზე მიიჩნიეს, რომ ეგზომ კრიზისული მდგომარეობიდან გამოხსნა შეეძლო სვიმონ მეფეს, რომელიც აქამდე, ათი წლის მანძილზე აღამუ... უურლმულებში იტანჯებოდა ბორკილდასხმული.

და გამოუშვეს სვიმონ მეფე საქართველოში, თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ საომარი ირგანიზაციის სახელმძღვანელოდ და სამეთაუროდ. ჩამოსვლისთანავე ფეხზე დააყენა სვიმონმა ქართლის ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა. მან ზედიზედ დაამარცხა თურქული ბანაკები. ორთვენახევარში ბევრი დიდი და მცირე ციხე წაართვა დამპყრობლებს. ამათგან ყველაზე მთავარი ციხენი იყო ლორე და გორი, რომელთა დაკარგვა ფრიად საგლო-

ველი შეიქნა თურქეთის სულთანის კარზე. იმავე წელს თბილისში გამაგრებულ თურქულ გარნიზონს შეუკრა გზები სვიმონმა. შემდგომი წლებიც ქართველთა გამარჯვებებით წარიმართა. ქართველებმა იხსნეს თავისი წმიდა სატახტო — თბილისი. ამის შემდგომ აიღეს კიდევ მთავარი ციხენი ქართლისა — სამშვილდე, ღმანისი. აჯანყდა მესხეთიც, მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით, და განიდევნენ თურქული ციხიონები სამხრეთ საქართველოს უმთავრესი ციხე-ქალაქებიდან. 1584 წელს, სოფელ ხატისსოფელთან, მდ. ალგეთის ხეობაში, სვიმონ მეფის გონიერამახვილური მანევრით, ოთხი ათასმა ქართველმა სრულად გაანადგურა ოცდაათი ათასიანი თურქული მხედრობა.

სამი წლის შემდგომ, 1587 წელს, ირანის ტახტზე ავიდა სახელოვანი შაჰ აბას პირველი, რომელმაც ხელმწიფობა აღმოსავლეთ ოზბეგების წინააღმდევებ ლაშქრობით დაიწყო. ამ ლაშქრობაში მას გვერდით, „მარჯვენა ხელად“ ჰყავდა მესხი თვალშევნიერი, მანუჩარ ათაბაგის უმცროსი ძმა. სამჯერ შეებნენ ყიზილბაშები ოზბეგებს და სამჯერვე, შაჰის ბრძანებით, თვალშევნიერმა, ოზბეგები „კიდეც დახოცნა, ხელთაც დაიჭირნა დაყაენს მიუსხა“...

სვიმონ მეფემ ქართლიდან თურქები გარება, მაგრამ დანარჩენ ფრონტებზე ჯერ ისევ მაინც თურქები სჯაბნიდნენ ირანელებს. შაჰ აბასი დარწმუნდა, საჭირო იყო ზავი და, ომის წარმატებით განახლებამდე, ქვეყნის შინაგანი ძირეული გარდაქმნები და რეფორმები. და დაიდო კიდეც ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის (1590 წ. 21 მარტი). ამ ზავით საქართველო ირანმა თურქეთს „დაუთმო“. სვიმონ მეფე მარტო შერჩა გამდვინვარებულ თურქეთთან ომს.

მაგრამ მაინც იბრძოდა გმირი ხელმწიფე, იბრძოდა „ვიდრე პირში სული ედგა“. ერთ ხანს ევროპის „გონზე მოყვანას“ ცდილობდა ქართველი მეფე. წერილებს სწერდა პაპს, „დიდი ომის თქროს ნაღარას“, კლიმენტი VIII-ს და ესპანეთის მეფეს, ფილიპე II-ს: შევკავშირდეთ და ერთიანი ძალებით თავი გაუჟეჭყოთ ქრისტიანთა მოსისხლე თურქებსო; გავათავისუფლოთ იერუსალიმი და ვიხსნათ ქრისტიანები უსჯულოების ხელთაგან; ჩვენ, ქართველები აქედან შემოვუტევთ და თქვენ მანდედან მოაწექით ოსმალეთსო.

მაგრამ მიწერ-მოწერა მხოლოდ მიწერ-მოწერად დარჩა.
ქართლი ისევ მარტო იყო ოსმალური მონარქიის პირისპირ.

უკანასკნელი ბრძოლა 1599 წელს მოხდა, ალგეთის ხეობაში, სოფელ ნახიდურთან. სწორედ აქ, მეფე, ქართველთა მცირე ჯარით, წინ გადაუდგა უეცრად შემოჭრილ და თბილისაკენ მომავალ ოსმალთა ურიცხვ მხედრობას. მტრის მეწინავე რიგები ჩაჰკაფეს და ჩააწვინეს იერიშზე გადასულმა ქართველებმა, თურქელი ღროშები დაიხელოეს და დაფხრიწეს, მაგრამ თოფების ტყვიის სეტყვის ქვეშ ხმლები დაუმოკლდათ და უკუიქცნენ. თავაწყვეტილი სრბოლის ჟამს ერთმა მხედარმა ქართველ მეფეს უკნიდან უნებურად ცხენი დაამგერა და მეფე სვიმონი ცხენიანად დამეწყრილ, ლაფით სავსე ხევში გადაეშვა. ქართველები მეწყერში ჩაფლულ მეფეს გარს შემოერტყნენ და მოზვავებულ მტერს მთლიანად შეაწყდნენ. თვითონ მეფე, მას შემდეგ რაც უკანასკნელი ისარიც შემოიხარჯა, თურქებმა, მათი მთავარსარდლის თხოვნით, ცოცხლად გამოიყვანეს. დატყვევებულ მეფეს თურქეთის გზაზე, მისი გმირი მეომრების წარკვეთილი თავებით სავსე საპალნები მიაცილებდა.

ზეიმობდა ოსმალეთი. დაცემულიყო ამიერკავკასიის ხალხთა უპირველესი გმირი – ღროშა, რწმენა და იმედი. სულთან მეპმედ მესამეს ბრძანება გაეცა: სამი დღე-დამე იზეიმოს ბრწყინვალე პორტამ! სამი დღე-დამე ოსმალური ღროშები გაღმოპყიდეს და გადმოაფრიალეს ყველა ქალაქში.

მერე თვითონ შეხვდა სულთანი სვიმონს, შეხვდა „დიდი სიამტკბილობით“, ბევრი წყალობა შეპპირდა, დიდი სიმდიდრე და პატივი, მაგრამ ვერ იქნა და „გათათრებაზე“ ვერ დაითანხმა. არც ქართლის დახარკვასა და ქვეშევრდომობაზე დათანხმდა ქართველი მეფე.

სულთანის ბრძანებით, სვიმონ მეფე „შვიდკოშკიან ციხეში“ (იედიფულე) ჩააგდეს. იქვე გარდაიცვალა 1603 წელს – უიღბლო ეპიგონი ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა, გიორგი ბრწყინვალისა.

XVI საუკუნემ სისხლიანი ეტლით გადაიარა საქართველოს გულზე. ამ ასწლეულში ქართველებმა გარედან მომხვდურ მტერთან ვადაიხადეს 70 ბრძოლა, აქედან მოიგეს 49, წაგეს 21.

ბეგრი სისხლი ადინეს ვადამთიელს, მაგრამ არა უმცირესი — ერთმანეთს. ლამის დაიქცა საქართველო. „არღარა იწერებოდა“. არღარა ისმოდა საზღვარგარეთის ქართულ სავანეთაგან. „არღარა შენებულობა“ შენდებოდა. მაგრამ მაინც კიაფობდა ნაპერწკალი ნაცარმორეულ ქართულ კერაზე...

საქართველო XVII საუკუნეში

XVII საუკუნის დამდეგს განსაკუთრებით გაძლიერდა სპარსეთი. მაშინდელი ხელმწიფე ირანისა, სახელოვანი შაჰ აბას პირველი, მის კარზე შემოკრებილ მაჰმადიან ქართველთა მხარდაჭერით და მათზე დაყრდნობით განამტკიცებდა ქვეყნის შინაგან, სამხედრო, სამეურნეო, სააღმშენებლო და კულტურულ ცხოვრებას.

ისფაპანში, ირანის მაშინდელ სატახტოში, ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობდა, შრომობდა, მოღვაწეობდა.

სპარსეთის შაჰის კარი და სპარსული არისტოკრატია ქართველებთან მოყვრობას და სისხლით დანათესავებას მიეღლტვოდა. „სპარსეთში, შაჰიდან დაწყებული და უდაბლესი ქვეშვრდომით დამთავრებული, იშვიათად შეგხვდებათ ადამიანი, რომელსაც დედა ან მამა ქართველი არ ჰყავდეს; ან უკიდურეს შემთხვევაში, ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში“, — წერს ფრანგი ჟან-ბატისტ ტავერნიე.

გამოჩენილი ინგლისელი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი აღნიშნავს, რომ სპარსეთში არ არის არცერთი არისტოკრატული გვარი, რომლის სისხლი არ იყოს გაკეთილშობილებული ქართველთა ან ჩერქეზთა სისხლით.

თვითონ შაჰ აბასსაც თავი მოჰკონდა ქართველებთან „ნათე-სავობით“ და ქართული ენის სრულქმნილი ცოდნით.

სახელმწიფოს რეფორმატორული საქმიანობის სათავეშიც შაჰ აბასმა უახლოესი კაცი, ტომით ქართველი, ალავერდი-ხან უნდილაძე ჩააყენა. ქართველ სამხედრო რეფორმატორს შაჰმა თანაშემწეებად ინგლისელი ძმები — ანტონ და რობერტ შერლები დაუნიშნა.

უნდილაძემ 30 000-იანი, მკაცრად გაწვრთნილი არმია შექმნა, 10 000 თოვითა და 500 ზარბაზნით აღჭურვილი. ცალკე

შეიქმნა „ღულამთა“, ანუ ყულის ჯარი – 10 000 რჩეული მხედარი. ეს იყო „გვარდია“, ძველი აქემენიდების დროინდელი „შპელავთა“ ჯარის მსგავსად. ყულის ჯარის უფროსიც – ყულარალასი – ისევ ალავერდი-ხან უნდილაძე იყო (ამიერიდან მთელი 125 წლის მანძილზე სპარსეთის რჩეული ჯარების მთავარსარდლად, „როგორც წესი“, ქართველი იყო).

ალავერდი-ხან უნდილაძეს ევროპელი მოგზაურები და დიპლომატები ირანის „ვიცე-კოროლს“ ეძახდნენ. იგი იყო შაპის პირველი მრჩეველი, პირველი ვეზირი, მთავარი სპასალარი, „კლასიკური ირანის“ – ფარსის ბეგლარბეგი. უნდილაძეს და შემდგომში მის შთამომავლობას ეკუთვნოდა უამრავი ქარვასლა, ფუნდუკი და ბაზარი. მას ხელთ ეჭყრა საქარავნო და სამხედრო გზები ირანისა და ისფაჰანისა. მარტო ფარსის საბეგლარბეგოდან ასი ათასი ეკიუ შემოსდიოდა. უნდილაძე და შემდგომში მისი მონაგარი ირანში აგებდა გზებს, ხიდებს, წყალსადენებს, კაშხალებს, ქარვასლებს, საფოსტო სადგურებს, მეჩეთებსა და მედრესებს. დღესაც მოქმედებს ისფაჰანში ალავერდი-ხან უნდილაძის ნაშენები ხიდი. უნდილაძის ცოლმა, ქართველმა ქალმა, საკუთარი ფულადი სახსრებით, ირანის მთები მრავალგან უდელტეხილებით გადასტეხა, გზები გაიყვანა, მდინარეებზე და ხევხუვებზე ხიდები გასდო. დიდი „კულტურტრეგერიც“ იყო უნდილაძე. კულტურულ აღმშენებლობას ელტვოდა შეუსევნებლივ. აშენებდა, აჩუქურომებდა, აქანდაკებდა, ხატავდა. ისფაჰანში ჩეპელ-სუთუნის სასახლის კედლები ბრწყინვალე ფრესკებით მოახატვინა (იქვე ქართული წარწერაც „შეაპარა“ ქართველყოფილმა). ეტანებოდა ირანულ, არაბულ, ბერძნულ და ქართულ მწიგნობრობას. უკვარდა ფირდოუსი, ჰომეროსი, ჰილატონი, არისტოტელე და ლოცულობდა შოთა რუსთაველზე.

„მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, ხოლო მე უნდილაძეს ვემორჩილებიო“, – ამბობდა თვითონ შაპ აბასი.

საგანგებოდ უნდა მივანიშნოთ, რომ შაპის გვარდია, ანუ ყულის ჯარი, – რომელსაც ყულარალასად უნდილაძე ედგა – თითქმის მთლიანად ყრმობიდანვე ტყვედ წაყვანილი და გამაჰმადიანებული ქართველებისგან შედგებოდა. აქვე, ქართველთა გვერდით, აქა-იქ ირიცხებოდნენ გამაჰმადიანებული სომხები და

ჩერქეზები. ამიტომ წერდა სპარსეთში იმჟამად მყოფი პიეტრო დელა ვალე, იტალიელი მოგზაური და მეცნიერი: ირანის არ-მის მთავარი ძარღვი ქართველთა მხედრობა არისო...

ირანის დედოფლებიც ქართველი ქალები იყვნენ – შაჰ აბა-სის ოთხი ცოლი – თამარი, დარეჯანი, ელენე და ლელა.

„სპარსეთში დედა-დედოფალი ყოველთვის ქართველ მეფეთა შთამომავალია“, – წერს ინგლისელი ჯონ ფრაიერი...

1603 წელს შაჰ აბასმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ირან-თურქეთის ეს ახალი ომი, მცირე შესვენებებით, 1639 წლამდე გაგრძელდა. შაჰი ამ ომით აპირებდა: დაებრუნებია თურქეთის-გან წართმეული ირანული მიწები და ამიერკავკასია მთლიანად – გამორჩევით, საქართველო დაეჭირა ისე მტკიცედ, რომ აღ-არასოდეს მისი დაუფლების იმედი აღარ დარჩენიდეს არც მო-სისხლე ოსმალეთს და არც უკვე ჩრდილოეთიდან მოწოდილ „მეგობარ“ რუსეთს.

პირველი ბრძოლა 1603 წლის ზაფხულში მოხდა, სოფელ სუფიანთან, სალმასის ოლქში. თურქები დამარცხდნენ და უკუ-იქცნენ. სპარსელები დაედევნენ და იმავე წლის 16 ნოემბერს გარს შემოადგნენ ერევანს, სადაც ძლიერი ოსმალური ციხიონი ჩასაგრებულიყო. შაჰ აბასმა ერევანზე საიერიშოდ ქართველი მეფეები მიიწვია, ქართული ჯარებით – ქართლის მეფე გიორგი მეათე და კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე. ისინიც ეახლნენ შაჰს.

შაჰ აბასმა ქართველები წინ დაუყენა სპარსულ ჯარებს და უერიში ბრძანა. ქართველებმა სამი დიდი ჯვარი წაიმძღვარეს და გაუძღვნენ იურიშს. პირველი ეპენენ თურქებს, სძლიერ და შეიჭრნენ ქალაქში. მიჰყვნენ ირანელი. ერევანი თურქებს წაერთვა და სპარსელებს მიერთვა.

შაჰ აბასმა ქართველ მეფეებს ჯამაგირი დაუნიშნა. მაგრავ ტევე შაჰმა, ასეთი „წყალობის“ საფასურად, ქართლის მეფეს სამხრეთ სამფლობელოთაგან ლორეს მხარე ჩამოართვა, ხოლო კახეთის მეფეს – აღმოსავლეთი მხარე, კაკ-ელისენის მიწები. სულ მალე საქართველის ეს სასაზღვრო, ჩამქეტი კარიბჭენი, ვერაგ შაჰს თურქმანული, მომთაბარული ტომებით უნდა დაე-სახლებინა.

ქართველი მეფეები შაპის მზაკვრობას აშკარად ჰქონდნენ და საკუთარი ქვეყნების გადარჩენისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ. ალექსანდრე კახთა მეფე რუსეთთან ურთიერთობისა და მასთან კავშირის გაბმით ფიქრობდა ქვეყნის გადარჩენას. შაპი რადიკალურ სისასტიკის გზას დაადგა. გიორგი მეფე მოაწამვლინა, ხოლო ალექსანდრე მეფე მის შვილს, სპარსეთში გაზრდილ კონსტანტინეს მოაკვლევინა. კახელებმა აჯანყებით უპასუხეს და მამის მკვლელი და ქვეყნის მოღალატე რენეგატი მოჰკვლეს. შაპ აბასმა დროებით დათმო და „ორივე საქართველოში“ ისევ ქართველთა „სასურველი მეფეები“ დაამტკიცა: ქართლში — ლუარსაბ მეორე, კახეთში — თეიმურაზ პირველი.

1606 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება გაიმართა. ოსმალეთის მხრივ ელჩობას მეთაურობდა სტამბოლის კარზე დაწინაურებული ქართველი ქალი, სახელად გულჩარა, გიორგი მეათის ასული. გულჩარა მშვიდობიანობის მთავარ პირობად სრულიად საქართველოს „დათმობას“ მოითხოვდა, რასაკვირველია, ფადიშაპის გვირგვინის სასარგებლოდ. შაპ აბასმა არ დათმო და ომი გაგრძელდა.

იმხანად ქართლის მეფის, ლარსაბ II-ის კარზე დაწინაურდა აზნაური გიორგი სააკაძე, ნიჭიერი, მამაცი, საქმიანი და ენერგიული კაცი. იგი თბილისის მოურავად (ქალაქის თავი) დაუნიშნა მეფეს.

1609 წელს ოსმალთა და ყირიმელ თათართა ურდო შემოიჭრა მოულოდნელად საქართველოში. ახალციხე დაერბიათ და ქართლის სიღრმისაკენ მოემართებოდნენ ძარცვა-რჩევით; განზრახული ჰქონდათ, მოულოდნელად დასცემოდნენ ცხირეთის ციხესიმაგრეს, სადაც მაშინ მცირე ამალით იდგა ქართლის მეფე ლუარსაბ II.

გზაზე, სოფელ კველთაში თურქებმა მეგზურად აიყვანეს ადგილობრივი მღვდელი, სახელად თევდორე, რომელსაც უბრძანეს ცხირეთისაკენ გაძლოლა. მღვდელი ჭეშმარიტი გმირი გამოდგა. მან ცხირეთს გვერდი აუქცაა და მტერი სულ სხვა გზით წაიყვანა. როცა შეუტყეს, თურქებმა თევდორე ხმლებით ასჩენეს. მაგრამ ამასობაში მეფესთან მყოფმა გიორგი სააკაძემ სახელდახულოდ ლაშქრის შექრა მოასწრო და მოთარეშე მტერს მიუხდა. პირველი დატაკებისთანავე გიორგი სააკაძემ და ზაზა

ციციშვილმა, სხერტის ჭალაზე, დაამარცხეს და გააქციეს თურქები. მერე გადამწყვეტი ბრძოლისათვის თურქებმა ტაშისკარში, ნახვეტას მინდორზე გადაინაცვლეს. აქვე მოხდა დიდი ბრძოლა, 1609 წლის 27 ივნისს. მთავარსარდალმა, გიორგი სააკაძემ, ბრწყინვალედ წარმართა ბატალია, ათი ათასმა ქართველმა სავსებით გაანადგურა სამოცი ათასი მომტერე-დამპყრობელი.

თურქთა განადგურება შაპ აბასის წისქვილზეც ასხამდა წყალს. სწორედ ამიტომ, ამ გამარჯვების „საფასედ“, ლუარსაბ ქართველთა მეფემ დაითანხმა შაპ აბასი, გაეყვანა სპარსულა ციხიონი თბილისიდან. ამის შესახებ წერს სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში: „...და მისცა შაპ აბასმა ლუარსაბ მეფეს თბილისის ვილაიეთი, საქართველოს განთქმული ქალაქი, რომლის ციხესიმაგრეს თავი მარჩივის ვარსკვლავედის თაღა-მდე ჰქონდა აღმართული... ხოლო ხენებული ლუარსაბი იყო საოცრად მომხიბლავი, მშვენიერი სახისა, მოხდენილი ყმაწვილი. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა შაპს რომ ეახლა. ჭეშმარიტად, ასეთია თითქმის ყველა ქართველი ბატონიშვილი. ის კი არა და, საქართველოს მთელი ხალხი, ყოველი კაცი და ყოველი ქალი, იქაური ჰავა-ჰაერის სინაზის გამო, ნატიფ ღაწვთა და ლოფათა სიტურფითა და სინარნარით, ნაკვთებისა და ხელების მოხდენილობით, ყველა სხვა ადგილთა და ქვეყანათა ხალხებს სჯობია. ყველანი სამოთხის ბინადარი ქალის, ჰურიას მსგავსნი და იოსებ მშვენიერის ღაწვთა მქონენი არიან, მოსეს შუქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი სახეებიდან და ქრისტიანული სასწაულიც ცხადად სჩანს მათი საოცარი ენატკბილობიდან და საამური ქცევებიდან. თუმცა საქართველოში ქრისტიანობაა გავრცელებული და ქართველები მოკლებული არიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას (მაპმადიანობას), მაგრამ თავისი სიმშვენიერით, ჰავის სიჯანსაღითა და მიწა-წყლის უმწიკვრობით და ნაყოფიერებით, ქვეყნიერების ვერცერთი მხარე საქართველოს ვერ შეეღრება. სწორედ ქართველთა სამშობლოზე შეიძლება ითქვას ეს ლექსი:

„ყოველ წუთში თითო იესო დაიბადება,

ყოველ სახლში იესოს მშობელი შარიამი ჩასახლებულა“...

თურქებზე და ყირიმელ თათრებზე გამარჯვების შემდეგ, გი-
 რეგი სააკაძე კიდევ უფრო გავლენიანი კაცი შეიქნა ლუარსაბ
 მეფის კარზე. ბოლოს დამოყვრდნენ კიდეც მეფე და მოურავი:
 ლუარსაბმა ცოლად შეირთო გიორგის დაი. არ შეურიგდნენ თა-
 ვადები მათ თავზე „მდაბიოს წამოსკუპებას“. მათვის გიორგა
 სააკაძე სამულველი „ვიგინდარა“ იყო (რომაელების განსაზღვ-
 რებით — homo novus). შეთქმულებაც შეიკრა სააკაძის დასამ-
 ხობად, ორი ყველაზე გავლენიანი თავადის — ფარსადან ციცი-
 შვილისა და შადიმან ბარათაშვილის მეთაურობით. მეფეც დაი-
 ყოლიეს და სააკაძის მოკვლა გადაწყვიტეს. სააკაძემ მოასწრო
 და ოჯახით სპარსეთს გაიქცა. შაჰ აბასმა სიხარულით მიიღო
 და დაიახლოვა ქართველი სარდალი.

1612 წელს ზავი დაიდო სპარსეთსა და თურქეთს შორის.
 ქართლი, კახეთი, შირვანი და სომხეთი ირანის „საკუთრებად“
 ვამოცხადდა. დასავლეთი საქართველო და მესხეთი თურქეთის
 „ქონებად“ დარჩა.

მალე შაჰ აბასმა შეიტყო, რომ ქართლი და კახეთი შის
 მორჩილებას არ ურიგდებიან და ერთიანი ძალებით აჯანყების
 დროშაც აღუმართავთ.

1213 წელს, ზამთრის დამდეგს, შაჰ აბასი უზარმაზარი მხე-
 დრობით წამოემართა საქართველოსკენ. ჯერ ყარაბაღს მოვი-
 და და თეიმურაზ კახთა მეფეს ერთგულების საწინდრად მძევ-
 ლები მოსთხოვა. თეიმურაზმა ქვეყნის აოხრებას უახლოესი
 აღამიანების გაცემა ამჯობინა და შაჰს გაუგზავნა — დედა (ქე-
 თევან დედოფალი) და ორი შვილი (ლევანი და ალექსანდრე).
 შაჰმა ეს ძვირფასი მძევლები მძევლებად დაიტოვა, მაგრამ ეს
 არ იკმარა და პირადად თეიმურაზის გამოცხადება მოითხოვა.
 თეიმურაზი არ გამოცხადდა და სახელდახელო რაზმით ქართ-
 ლისაკენ წამოვიდა ლუარსაბ მეფესთან შესაერთებლად. შაჰ აბ-
 ასმაც უალეთთან ჯარი შეახვედრა. თეიმურაზმა და მისმა მხლე-
 ბელმა კახელობამ ის ჯარი დაამარცხა და ქართლში გააღწია.
 ორივე მეფე — თეიმურაზი და ლუარსაბი — იმერეთს გადაიხ-
 ვეწა და იქაურ მეფეს გიორგის მეორეს შეაფარეს თავი.

შაჰ აბასმა გიორგი მეფეს სტუმრების გაცემა მოსთხოვა,
 მაგრამ ცივი უარი მიიღო.

1614 წელი უმძიმესი ტრაგედიის წელი შეიქნა საქართველოს ისტორიაში. მთელი კახეთი აიკლეს, გაძარცვეს, დაანგრიეს, გადასწვეს და ამოწყვიტეს ირანელებმა. 80 000 კახელი გადაასახლეს იმ წელიწადს ირანში. პირტო დელა ვალე სწერდა რომის პაპს, ურბანუს მერვეს: „დღეს მთელს სპარსეთში არ მოიძებნება არც ერთი სახლი, რომელიც სავსე არ იყოს ტყვე ქართველებით, მამაკაცებით თუ ქალებით. სპარსეთში არ არის არც ერთი დიდი კაცი, რომელსაც არ ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალი ქართველი იყოს, იმიტომ, რომ უმშვენიერესნი არიან ქართველი ქალები...“ დაიქცა და დაიმეხა „ყველაფრით სავსე, მდიდარი და ხალხმრავალი“ კახთა ქვეყანა.

შაჰ აბასმა, გიორგი სააკაძის მოსისხლე მტრის, შადიმან ბარათაშვილის შემწეობით, ხელთ იგდო ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე, სპარსეთს წაიყვანა და ასტრაბადის ციხეში გამოჰკეტა.

1615 წელს კახელები აუჯანყდნენ შაჰ აბასს დავით ჯანდირისა და ნოდარ ჯორჯაძის მეთაურობით; ჯერ ალავერდში გაულიტეს ირანული ციხიონი, შემდგომ ყოველი სხვა ციხიდანაც დაიფრინეს და კახეთი სრულად გაწმინდეს. იმერეთიდან მეფე თეიმურაზი იხმეს და გათავისუფლებული ქვეყანა ჩააბარეს.

შაჰ აბასმა სასწრაფოდ, აჯანყებული კახეთისაკენ, 15 000 სპარსელი აფრინა, ალი-ყული-ხანის სარდლობით. თეიმურაზი 5 000 კახელით შეება და მთლიანად გაანადგურა რიცხვმრავალი მოპირდაპირე.

შაჰ აბასმა რომ ეს შეიტყო, „დამწველი ცეცხლივით და ზღვასავით აღელდა და აქუხდა... მისი მძვინვარების ცეცხლის ყოველი ნაპერწყალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყო“ (ისკანდერ მუნში). ახალი, დიდიალი ჯარები შემოიყარა და, 1616 წლის გაზაფხულზე, კახეთის მოსაოხრელად წამოემართა.

ისევ უმძიმესი ნგრევის, ძარცვის, რბევისა და წარტყვევნის ჯოჯოხეთში ჩაეშვა კახთა ქვეყანა. გამობრუნება ძლივს მოასწრო შაჰ აბასმა და კვლავ აჯანყდა. სიკვდილსა და წარტყვევნას გადარჩენილი ქართველობა.

მესამედ წამოვიდა ირანის მპრძანებელი კახეთის „ხელის მოსათავებლად“, უთვალიავი მხედრობით (1617 წლის გაზაფხუ-
86

ლი). ეს კიდევ ყველაზე გამანადგურებელი შემოსევა იყო გამპ-ვინვარებული დამპურობლებისა.

სულ, 1614—1617 წლების სპარსულმა შემოსევებმა ნახევარი მიღიონი ქართველი შეიწირა — დახოცილისა, თუ ტყვედ წაყვანილის სახით. კახეთში უმრავლესი სოფელი ნასოფლარად იქცა, ქალაქი — ნაქალაქარად, ციხე — ნაციხრად, ვენახი — ნავენახარად, ფუტე — ნაფუტარად. დედა-წულიანად აყრილი ქართული ოჯახებით დაასახლა შაჰ აბასმა ირანის პროვინციები: ფერეიდანი, ხორასანი, მაზანდარანი, ფეროპაბადი. ასე ანგარიშობდა „ირანის ლომი“: ურჩი, გაუტეხელი და შეურიგებელი კახეთი სამუდამოდ უნდა წაშლილიყო დედამიწის ზურგზე, ხოლო მის ადგილზე, „უძლეველ ქართველთა“ ნასახლარებზე, ესახლებოდა შაჰის ერთგული მომთაბარე თურქმანული ტომები; მეორეს მხრივ — მკვიდრი სამიწათმოქმედო მეურნეობის დიდოსტატნი — ქართველები — ირანის ველურ მიწებს კულტურული სამეურნეო ცხოვრებით აყვავებდნენ; ქართველი კაცის გამრჯე მარჯვენას სპარსეთი უნდა გაემდიდრებინა და გაემშვენიერებინა. მესამეც — დასახლებული ქართველობა, უშიშარო გულით და უდრეკი მკლავით, ისევ და ისევ უნდა ყოფილიყო „მთავარი ძარღვი“ ირანის საომარი ძალებისა.

შაჰ აბასმა კახეთის სამეფო „გაუქმა“ და იგი სამმართველოდ სპარსელ „ხანებს“ მისცა. ქართლისადმი კი, იგი ჯერ ისევ „შემწყნარებლობას“ იჩენდა. ლუარსაბ მეფის ნაცვლად მან ისევ „ქართველი მეფე“ დასვა — გამაჭმადიანებული ბაგრატ-ხან დავითის ძე.

თვითონ ირანში, 1618 წელს, კიდევ ერთი გამაჭმადიანებული ქართველი დაწინაურდა — ხოსრო-მირზა, ბაგრატ-ხანის ნახევარმმა. იგი შაჰ აბასმა დანიშნა სატახტო ქალაქის, ისპაპანის ტარულად (მოურავი, ქალაქის თავი, „მერი“). ამიერიდან საუკუნის გადაჭარბებით (1618 წლიდან 1722 წლამდე) მხოლოდ ქართველები იქნებიან ირანის სატახტოს უმაღლესი გამგებელნი.

1619 წელს ქართლის მმართველი ბაგრატ-ხან დავითის ძე გარდაიცვალა და შაჰმა მის ადგილზე მისი შვილი, ირანში დაბადებული და გაზრდილი სვიმონ-ხანი გამოგზავნა.

ქართველები არცერთს, არც ბაგრატს და არც სვიმონს, კა-

ნონიერ მეფედ არ თვლიდნენ და, ისევ დატყვევებული ლუარ-საბ მეფის მოლოდინში იყვნენ. ჟამ-ჟამად არც შაპისადმი ურჩიბასა და „გათათრებული გვირგვინოსნების“ წინააღმდეგ გამოსვლას ერიდებოდნენ. ამას ისიც დაემთხვა, რომ რუსეთის ელჩმა, ქართველების თხოვნით, შაპ აბასის წინაშე ლუარსაბ მეფის გათავისუფლება და ქართლის ტახტზე დაბრუნება იშუამდგომლა. შაპი აჩქარდა და ლუარსაბ მეფე საპატიმროშივე დაახრჩობინა ჯალათებს (1622 წელს).

იმჟამად ირანის „ვიცე-კოროლი“, ალავერდი-ხან უნდილაძე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მთელი მისი მემკვიდრეობა, ფარსისა და შირაზის ბეგლარბეგობა შაპს მისი ვაჟისთვის, იმამ-ფული-ხანისთვის დაელოცა. 1622 წელს იმამ-ყული-ხან უნდილაძემ სპარსთა და გურჯთა ჯარებით დაიპყრო შამი და ჰორმუზიდან გარეკა ჰორტუგალელები. ამიერიდან გაეხსნა სპარსეთს სამხრეთულ ზღვათა კარიბჭენი. ისფაპანი დიდი ზარზეიმით შეხვდა შამისა და ჰორმუზის გმირს. იწერებოდა ლექსები, ჰორმები და სიმღერები უნდილაძის სახოტბოდ და სადიდებლად (ჩვენს დრომდე მოატანა „უნდილაძის თემამ“ სპარსულ ლიტერატურაში: სპარსმა ჰორტმა კადრიმ ორი ჰორმა – „ჯანგ-ნამაი ქიშმ“ და „ფარუნ-ნამე“ – უძღვნა შამისა და ჰორმუზის ამბებს და მის მთავარ გმირს იმამ-ყული-ხან უნდილაძეს).

იმ საზეიმო დღეებში კიდევ ორი უნდილაძე დააწინაურა შაპ აბასმა: იმამ-ყულის უმცროსი ძმა, დაუდ-ხანი განჯა-ყარაბალის ბეგლარბეგად დანიშნა, ხოლო იმამ-ყულის ძე, სეფა-ყული-ხანი – ლარის ბეგლარბეგად.

მომდევნო 1623 წელს ყანდაპარის ასაღებად გაეშურა შაპ აბასი. გიორგი სააკაძე გაიძლოლა აჯანყებულ ქალაქზე საიერიშიდ. სააკაძემ და მისმა ქართულმა გუნდმა აიღეს ყანდაპარის კარიბჭენი, შეიჭრენ და შეიყოლიეს სპარსელნი. იმავე წელს ბაღდადს მიადგნენ სპარსელები და ქართველები. ისევ გიორგი სააკაძვ, მისი ძმა ქაიხოსრო და „სხვანი ქართველნი“ იყვნენ მეწინავენი. ბაღდადიც აიღეს. მთელი ერაყი და ქურთისტანი დაუმორჩილეს ქართველებმა შაპ აბასის ტახტს. ახალი ფურცლები „ჩააკერეს“ ქართველებმა ირანის ისტორიაში.

მაგრამ „გურჯისტანის საკითხი“ მაინც მოუშორებლად ად-
88

გა ყელზე „ირანის ლომს“. 1624 წელს ისევ მიიღო საიდუმლო დასმენა კახეთის მმართველი ხანისაგან: კახელები ისევ ძლიერდებიან და მრავლდებიან; რაღაც საიდუმლო მიმოსვლაც აქვთ კახელ თავადებს აჭარაში გადახვეწილ თეიმურაზ მეფესთან; დღე-დღეზე ისევ აჯანყება არის მოსალოდნელიო.

მანამდე, მძევლად წამოყვანილი ორივე შვილი მოუკლა თე-იმურაზს შაჰ აბასმა, ხოლო ახლა თეიმურაზის დედა, ქეთევან დედოფალი აწამებინა ჯალათებს, უსასტიკესი წამებით. ეს იყო ქართველი ქალის მორიგი გმირობა და თავგანწირვა — სამშობლოსათვის, ერისათვის, სარწმუნოებისათვის.

ქეთევანის წამებას ევროპელი კათოლიკე მისიონერები ეს-წრებოდნენ — ამბროზიო დოს ანჟონი და კრისტიან ორსინი, რომლებმაც წამებული ქალის სხეული საკმევლითა და მურით გაუღენთილ ქსოვილში გაახვიეს, ისფაპანს წაიღეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, ვითარცა ქრისტიანი და ქრისტესათვის წამებული დედოფლის უწმიდესი ნეშტი. ორი წლის შემდგომ კათოლიკე ბერებმა ქეთევანის ნეშტის ნაწილი მის შვილს, თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანეს საქართველოში, ხოლო ნაწილი ინდოეთში, ქალაქ გოაში წაიღეს და იქ დაკრძალეს, და-გრასას მონასტერში.

ხოლო, შაჰ აბასი უკვე მზად იყო საქართველოს „საბოლოოდ მოსაოხრელად“. 1625 წელს მან უზარმაზარი ყიზილბაშური მხედრობა გამოგზავნა ყარჩიხა-ხანის სარდლობით. ყარჩიხას ევალებოდა კახელების სრული ამოწყვეტა და ქართლელების სრული გადასახლება სპარსეთში. მთავარ მრჩევლად მთავარსარდალს შაჰმა გამოატანა გიორგი სააკაძე. შაჰი „ერთგულ“ სააკაძეს ბოლომდე მაინც არ ენდო და მძევლად მისი შვილი, პაატა დაიტოვა.

სპარსული ურდო ქართლში შემოვიდა და მუხრანის ახლოს, აღაიანის ველზე დაიბანაკა. ყარჩიხა-ხანმა, დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის მომიზეზებით, კახელები დაიბარა და შეუდგნენ კიდეც სპარსელები სათითაოდ მათ ამოწყვეტას. მაგრამ კახელებმა მუხანათობა შეიტყვეს, ხმლები გაიმრეს, ყიზილბაშთა სალტე გაარღვიეს და სამშვიდობოს გავიდნენ. სპარსელებმა აღა ლი მოინაცვლეს და მარტყოფის ველზე დაიბანაკეს.

მაგრამ სპარსელთაგან არავინ იცოდა, რომ საქართველოში მოსვლისთანავე გიორგი სააკაძე ქართველთა აჯანყებას ამზა-დებდა სპარსელთა ამოსაწყვეტად. იგი შეუთანხმდა ჯერ საქართველოს კათალიკოსს, შემდეგ ქართველ თავადობას და მათთან ერთად შეუდგა ხალხის საომრად გამზადებას. გიორგიმ შემთხვევით ხელში ჩაიგდო სპარსეთიდან მომავალი შიკრიკი, რომელსაც შაპის წერილი მოჰქონდა ფარჩიხა-ხანთან. წერილში ეწერა: „გიბრძანებ, კახელნი ამოსწყვიტო, ქართლელნი დედაწყლიანად აჰყარო და სპარსეთს წამოასხა, ხოლო გიორგი სააკაძე დაუყოვნებლივ მოჰკალ, თავი მოჰკვეთე და გამომიგზავნე!“

სააკაძე სწრაფად ამოქმედდა. აჯანყების დღე დაინიშნა — 1625 წლის 25 მარტი (7 აპრილი), დღესასწაული — ხარება.

ფარჩიხა-ხანს საეჭვო არაფერი ჰქონია, რადგან იმ დამით გიორგი სააკაძე სპარსელთა ბანაკიდან არ გასულა. იგი მხოლოდ ოთხი ქართველის (მისი ძე ავთანდილი, თავადი პაატა ხერხეულიძე, თავადი ელია დიასამიძე და გლეხი პაპუნა ვაშა-ფაშვილი) თანხლებით „ისვენებდა“ თავის გარავში. რიურაუზე ქართველთა ლაშქარი, ზურაბ არაგვის ერისთვის სარდლობით, ანაზდად შემოესია სპარსელთა მმინარე ბანაკს. ქართველთა ხუთეულიც უმალვე დაურია სპარსელთა მთავარსარდლობას. გიორგი სააკაძემ შებით განგმირა ფარჩიხა-ხანი. ფარჩიხას ვაჟი გიორგის ვაჟმა ავთანდილმა მოჰკლა. დანარჩენი სარდლებიც ასწყვიტეს ქართველებმა. უმეთაუროდ დარჩენილი ირანული მხედრობა საშინელმა პანიკამ მოიცვა. 30 000 სპარსელიდან მხოლოდ 3 000-მა გაასწრო სიკვდილს.

სააკაძე, მარტყოფის ძლევამოსილების შემდგომ, სალაშქრო ცხენიდან აღარ ჩამომხდარა. მაშინვე თბილისს მიუხდა, ქალაქში შეიჭრა და ციხეში გამავრებულ სპარსულ ციხიონს აღყა შემოარტყა. სვიმონ-ხანმა ძლივს გაასწრო ქალაქიდან, თბილისიდან გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი კახეთს გაფრინდნენ და იქ მდგარ სპარსულ ბანაკებს დაერივნენ. რამდენიმე დღეში კახეთი გაწმენდილ იქნა დამპყრობელთაგან. კახეთიდან განჯა-ყარაბაღს გაილაშქრეს ქართველებმა, იქაური ყიზილბაშები გაანადგურეს და გარეუს. ისევ ქართლს მობრუნდა სააკაძე. მთელი აღმოსავლეთი საქართველო — ქართლი და

კახეთი — მის ხელში იყო. ახლა ქვეყანას ერთიანი საჭეთამცე-რობელი სჭირდებოდა და მაშინვე კიდევაც მოუხმო ქართლ-კა-ხეთის ერთიან ტახტზე მეფე თეიმურაზ პირველს, რომელიც მაშინ გონიოში (აჭარაში) აფარებდა თავს.

ასე შეიქნა თეიმურაზ პირველი ქართლ-კახეთის „ორისაუ ტახტის მჭერელი“.

მაგრამ შაპ აბასი ჯერ ცოცხალი იყო. როგორც კი გიორგი სააკაძის აჯანყებისა და მისი ჯარების განადგურების ამბავი შეიტყო, მაშინვე სააკაძის შვილს, პაატას, თავი გააგდებინა და მამას გამოუგზავნა. ამ საზარელ ძღვენს უზარმაზარი მხედრო-ბაც მოაყოლა თავისი სიძის, ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით.

იგივე 1625 წლის ივნისის უკანასკნელი დღე; მდინარე ალ-გეთის ხეობაში, სოფელ მარაბდასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთმანეთს ხვდებიან 50 000 ირანელი და 20 000 ქართველი. რიურაჟზე დაწყებული ხოცვა-ულეტა შუადლებდე ქართველთა აშკარა ძლევამოსილებით მიდიოდა, მაგრამ შუად-ლისას ახალი, ხელუხლებელი და რიცხვმრავალი ძალა შემოუ-ერთდა სპარსულ მხედრობას: ეს იყო აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი და მისი ჯარები. ქართველებმა მოგებული ბრძოლა წაა-გეს. ბრძოლის ველზე დარჩა 14 000 ირანელი და 10 000 ქართ-ველი. ეს იყო ქართველთა მორიგი უიღბლო გმირობის აპოთე-ოზი. მრავალი „მარაბდელი გმირი“ შემორჩა იმ საბედისწერო დღიდან საქართველოს ისტორიას. მათ შორის — გიორგი საა-კაძე, თეიმურაზ მეფე, მანუჩარ ათაბაგი III, ლომი ჩრდილე-ლი, ზურაბ ერისთავი და გამორჩევით გმირის სიკვდილით და-ცემულნი — ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი წოლოფაშვილი, დავით ჯანდიერი, რუსთავისა და ხარჭაშის ეპისკოპოსი, ბაადურ ცაციშვილი (რომელმაც ბრძოლის წინ სთქვა სიტყვა მარად სახსოვარი: „თუ ამოსწყდეს გლეხი-კაცი, საქართველო დაძაბუნდეს...“).

ქართველებმა მარაბდის ველზე წაგება მაინც წაგებად არ ჩაითვალეს და პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ისევ გიორგი სააკაძე მოთავეობდა სამამულო ბრძოლებს. სპარსელებმა არაგ-ვისაკენ გაჭრა მაინც მოახერხეს, არაგვიდან ქსანზე გადავიდ-ნენ, მაგრამ სწორედ აქ, ქსნის ხეობაში, გიორგი სააკაძემ ყო-ველი მხრივ გზები მოუჭრა სპარსულ მხედრობას. საშინელი

ხოცვა-ჟღვეტისგან ქსანი სავსებით „იქმნა, ვითარცა სისხლი“. ქართველებმა ტყვედ იგდეს და იქვე ასჩენეს აზერბაიჯანის ბეგლარბეგი, სწორედ ის, ვინც გადასწონა მარაბდის ბრძოლის სასწორი. ტყვედ აიყვანეს შირვანის ბეგლარბეგიც. სპარსელები სრული კატასტროფისაგნ იხსნა ხოსრო-მირზამ, ჩვენთვის უკვე ცნობილმა მაჰმადიანმა ქართველმა, ისფაჰანის ტარულამ. ამან გაარღვია სააკაბის ალყა და გაიტაცა სიკვდილს გადარჩენილი სპარსელები. ქსანზე გამარჯვებით მარაბდის სისხლი ამოიგეს ქართველებმა.

დიდი იყო შედეგები 1625 წლისა. სრულიად სპარსული ლაშქარი იმჟამად 120 000 მეომარს მოითვლიდა და აქედან ნახევარი – 60 000 მეომარი საქართველოში გაწყდა. საქართველო კი ისევ ქართველებს ეკუთვნოდა. შაჰ აბასი თეიმურაზ მეფესთან შერიგების გზებს ეძებდა. წარმოგზავნა კიდეც ქართველ მეფესთან „სალაპარაკოდ“ თავისი კაცი – დაუდ-ხანი უნდილაძე. მაგრამ ქართველი მეფე და გამაჰმადიანებული ქართველი ბეგლარბეგი სწორედ შაჰის წინააღმდეგ შეითქვნენ.

მაგრამ სანამ შეთქმულება „თავის სიტყვას“ იტყოდა, თვითონ ქართველები – თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე აეშალნენ ერთშანეთს, – ისეც აიშალნენ, რომ საქმე ძმათაშორის ომამდეც მივიდა. 1626 წელს, ბაზალეთის ტბასთან გამართულ ბრძოლაში, „თეიმურაზელებმა“ დაამარცხეს „სააკაძელები“. გიორგი სააკაძე ოჯახით, ახლობლებით და თანამოაზრებით, ისევ გადაიხვეწა სამშობლოდან – ამჯერად თურქეთს.

თურქეთის სულთანმაც, მურად IV-მ, დიდის ამბით მიიღო და დაიახლოვა დიდი ქართველი მხედართმთავარი. გიორგიმ თურქეთშიც დიდი თანამდებობანი მიიღო, თურქული იარაღიც დიდად ასახელა, მაგრამ ბოლოს მაინც შურისა, ქიშპისა და ინტრიგის მსხვერპლი შეიქნა სამშობლოდაკარგული რჩეული კაცი. 1629 წლის 3 ოქტომბერს, აღეპოში, თურქეთის სერას-ქერის, ხუსრევ-ფაშას ბრძანებით, გიორგი სააკაძეს, მის შვილს ავთანდილსა და კიდევ ორმოცდაათამდე ქართველს თავები დააყრევინეს.

1629 წელს დიდი შაჰ აბასიც გარდაიცვალა და ირანის ტახტზე ავიდა მისი შვილიშვილი – შაჰ სეფი. ახალი შაჰის

ტახტზე აყვანა, გარდაცვლილი აბასის ანდერძით, განახორციელა მისმა უახლოესმა ხოსრო-მირზამ, ისფაპანის ტარულამ და სამეფო გვარდიის ყულარაღასმა. ეს მაჰმადიანი ქართველი შაშინდელი ირანის ფაქტიური გამგებელი შეიქნა. თვითონ ახალი შაპი სუსტი საჭეთმპყრობელი გამოდგა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა „ნამდვიდ მამას“ – ხოსრო-მირზას მიანდო. ამიტომაც გაიძახოდნენ მაშინ: ირანის ყოველი საქმე ხოსრო-მირზას ეკითხებაო.

1630 წელს სპარსელებმა ხოსრო-მირზას მთავარსადღობით იღაშქრეს ბაღდადს, დაამარცხეს ოსმალთა არმია, გააქციეს სერასქერი ხუსრევ-ფაშა, შემოიმტკიცეს ბაღდადი და დიდ-ხალი ნადავლით შემოექცნენ გამარჯვებულნი.

მაგრამ იმავდროულად საქართველოდან ფრიად საშფოთარი ამბავი მიიღეს ირანის მესვეურებმა. კახეთში, ივრის ხეობაში, შეთქმულებმა – თეიმურაზ მეფემ და დაუდ-ხან უნდილაძემ, „სტუმრად მიყვანილი“ შვილასი ირანელი ამოაწყვეტინეს კახელებს.

უფრო აღრე თეიმურაზ მეფე ევროპაში ეძებდა მოკავშირებს, სპარსეთის სარევანში აგრესიების უკუსაგდებად. 1626 წელს მან რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან გაგზავნა ნიკიფორე ჩოლოფაშვილ-ირუბაქიძე (ევროპელები „ირბახს“ ეძახდნენ), დიდად განსწავლული საეკლესიო მოღვაწე, ღიპლომატი და პოლიტიკოსი, პოლიგლოტი, „ბრძენი ფილოსოფოსი და რიტორი“. მაგრამ ჩჩეულმა ელჩმა თავის მეუფეს, პაპის „მხურვალე ეპისტოლეს“ გარდა, ვერაფერი ჩამოუტანა სახელმწიფო ტალანტებით ღატაკი იმდროინდელი ევროპიდან.

ბოლოს შაპ სეფიმ გადაწყვიტა, საქართველოს დათრგუნვა ისეკ გამაჰმადიანებულ ქართველს შეეძლო და ნამდვიდ კანონიერ მეფედ ხოსრო-მირზა გამოაცხადა. ხოსრო-მირზა – ქართული სახელით ქაიხოსრო – მართლაც ეკუთვნოდა ძველ ქართულ სამეფო დინასტიას, ბაგრატიონების საგვარეულოს. იგი დიდი ლუარსაბ პირველის შვილიშვილი და სახელოვანი სვიმონ პირველის ძმისწული იყო. მამამისს, სამშობლოდან გაქცეულ დაუდ-ხანს, ხარჭად წაყვანილი ქართველი გლეხის ქალისაგან შესძენოდა იგი. და აი, შაპ სეფიმ ეს კაცი, ირანის, ფაქტიური გამგებელი, სამეფო გეარდიის ყულარაღასი და ის-

ფაპანის ტარულა, გამოაცხადა საქართველოს კანონიერ გამგებლად, თეიმურაზ მეფის საპირისპიროდ. შაპმა ხოსრო-მირზას სახელი გამოუცვალა და როსტომი დაარქვა, 130 000-იანი არმია ჩააბარა და საქართველოსკენ გამოუშვა. თან კიდევ ერთი მაპმადიანი ქართველი გამოატანა—როსტომ-ჩან სააკაძე, თერთმეტი წლის ასაკიდან სპარსეთში გაზრდილი, ბევრ ბრძოლაში სახელმოხვეჭილი (განსაკუთრებით — ვანის ციხის აღება, ქურთების განადგურება, თურქთაგან ბალდადის გამოხსნა, ჰამადანისა და ჰელეს ცახეების აღება), იმჟამად ირანის ჯარების ამირსპასალარი და თავრიზის ბევრლარბეგი.

და შემოვიდა როსტომ მეფე თბილისში 1632 წელს. ამიერიდან 1744 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ყოველთვის გამაპმადიანებული ქართველები ენაცვლებიან ერთმანეთს.

ამგვარად, თბილისში, საქართველოს სატახტოში ახლა ახალი მეფე იჯდა — სულით მაპმადიანი, სისხლით და ჯიშით ქართველი, რაც მთავარია — „ქართულობისთვის“ თავგამოღებული შებრძოლი, ქართველთა მიწა-წყალზე მშვიდობიანი ცხოვრების, შრომის, აღმშენებლობისა და აღორძინების წინამდგვარი და თავგაცი. იგი ახლა ქართლის მეფეც იყო, ირანის ყულარადა-სიც და ისფაპანის ტარულაც. შაპ სეფი ისევ არაფერს აკეთებდა „ჭეშმარიტი მამის“ დაუკითხავად. ამიტომ ამბობდნენ იმჟამად: ქართლსაც და ირანსაც ერთი კაცი განაგებსო—როსტომ მეფე...

თეიმურაზი კი ისევ განაგრძობდა ბრძოლას. 1648 წელს იგი როსტომმა დაამარცხა. ბრძოლაში დაიღუპა თეიმურაზის ერთადერთი ვაჟი, დავითი. განადგურებული თეიმურაზი იმერეთს გადავიდა და რუსეთის ხელისუფლებასთან გააჩადა ურთიერთობა.

თეიმურაზი და იმერეთის მეფე აღექსანდრე III რუსეთის მეფეს, აღექსი რომანოვს მათი ქვეყნების „რუსეთის მფარველობაში“ აყვანას სთხოვდნენ. 1652 წელს თეიმურაზმა მოსკოვის სამეფო კარზე დასარჩენად და „აღსაზრდელად“ გაგზავნა, თავისი შვილიშვილი ერეკლე (ნიკოლოზ) ბატონიშვილი, რომელიც რომანოვების სასახლეში უახლოესი ადამიანი შეიქნა. 1658 წელს თვითონაც ეწვია მოსკოვს თეიმურაზ მეფე. იგი დიდის ამბით მიიღო აღექსი რომანოვმა. მაგრამ პოლონეთთან

და შვეციასთან ომის მომიზეზებით, ქართველ მეფეს დახმარებაზე უარი უთხრეს და ისიც სამომავლო იმედის ამარად დაბრუნდა სამშობლოში.

1658 წელს როსტომ მეფე გარდაიცვალა და ქართლის ტახტი დაიკავა ვახტანგ მეხუთემ (1658–1675). მის დროს კახეთში სპარსეთის მესვეურებმა ისევ განაახლეს თურქმან მომთაბარე ტომთა ჩასახლება. ველური მომთაბარენი ქართველთა ხელით ნახარებ და ნაღოლიავებ ვენახებსა და ბაღებს სჩეხავდნენ და კულტურულ მიწა-სავარგულებს საიალალო საძოვრებად აქცევდნენ.

ამის გამო, 1659 წელს კახეთში მძლავრმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებას სათავეში უდგნენ – ბიძინა ჩოლოფაშვილი და ქსნის ერისთავნი, მმანი – შალვა და ელიზბარ. ხალხის წიაღიდან იშვნენ გმირები – ზეზვა გაფრინდაული, ნადირა ხოშარეული, გურგენ ჭინჭარაული, გოგოლაური, მმანი გულუხიძენი, ფუნჩაიშვილი, შველაძე და საღირიშვილი. აჯანყებულები ორად გაიყვნენ და ერთსა და იმავე დანიშნულ წუთს დაეცნენ თავს ორ ბანაკად მდგარ თათრებს – ბიძინა ჩოლოფაშვილი – ალავერდს, შალვა და ელიზბარ ერისთავნი – ბახტრიონს. და ორივეგან ისე ასწყვიტეს მტერი, რომ მოამბეც აღარ წასვლიათ ხელიდან.

„ბახტრიონულმა ომმა“ მტერიც და მოყვარეც ერთხელ აიღვ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხლობაში, უძლეველობასა და უკვდავებაში. სპარსეთის მაშინდელმა შაჰმა, აბას II-მ კახეთში სადამსჯელო ექსპედიციის გაგზავნაზე ხელი აიღო, მაგრამ აჯანყების მეთაურები შეაპყრობინა და ისფაპანში ჩაფინანინა. სამივეს – ბიძინას, შალვას და ელიზბარს – სპარსელებმა ისეთივე „სასიცოცხლო პირობებით“ მიმართეს, როგორც მანამდე ყოველ ქართველ ტყვეს: ან მაჰმადიანობა მიიღეთ და სპარსეთის სამსახურში შედით, ან სიკვდილისათვის მოემზადეთო. სამივემ, უყოფმანოდ, სარწმუნოებაზე ხელის აღებას სიკვდილი არჩია. სამივე საშინელი წამებით დახოცეს – ასო-ასო, სახსარ-სახსარ აქნეს და ასჩენეს...

„ბახტრიონულ ომზე“ მრავალი ლექსი და თქმულება გაჩნდა ქართულ ხალხურ ფოლკლორში. ამ სამამულო ომს მიუძღვნეს ბრწყინვალე თხზულებანი ქართული ლიტერატურის დიდ-

მა კლასიკოსებმა: აკაკი წერეთელმა — ბაშიაჩუკი“, და ვაჟა-
ფშაველაშ — „ბახტრიონი“.

1661 წელს მეფე ვახტანგ მეხუთემ თეიმურაზი დაიყოლია,
შერიგებოდა ირანის შაპს. უკვე მოხუცი და ოჯახიანად ამოწყ-
ვეტილი მეფე დათანხმდა. შაპ აბას II „ტკბილად“ შეზვდა ქარ-
ველ მეფეს. იმ დროს თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე-ნიკო-
ლოზი კავკასიონზე გადმოსულიყო და კახეთის ტახტის დასაუფ-
ლებლად ემზადებოდა. შაპმა თეიმურაზის მოსთხოვა, შვილიშ-
ვილს მისწერე, ისიც მეწვიოს სპარსეთშიო. თეიმურაზმა ეს
მოთხოვნა არ შეასრულა. განრისხმებულმა შაპმა თეიმურაზი
ასტბარადის ციხეში ჩააგდო. აქვე გარდაიცვალა 1663 წელს,
74 წლისა. ერთგულმა ქართველებმა წამოასვენეს და დაკრძალეს
ალავერდის ტაძარში. ასე დაასრულა სიცოცხლე მეფე-მამუ-
ლიშვილმა და შესანიშნავმა პოეტმა.

ვახტანგ მეხუთის სიკვდილის შემდგომ ქართლში მეფობდა
მისი ძე, გიორგი მეთერთმეტე (1676–1688). გიორგი სპარსე-
თის წინააღმდეგ აჯანყების სამზადისს შეუდგა. შაპმა გიორგი
მეფობიდან გადააყენა და მის ნაცვლად დანიშნა თეიმურაზის
შვილიშვილი ერეკლე, რომელიც რუსეთიდან სპარსეთში ჩამო-
სულიყო, მაპმადიანობა მიეღო და შაპის წყალობით აპირებდა:
ქართული ტახტ-გვირგვინის ხელში ჩაგდებას. გიორგი ბრძო-
ლას განაგრძობდა. შაპმაც დათმო: ერეკლეს კახეთის მეფობა
მისცა, ხოლო გიორგის ქართლი დაუბრუნა. მავრამ გიორგიც
და ერეკლეც შაპმა სპარსეთს გაიწვია და უკან აღარ გამოუშვა,
რადგან ირივე ძალან სჭირდებოდა: გიორგი სპარსეთის ჯა-
რების მთავარსარდლად და ავღანისტანის ბეგლარბეგად დანიშ-
ნა და აჯანყებულ ავღანელთა დასამორჩილებლად გაგზავნა,
ხოლო ერეკლეს ღულამთა გვარდიის ყულარაღასობა ჩააბარა
და ისფაპანს დაიტოვა. სანამ მეფეები სპარსეთის სამსახური-
დან დაბრუნდებოდნენ, მანამ ქართლის ჯანიშინად (მეფის მო-
ადგილედ) გიორგის ძმისწული, ვახტანგ ლევანის ძე დაინიშნა,
ხოლო კახეთის მმართველად ერეკლეს ვაჟი — დავითი.

კულტურის კატალოგი

„ქართველები მთელს აზიაში უმამაცესი ხალხია და მათ
საშინაო თანხმობა რომ პქნონდათ, მაშინ ვერავითარი საგარეო

შტრული ძალა უმცირეს ზიანსაც კი ვერ მიაყენებდა“, – წერდა რუსი დიპლომატი პ. ლევაშოვი, 1766 წელს. მართლაც, შინაფეოდალურმა აშლილობამ ფრიად გაუადვილა ქართველთა უთავებამო რბევა და ნგრევა გარედან მოსულ უთვალავ მტერს. ხუთასწლოვანმა შინა-გარე ომებმა, სამეურნეო ცხოვრების მოშლასთან ერთად, ძალზე დაასუსტა და დაკნინა ქართული კულტურის ყოველი დარგი – სულიერიც და ნივთიერიც.

XVII საუკუნის მანძილზე უმძიმესი სისხლთათხევანი მაინც ქართველთა „აქტიური ბალანსით“ განესრულა: გარეშე მტრებთან გამართული 28 ბრძოლიდან მათ მოიგეს 21, წაგეს 7.

შავრამ მეჩვიდმეტე საუკუნის სიგრძეზე ქართველებმა უფრო მეტი სისხლი აღინეს ერთმანეთს. მარტო ბაზალეთის ცოდვიანი, ძმათაშორისი ომის გახსენებაც იკმარებს უამური ქრისტის აღსაძვრელად. გამორჩევით – დასავლეთ საქართველოს მესვეურებმა „ისახელეს თავი“ უთავებამო შინა მტრობით და შინა ომებით. აქ, მთელი საუკუნეების გასწვრივ მძვინვარებდა ქართველთა ხელით ქართველთა სისხლის ღვრა, – მძვინვარებდა, რამეთუ „გადაწყვეტილიყო“. ვინ ვის „ტახტზე“ დამჯდარიყო, ვინ ვის „სახელოში“ გამძვრალიყო, ვინ ვის სარეცელში ჩაწოლილიყო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ბრწყინავდნენ ქართული სააზროვნო, თეოლოგიურ-თეოსოფიური, სამეცნიერო და სახელოვნებო კერები: თბილისი, ქუთაისი, მცხეთა, გელათი, ალავერდი, ნიკორწმინდა, დავით-გარეჯა, წილკანი, სამთავისი, თელავი, გრემი, ლარგვისი, ჯრუჭი, იკორთა, კაბენი, ქვათახევი, მუხრანი, მძოვრეთი, ტანძია, ცაიში, ბედია, მარტვილი, ხობი, შემოქმედი, უშგული.

მარიამ დედოფალი (როსტომ მეფის მეუღლე) ამზადებინებს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს. სულხან-საბა ორბელიანი ადგენს ქართულ განმარტებით ლექსიკონს. მმებმა სულხან და ბეგთაბეგ თანიამვილებმა გალექსეს „ამირანდარეჯანიანი“. ბარძიმ ვაჩნამე „შაპ-ნამეს“ მოტივებზე დაწერა პოემა „უთრუ-თიან-სამიანი“. მამუკა თავაქალაშვილმა – „ზააქიანი“. მეფე თეიმურაზ პირველმა – „გარდ-ბულბულიანი“, „შამი-ფარვანიანი“, „ლეილ-მაჯნუნიანი“, „იოსებ-ზილი-ხანიანი“, „შედარება

გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „მაჯამა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „სოფლის სამდურავი“, „გრემის სასახლეზე“, „თამარის სახე დავით გარეჯას“, „ანბანთაქებანი“, „შვიდთა კრებათათვის“. მეფე არჩილმა — „გააბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, „საქართველოს ზნებანი“, „გააბასება კაცისა და სოფლისა“, „სამიჯურონი“, „ლექსნი ასეულნი“, „გალექსილი ვისრამიანი“, „მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი“, „ანბანთქებანი“. იოსებ ტფილელმა — პოემა „დიდმოურავიანი“. ფარსა-დან გორგიჯანიძემ — „საქართველოს ისტორია“.

სწავლა-აღზრდის ქართული კერების გარდა, საქართველოში (თბილისში, გორში) სკოლები გახსნეს ევროპელმა კათოლიკე მისიონერებმა. აქ, საღვთისმეტყველო საგნებს გარდა, ასწავლიდნენ ქართულ, ლათინურსა და იტალიურ ენებს.

XVII საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი საერო მწიგნობრობისადმი — ისტორიის, ფილოლოგიის, პოეზიის, უცხო ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (ასტრონომია, მედიცინა, გეოგრაფია) შესწავლისადმი. ამიტომ წერდა თეომურაზ მეფე: „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთან“.

XVII საუკუნის დასაწყისს რომში დაარსდა პირველი ქართული სტამბა, სადაც 1629 წელს, გამოჩენილი ქართველი სწავლულისა და დიპლომატის, ნიკიფორე ჩოლოვაშვილის (ირბახის) მონაწილეობით, დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა.

აღარსაღ იყო X—XIII საუკუნეთა არქიტექტურული აღმ-შენებლობის მასშტაბები, მაგრამ XVII საუკუნემ მაინც გვიანდერდა ზოგიერთი საინტერესო ხუროთმოძღვრული ნაგებობანი: აღდგენილი გრემის ქალაქი, ეკლესიებით, გალავნებით, აბანოებით; ანანურის არქიტექტურული ანსამბლი; ლევან დადიანის მიერ გამშვენიერებული მოქვის ტაძარი; როსტომ მეფის მიერ აგებული ხიდი მდინარე ქციაზე — „გატეხილი ხიდი“, რომელიც დღესაც მოქმედებაშია. ამავე საუკუნიდან მრავლად შემოგვრჩა ფრესკული მხატვრობისა და ჭედურობის ნიმუშები.

პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად, დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველები უცხოეთში. სპარსეთში — აღვერდი-ხან უნდილაძე, იმამ-უყლი-ხან უნდილაძე, დავით (დაუდ-ხან) უნდილაძე, კონსტანტინე-მირზა თეიმურაზის ძე,

იესე (ისა-ხან) ლევანის ძე, თამაზ-ყული-ხანი, მანუჩარ-ბეგი (შაჰ-აბასის ელჩი ინდოეთში), გიორგი სააკაძე, ბაგრატ-მირზა (მეფე ბაგრატ VII), სვიმონ-ხანი (მეფე სვიმონ II), ხოსრო-მირზა (როსტომ მეფე), ყარა-ბეგან-ბეგ სააკაძე, როსტომ-ხან სააკაძე, ფარსადან გორგიჯანიძე, პაატა-ბეგი, ალექსანდრე მუხ-რან-ბატონი, ხოჯასთე-ბეგი, რამაზ-ბეგი, იოთამ-სულთან გურ-ჯი, ფერობ-სულთანი, დაუდ-ბეგ გურჯი, ალი-ყული-ბეგ სააკაძე, მუსლიმბეგი, ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, სიაოშ-ხანი, მერაბ-ხანი, ოთარ-ხანი, მანსურ-ხან ბარათაშვილი; პოეტები — მირზა მოჰამედ თაპერ ნასრაბადი, ქაიხოსრო-ხანი (როსტომ-ხან სააკაძის დისწული), ზეინალ-ბეგი, ზურაბ-ბეგი, ფაზალ-ალი-ბეგი, შერმაზან-ბეგი, ალი-ხან-ბეგი... თურქეთში — გიორგი-ბეგი, მეჰმედ ფაშა, გულჩარა (დიპლომატი ქალი), ფერად ფაშა, ქენან ფაშა „კოჯა“ („ზორბა“), გურჯი მეჰმედი, საფარ ფაშა, მურთაზა ფაშა... რუსეთში — ბატონიშვილი ნიკოლოზ (ერეკლე), არჩილ მეფე, ალექსანდრე არჩილის ძე.

ვახტანგ მეუმვეს და მისი დრო

დადგა XVIII საუკუნე. „ქართველები უდავოდ ყველაზე მამაცი ხალხია აღმოსავლეთში“, — წერდა მარტინ გოლძერო. ხოლო რუსი დიპლომატი, არტემ ვოლინსკი იმეორებდა: „მთელს ირანში საუკეთესოდ მიმაჩნია ქართველთა მხედრობა“.

მავრამ ქართველთა სიმამაცე უფრო სპარსეთს ხმარდებოდა, ვიდრე თვითონ საქართველოს. უმამაცესმა მხედარმა და უნიჭიერესმა მხედართმთავარმა, ქართველთა მეფე გიორგი მეთერთმეტემ, სწორედ სპარსეთისთვის გასწირა სიცოცხლე. მან დაუშორჩილა აჯანყებული ავღანისტანი შაპის გვირგვინს და ბოლოს, ისევ ირანის მესვეურთა „ანტიქართული შეთქმულების“ წყალობით, ავღანელმა ბელადებმა მოახერხეს ღალატით შოეკლათ „უძლეველი ქართველი მეფე“, „გენერალისიმუსი სპარსეთის ჯარებისა“ (ასე უწოდებდნენ მას ევროპელები). ასევე შეეწირა სპარსეთისათვის ავღანელებთან ბრძოლას გიორგი მეთერთმეტის შემცვლელი, მისი ძმისწული, ქართლის ახალი მეფე და სპარსეთის ჯარების „გენერალისიმუსი“ — ქაიხოსრო. გიორგი მეთერთმეტის, ქაიხოსროსა და მათ მხარდამხარ

შეომარ ქართველთა საარაკო სიმამაცემ ათქმევინა სწორედ ავ-
ლანთა მაშინდელ მესვეურებს: სპარსელები ჩვენთან შედარებით
დიაცები არიან, ხოლო ჩვენ, ავღანელნი, ქართველებთან შედა-
რებით ვართ დიაცებიო.

სანამ გიორგი მეთერთმეტე და ქაიხოსრო სპარსელებისთვის
ავღანელთა სისხლს ჰდვრიდნენ, მანამ ქართლის გამგებელმა
(„ჯანიშინმა“) ვახტანგმა დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეო-
ბა გააჩადა. იგი დირსეული მემკვიდრე გამოდგა დიდი ქართვე-
ლი სახელმწიფო და კულტურული მოღვაწეებისა. ვახტანგი იყო
ქვეყნის ჭეშმარიტი განმანათლებელი, მწიგნობრობის მოთავე
და შეცენატი, თვითონ ფრიად მგრძნობიარე პოეტი, მეცნიერუ-
ლი მუშაობის სულისჩამდგმელი, სამწიგნობრო გამომცემლობის
შესაფუძვლე, სამოსამართლო სჯულმდებელი და სახელმწიფო
კანონმდებელი.

იგი არის დამაარსებელი საქართველოში პირველი სტამბი-
სა, სადაც პირველად დაიბეჭდა „ვეფხის-ტყაოსანი“, თვითონ
ვახტანგის მიერ მეცნიერულად კომენტირებული და რედაქტი-
რებული. აქვე დაიბეჭდა მრავალი საღვთისმეტყველო და საე-
რო ხასიათის წიგნი.

სტამბის შექმნაში ვახტანგს დიდი დახმარება გაუწია ანთი-
მოზ ივერიელმა, წარმოშობით ქართველმა, რუმინეთის დიდმა
საეკლესიო რეფორმატორმა, პოლიტიკოსმა, ხუროთმოძღვარმა,
პოქანდაკემ, მხატვარმა, რიტორმა, — რომელსაც მანამდე შეექ-
მნა სტამბები რუმინულ, ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებ-
ზე.

ვახტანგმა ააშენა და განაახლა მრავალი ტაძარი და ეკლესია.
მას გაჰყავდა გზები, აგებდა ხიდებს, სავაჭრო ქარვასლებს, წის-
ქვილებს, წყალსადენებს, აშენებდა ქალაქებს, დაბებსა და სოფ-
ლებს. მის დროს დამშვენდა და გაიზარდა თვითონ თბილისი,
საქართველოს სატატეტოში მაშინ ოციათას მცხოვრებზე მეტია
ცხოვრობდა. იყო გაცხოველებული ვაჭრობა, ხელოსნობა.

ვახტანგი იყო სამართლებრივი სჯულმდებელი („კოდიფი-
კატორი“). მისი „სამართლის წიგნი“ ეხება ცხოვრების ყოველ
მხარეს — საბატონებმო ურთიერთობებს, წოდებრივ მიმართებებს,

ქონებას, ნასყიდობას, ვალს, მემკვიდრეობას, მკვლელობას, ოჯახს, ზნეობას.

ცალკე საკანონმდებლო ძეგლად შეადგინა ვახტანგმა „დასტურლამალი“, თავისებური ახალი ვარიანტი ძველი „ხელმწიფის კარის გარიგებისა“, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფო ინსტიტუტების გარევნულ სახესა და შინაგან ხასიათს.

ვახტანგმა შექმნა სამხედრო „გვარდია“, რომლითაც იგი მკაცრად წინააღმდეგა ფეოდალურ თვითნებობასა და თავგანმზიდაობას.

ვახტანგის მმართველობის ეს პერიოდი მართლაც რომ იყო „ხანა ვერცხლისა“, ანუ ხანა ოდინდელი მაღალი კულტურის „რენესანსისა“.

ვახტანგის „ჯანიშინობის“ დროს, მისი უფროსი ბიძა, კახეთსა და იმერეთს მეფედ ნამყოფი არჩილი, რუსეთში ცხოვრობდა ოჯახით. ქართული „კოლონია“ რუსეთში მე-17 საუკუნის მიწურულს დაარსდა. არჩილი რუსეთში 1698 წელს გადასახლდა. მანამდე მისი ვაჟი, ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე პირველთან ერთად ატარებდა ჭაბუკობის წლებს. ქართველები მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატსკოეში ცხოვრობდნენ. 1697 წელს პეტრე პირველმა მოაწყო სახელოვანი „დიდ ელჩობა“ ევროპაში, სადაც ინკოგნიტოდ ჩასულ ხელმწიფეს თან ახლდა — როგორც ევროპელები ამბობდნენ — „ქართველი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი“, ანუ „ცარევიჩ იმერეტინსკი“.

კენიგსბერგში პეტრე და ალექსანდრე საარტილერიო და საფორტიფიკაციო ხელოვნებას სწავლობდნენ გამოჩენილ პრუსიელ ინჟინერთან — შტენიტნერ ფონ შტერნფელდთან. კენიგსბერგიდან ალექსანდრე ბატონიშვილი ჰააგას გაემგზავრა საარტილერიო ცოდნის გასაღრმავებლად.

პოლანდიაში ყველას აოცებდა „ქართველი თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი“ — ნიჭით, დაკვირვებულობით, სწრაფსაზრიანობით, ვაჟკაცობით, აღზრდილობით. მეილდენბერგში გამართულ საარტილერიო გამოცდებზე ყველა გააკვირვა ქართველი ბატონიშვილის განსწავლულობამ და გაწაფულობამ „ბომბარდი-

რების ხელოვნებაში“. პეტრე აღტაცებული იყო მეგობრის წარმატებებით.

ალექსანდრესთან სიახლოვეს ესწრაფოდნენ ჰოლანდიელი სწავლულნი, სამხედრონი, იურისტები, „მაღალ საზოგადოებაზე“ დახარბებული პლუტოკრატები. ევროპელებისათვის პირდაპირ „აღმოჩენა“ იყო ეს „საოცარი ქართველი“, თავისუფალ დროს ქართული სამოსელით მორთულ-მოკაზმული.

შემდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილი უტრეხტში სწავლობდა არტილერიასა და ფორტიფიკაციას; აქ მისი მასწავლებელი იყო, ცნობილ სპეციალისტი იან გოშკა.

ალექსანდრე, არტილერიისა და ფორტიფიკაციის შესწავლის გარდა, ეცნობოდა ევროპულ უმაღლეს სულიერ და ნივთიერ, კულტურას – მწერლობას, წიგნის ბეჭდვას, ფერწერას, ქანდაკებას, ხუროთმოძღვრებას.

1698 წელს პეტრე ინგლისში წავიდა და თან წაიყვანა ალექსანდრე ბატონიშვილი. ავსტრიელი რეზიდენტი ჰოფმანი წერდა, რომ აქ, ინგლისში, რუსეთის ხელმწიფეს „მინავს ეგრეთ წოდებულ თავად ალექსანდრე იმერეტინსკისთან, ერთ ექიმთან და კიდევ სამ თუ თოხ ადამიანთან ერთად, ერთს პატარა ოთახშიო“.

1700 წლის 19 მაისს, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანება: „საქვემდებო („პუშკარული“) პრიკაზის ყველა საქმე განაგოს არტილერიის გენერალმა, უფლისწულმა ალექსანდრე არჩილის ძემ“. მაშინვე პეტრემ დააწესა უმაღლესი სამხედრო წოდება „გენერალ-ფელდცებებისტერისა“. და ეს წოდებაც მან პირველს მიანიჭა ალექსანდრე ბატონიშვილს.

ასე შეიქნა არჩილ მეფის უფროსი ვაჟი რუსეთის არტილერიის „მამამთავარი“ – რუსეთის პირველი არტილერისტი, არტილერიის პირველი „მინისტრი“ და პირველი გენერალ-ფელდცებებისტერი. იგი მაშინ ოცდაათი წლისა იყო.

ალექსანდრე მისთვის ჩვეული ცხოველმყოფელობითა და დაუცხრომლობით შეუდგა რუსეთის საარტილერიო-საოშარი საქმის ჩამოყალიბებასა და დაფუძნებას. მაგრამ უცარმა კატასტროფამ უეცრადვე დაამხო დიდების მწვერვალზე ასული უფლისწული. „საქვემდებო პრიკაზის“ უფროსად ალექსანდრეს

დანიშვნიდან (1700 წლის 19 მაისი) ზუსტად სამი თვის თვე—
ზე (1700 წლის 19 აგვისტოს) დაიწყო „ჩრდილოეთის ომი“—
ოცდაერთწლიანი სამკვდრო—სასიცოცხლო ჭიდილი რუსეთსა
და შვეციას შორის. პირველ შეტაკებაში, ნარგასთან, შვედებმა
შოპირდაპირე დამარცხეს, გენერალიტეტი ტყველ წაიყვანეს.
მათ შორის აღმოჩნდა ალექსანდრე არჩილის ძეც.

დიდი ფრანგი მწერლის, ფილოსოფოსისა და განმანათლებ-
ლის — კოლტერის ცხოველი ყურადღება მიიყრო ეგზომ სვე-
აძალლებული ქართველი ბატონიშვილის უცარმა უბედურე-
ბამ.

— ალექსანდრე არჩილის ძე არის შესანიშნავი მაგალითი
ბედის უკუღმართობისა, — წერს კოლტერი — იგი, საქართვე-
ლოს გვირგვინის უდავო მემკვიდრე, ბედისწერამ შვეციის ტყვედ
აქცია. მამამისი, არჩილი, ხელმწიფე ყველაზე მშვენიერი ქვეყ-
ნისა, — რომელიც გაშლილია არარატსა, კავკასიონსა და შავ
ზღვას შორის — მტრებმა აიძულეს სამშობლო დაეტოვებინა. მან
ოსმალეთის ხონთქარის თავშესაფარს რუსეთის იმპერატორის
წყალობა არჩია. არჩილის ვაჟი ნარვასთან შეტაკებისას ფინელ
ჯარისკაცებს შეუპყრიათ, ტანზე შემოუძარცვავთ და ის იყო
პილევაც უნდა მოეკლათ, რომ გრაფმა რენშილდმა გამოჰველიჯა
ხელიდან გამხეცებულ მეომრებს ძვირფასი ტყვე და მეფეს მიჰ-
გვარა. გაოცდა კარლოსი, როცა შეიტყო ვინაობა ამ მშვენიერი
ვაჟაციისა. კავკასიის მთების ძირას დაბადებული აზიელი პრინ-
ცი, რომელმაც ტყვეობა უნდა გაატაროს ყინულოვანი შვეციის
მიწაზე! „ეს იმას ნიშანავს, ერთ მშვენიერ დღეს მე რომ აღმოვ-
ჩნდე ტყვედ ყირიმელ თათრებთან!“ — შესძახა კარლოსმა...

ბევრი ეცადა და იბრძოლა არჩილმა შვილის გამოხსნისათ-
ვის, პეტრე პირველიც ბევრს პპირდებოდა, მაგრამ წელი წელს
შისძევდა და რუსი ოფიცრებისა და ქართველი ბატონიშვილის
უმძიმესი ტყვეობა კვლავ გრძელდებოდა. ბოლოს შვეციის მე-
ფემ კარლოს XII-მ ალექსანდრეს გასათავისუფლებლად ათი
ტონა ოქრო მოითხოვა! პეტრემ ალექსანდრეს შეუთვალა —
როგორ მოვიქცეო. ალექსანდრემ სასწრაფოდ მოაბრუნა პასუ-
ხი: „არა თუ სათქმელად, ფიქრადაც არ მომსვლია რაიმე ზარა-
ლი მოუვიდეს სახელმწიფოს ჩვენი გულისათვის, თუნდაც ათას-
ჯერ უკეთესები ვიყოთ. ჩვენ ამისთვის ვართ მოწოდებულნი

შხოლოდ: ვითმინო და მოგვედეთ ხელმწიფისა და მამულისათვის!“

და შვეციის ტყვეობაში მოკვდა ქართველი უფლისწული, უახლოესი თანამოღვაწე რუსეთის უდიდესი ხელმწიფისა, რუსული არტილერიის მთავარსარდალი, რუსული არმიის პირველი ფელდმეისტერი.

დარჩნენ რუსეთში: არჩილ მეფე, მეუღლე დედოფალი ქეთევანი და ასული დარეჯანი. პეტრე პირველმა აღეჭვანდრეს და დუპვამდე არჩილს სამუდამო საკუთრებად დაუმტკიცა ვსეს-ვიატსკოე, მასთან – სოფელი პახრა და ნიუნივორილის „კოლოსტები“ – ტერიუშევი, ბელგორიდი და ლისკოვი.

პეტრემ არჩილს საგამგებლოდ და საპატრიოდ გადასცა რუსული ქრისტიანული კულტურის მშვენება – დონის მონასტერი, სადაც ესვენა დონის ღვთისმშობლის ხატი – სიმბოლო და სიამაყე რუსული გმირობისა და მამულიშვილობისა (ეს ხატი წინ მიუძლოდა სახელოვან დიმიტრი დონელს კულიკოვოს ველზე მონღოლ-თათრებთან გამართულ ძლევამოსილ ბრძოლაში, 1380 წელს). დონის მონასტრის წინამდღვრად დაინიშნა ქართველი საეკლესიო მოღვაწე, არქიმანდრიტი ლავრენტი. დონის მონასტერი არჩილმა პირველხარისხოვან ციხებურჯად გადააქცია. მას მოსკოვი უნდა დაეცვა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან.

არჩილის გვერდით, იმუამად, ქართულ კოლონიაში ცხოვრობდნენ და რუსული სახელმწიფოსა და კულტურის სამსახურში იდგნენ „ჩრდილოური ოდისეის“ თანამგზავრები: დავითაშვილი, თურქესტანიშვილი, ამბრასაძე („აბრაზანცევი“), ხერხეულიძე („ხერხეულიდზევი“), სოლოდაშვილი („სოლოგოვი“), დადიანი („დადიანოვი“), ქვარიანი, ჯაფარიძე, საყვარელიძე, ბეჟანიშვილი, ალადაშვილი – სულ, ოცამდე წარჩინებული და ასორმოცდათამდე „მდაბიური“ ქართული გვარი.

არჩილი დაუცხოომლად ზრუნავდა ქართული წიგნის ბეჭდვისათვის მოსკოვში. 1703 წელს პეტრეს ბრძანებით შეუღვნენ ქართული წიგნის ბეჭდვას და 1705 წელს გამოვიდა კიდეც პირველი ქართული წიგნი – „დავითნი“.

1713 წელს არჩილი გარდაიცვალა. დაიკრძალა იქვე, დონის

მონასტერში. დარჩა შესანიშნავი პოეტური მემკვიდრეობა — „არჩილიანი“.

1711 წელს, ქაიხოსროს დაღუპვის შემდეგ, ვახტანგი სპარსეთს გაეშურა ქართლის სამეფო მემკვიდრეობის მისაღებად— სპარსეთის ხელმწიფემ, შაჰ ჰუსეინმა მას ქრისტიანობის უარყოფა და მაპმადიანობის მიღება მოსთხოვა. ვახტანგმა ცივადიუარა.

ისფაპანში ვახტანგს ფრანგი მისიონერი პიერ ისუდენი შეხვდრია; მეფეს იმისთვის უთქვაქმს: „ნაკუწებად რომ მაქვითნ, ქრისტეს სჯულს მაინც არ ვუდალატებ და მაპმადიანად არ მოვიქცევიო.

შაჰ ჰუსეინმა ვახტანგი ქირმანს გადაასახლა, ხოლო ქართლი მის ძმას, გამაპმადიანებულ იქსეს ჩააბარა.

ვახტანგი ქირმანის ტყვეობაში პოეტურ მუზასთან ტრფიალებაში იქარვებდა ჯავრსა და კაეშანს. „სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვეყიდე... თუმცა დამეკლოს რამე, ნუ დამდგმობთ. ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“, — წერდა იგი ნაღვლიანად. ქირმანში თარგმნა ვახტანგმა მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავი ქმნილება — „ქილილა და დამანა“. აქაურმა წუხილმა შთააგონა პოეტ-პოლიტიკოსს ბევრი სტრიქონი მისი „ტრისტიციებისა“.

მაგრამ მხოლოდ ლიტერატურული ქვითინით როდი ცხოვრობდა ქირმანში ვახტანგ ბატონიშვილი. იგი დაუცხომლად ეძიებდა უფრო „ძლიერ საშუალებას“, რაიც აიძულებდა (ან დაიყოლიებდა) სპარსეთის ხელისუფლებას, მიეკუთვნებიათ ქრისტიანი ბატონიშვილისათვის მისი ქრისტიანი ქვეყანა, „რჯულშეუცვლელად“.

ასეთ საშუალებად ვახტანგმა მიიჩნია დასავლეთი ევროპა, საითაც მის წინაპრებს დიდი ხნის წინათ გაეკვლიათ გზა.

და 1713 წელს ვახტანგმა ევროპაში გაგზავნა. სახელოვანი ქართველი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი. 1714 წელს ორბელიანი ვერსალის სასახლეში ორჯერ შეხვდა საფრანგეთის მეფეს, ლუი XIV-ს, მაგრამ ამაოდ: მსოფლიოს „უდიდესმა მონარქმა“ არაფერი არ გამოსწირა ქართვე-

ლი ტახტის მაძიებელი უფლისწულისათვის. მერე, სულხან-საბა ორბელიანი პარიზიდან რომს მივიღა და პაპ კლიმენტი X I-ს ეწვია. აქაც „ტკბილი აუდიენციები“ ჰქონდა ქართველ დიპლომატს, მაგრამ აქაც ყოველივე ამაო გამოდგა. 1716 წელს სულხან-საბა ხელცარიელი დაბრუნდა ვახტანგთან. საქართველოს დახსნის „ევროპულმა გზამ“ საბოლოოდ შეირცხვინა თავი ქართველთა თვალში. ვახტანგი იძულებული გახდა მაჰმადიანობა მიეღო და შაჰმა იყი მაშინვე დანიშნა საქართველოს მეფედ და „სპარსეთის ჯარების გენერალისიმუსად“ (ფრანგი კონსულის ანჯე დე გარდანის ცნობა).

ქართლის ახალ მეფეს, ვახტანგ მეექვსეს (1716–1737) კახეთის მეფე დავითთან მტრობა ჰქონდა. ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ქართლისა და კახეთის გაერთიანება უამრავ საერთო მტერთა იერიშების უკუსაგდებად.

განსაკუთრებით გაძლიერდა ლეკთა შემოსევები კახეთის მიწა-წყალზე. ლეკები დაღესტნის მთებიდან მოედინებოდნენ და ქართულ მიწებს – ჭარსა და ბელაქანს იჭერდნენ, მკვიდრად სახლდებოდნენ და კახეთის სიღრმეებისკენ მოიწევდნენ ხშირი, ქურდული-თავდასხმებით, ტყვეებისა და ქონების გატაცებით.

ვახტანგ მეექვსეს სპარსეთში ყოფნისას შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ ეს ქვეყანა მაშინ მის სუსტ, უმწეო მესვეურებს დამის დაღუპვის პირზე მიეყვანათ. ეს ვითარება კარგად გამოიყენეს მისმა ძლიერმა მეტოქეებმა – თურქეთმა და რუსეთმა, რომელთაც დღე-დღეზე უნდა გადაწყვიტათ „ირანულ მემკვიდრეობათა“ დაპყრობა-დაუფლება. თავის მხრივ მეტოქეები – რუსეთი და თურქეთი, ისევ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ემებდნენ საყრდენს მოსალოდნელ საომარ ჭიდილში. რუსეთის საიმპერატორო კარი „ერთმორწმუნე ქრისტიან მომმებთან“ – ქართველებთან და სომხებთან აცხოველებდა სამოკავშირეო ურთიერთობას, ხოლო ოსმალეთის სასულთნო – კავკასიელ მუსლიმანებთან.

1720 წელს ასტრახანის გუბერნატორმა არტემ ვოლინსკიშ ქართველ მეფე ვახტანგ მეექვსეს მოსწერა: რუსეთის მხარეზე მტკიცედ დადექი და ურწმუნოთაგან შენი ქვეყნის განთავისუფლების იმედი იქონიეო.

1721 წელს რუსეთისა და ქართლის სამხედრო-პოლიტიკუ-

რი ქავშირის დაიდო. რუსთა და ქართველ ხელმწიფებს ერთად უნდა შეეტიათ ირანისათვის. სანამ პეტრე პირველი კასპიის გასწვრივ გამოჩნდებოდა, ვახტანგი გამალებით ემზადებოდა „სა-ნატრელი ოშისათვის“. ემზადებოდა ფარულად, სომეხთა თავ-კაცებთან ცხოველი ურთერთობა გაეხა, მათ ჯარების შეყრა-სა და გაწროვნაში შველოდა.

იმავე 1721 წელს პეტრე პირველმა ბრწყინვალედ დაასრუ-ლა შეეცასთან სანგრძლივი ომი. საზეიმო სვლა ვსესვიატსკო-ელან დაიწყო იმპერატორმა — ქართული კოლონიიდან. პირვე-ლი საზეიმო შეხვედრა ქართულ ოჯახში მოაწყო ხელმწიფემ, მისი უსაყვარლესი ადამიანების — არჩილისა და ალექსანდრეს ოჯახში. მასპანძლობდა პეტრეს „ძვირფასი ნათესავი“ ქართ-ველი ქალი, არჩილის ასული და ალექსანდრეს დაი — დარეჯა-ნი. შვედებზე გამარჯვების პირველი საზეიმო სუფრაც „ძვირ-ფას დარიას“ გაეწყო. რუსული იარაღის გამარჯვებისა და რუ-სული მამულიშვილობის აღსანიშნავი პირველი სადღეგრძელოც აქ შესვა პეტრემ და მისმა ამაღამ — ქართულ ოჯახში, ქართ-ველი ქალის ხელით ავსებული სასმურით. მოელი ღამე ქართ-ველებთან იდუმალ საუბარში გაატარეს რუსებმა. საუბარს ესწ-რებოდნენ: გიორგი დადიანი, ბორის თურქესტანიშვილი, პეტრე, მოსე და დიმიტრი ამბრასაძეები. მეორე დღეს პეტრე და მისი ამაღა, რუსებიც, ქართველებიც, ერთად გაემართნენ მოსკოვისა-კენ, რომელიც საზეიმოდ ამდგარი და აღკაზმული ელოდა ძლევ-ამოსილ მეუფეს.

სამხრეთში კი, ქართველები და სომხები დღე-დღეზე ელოდ-ნენ ჩრდილოეთიდან „გამათავისუფლებელი ომის“ შემობრძანე-ბას ამიერკავკასიის განაწამება მიწაზე.

ვახტანგ მეექვსის საომარი დროშების ქვეშ მაშინ 60 000 მეომარი იდგა და მოხდა ისე, რომ სანამ იგი ჩრდილოეთიდან პეტრე პირველის გამოჩენას ელოდა, მანამ 8 000-მა ავღანმა ირანელები გაანადგურა და ირანის სატახტო ქალაქიც აიღო. ვახტანგს თავისუფლად შეეძლო, ბრძოლაში ჩარეულიყო, მაგ-რამ მას არავითარი სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯის გადად-გმა აღარ სურდა პეტრე პირველის გამოჩენამდე.

სამართლიანად წერს ისტორიკოსი პატკანოვი: „ვახტანგ მეფეს რომ მარჯვედ გამოეყენებინა მაშინდელი შექმნილი პი-

რობები, მისთვის, მისი ქართველებით, ძნელი არ იქნებოდა სპარსეთიდან გაედევნა ავღანები და ეთამაშა ის როლი, რომელ-საც აზიაში თამაშობდა ნადირ-შაჰი. სპარსეთის დამპყრობლებს (ავღანებს) შიშს ჰევრიდათ თუნდ ერთი გამოჩენაც ქართველთა მხედრობისა, რომლის ძალმოსილებაც მათ არაერთხელ უგემ-ნიათ თავისას, საკუთარ სამშობლოში (ავღანეთში)“.

1722 წლის 15 ივნისს პეტრე პირველმა ირანში გალაშქრების მანიფესტი გამოსცა. ვახტანგი განჯისაკენ გაემართა. აქ უნდა შეერთებულიყვნენ მოკავშირეთა ჯარები. ქართველები სამ თვეს იდგნენ განჯაში. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ კას-ბიისაკენ რუსთა ლაშქრობა ჩაიშალა და იგი მომავალი წლი-სათვის გადაიდო. დანაღვლიანებული ვახტანგი თბილის მობ-რუნდა.

როლო, რუსთა ლაშქრობა აღარც მომდევნო წელს შესდგა კავკასიაში. ბოლოს, 1724 წელს, ვახტანგმა შეიტყო თავზარ-დამცემი ამბავი: რუსეთსა და თურქეთს ხელშეკრულება დაუ-დევთ და პეტრე პირველს აღმოსავლეთ ამიერკავკასია, უწინა-რეს ყოვლისა ქართლი, თურქეთის საკუთრებად უცნია.

ამას ისიც დაერთო, რომ კახეთის მმართველმა კონსტანტი-ნემ ლეპთა ჯარები დაიქირავა და თბილის შემოესია.

ვახტანგი ოჯახით, ნათესავებით და 1400 რჩეული ქართვე-ლით რუსეთში გადაიხვეწა. თბილისში თურქები შევიდნენ.

ვახტანგმა პეტრე პირველს ცოცხალსაც ვეღარ ჩაუსწრო. პეტრბურგის კარზე მაინც პატივით მიიღეს, მაგრამ დახმარება მაინც არაფერი მისცეს. იგი მძიმე სევდით შეპყრობილი, პე-ტერბურგიდან ასტრახანს გადასახლდა და იქვე აღესრულა 1773 წელს. იქვე დაკრძალეს – პოეტი-მეფე, მიამიტი პოლი-ტიკოსი.

ვახტანგის თანამგზავრებმა, ანუ ვახტანგისგან საქართველოს-გან მოვითილებმა – რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. ბევრი სამხედრო სამსახურში შევიდა (მსგავსად დიდი პოეტის დავით გურამიშვილისა), სხვადასხვა ქალაქებსა და გუბერნიებში და-სახლდნენ. ზოგი კულტურულ საქმიანობას შეუდგა. არჩილ მეფის დროინდელი ქართული სტამბა აღადგინეს; წერდნენ, თარ-გმნიდნენ, ბეჭდავდნენ... საქართველოს კი... ეკარგებოდნენ.

საქართველო XVIII ს. მეორე ნახევარში

ოსმალებმა ოორმეტი წელიწადი იბატონეს საქართველოში. ქართველები ისევ იძრმოდნენ, „სანამ პირში სული ედგათ“.

1735 წელს ირანის ახალმა მპრანებელმა, ნადირ შაჰმა, ოშალები დაამარცხა და ამიერიდან საქართველოში „ოსმალობა“ ისევ „ყიზილბაშობამ“ შეცვალა.

აღმოსავლეთი საქართველო ნადირმა მამა-შვილს – თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორეს გაუნაწილა: ქართლი – თეიმურაზს, კახეთი – ერეკლეს.

აյ ნიშანდობლივი ის იყო, შაჰმა გამაჰმადიანების გარეშე დართო ნება ახალ ქრისტიან მეფეებს ტახტზე ასვლისა. 1745 წელს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, გამოჩენილი საეპლესიო მოღვაწისა და განმანათლებლის, კათალიკოს ანტონ პირველის ხელდასხმით, ქრისტიანული წესების დაცვით ეკურთხნენ მეფეებად მამა და შვილი.

ქართველები ისევ იწყებენ ბრძოლას თავისუფლებისათვის. ჯერ შანშე არავის ერისთავი უდგა სათავეში აჯანყებას, მერე გივი ამილახორი.

1747 წელს ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოჰკლეს. ძალაუფლება ხელთ იგდო ნადირის ძმისწულმა და თეიმურაზ მეორის სიძემ (ქალიშვილის ქმარმა) – ადილ შაჰმა.

მაგრამ ირანი ანარქიამ მოიცავა. ბევრი მაძიებელი გამოუჩნდა შაჰის ტახტსა და გვირგვინს. ასეთი „მაძიებელი“ იყო თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი, რომელმაც ამიერკავკასიას შემოუტია გამძაფრებით. იგი ჯერ ერევნის დასაპყრობად წამოემართა. ერევანი ქართველთა მფარველობაში შემოღილდა და სასწრაფოდ წარემართა ერეკლე მეორე ქართველთა მხედრობით ერევნებითა დასახსნელად. 1751 წლის 27 ივლისს, ყირ-ბულახთან, ერევნის მახლობლად, ერეკლემ უაღრესად ხერხიანი მანევრით, სასტიკად დაამარცხა და გააქცია რიცხვმრავალი მოპირდაპირე.

ერეკლე მეფე მთელს კავკასიაში უკვე უმეტოქერი მხედრად და მხედართმთავრად იყო აღიარებული. მან მანამდეც მრავალ-ჯერ დაამარცხა ლეკთა მაოხარი გუნდები, პირისპირ შერკინებაში დახოცა მათი რჩეული ბელადები.

1752 წელს, თულქითაფასთან, ერეკლემ სასტიკად გაანად-

გურა ლეკებისა და შაქი-შირვანის გაერთიანებული ჯარები. მაგრა, ბოდბელმა გლეხმა პაატა ბალაშვილმა ცხრა თათარი გაპონებლით, სამი ცოცხლად გათოკა.

1754 და 1755 წლებში, ისევ ერეკლეს სარდლობით ქართველებმა სასტიკად გაანადგურეს ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი და მისი ჯარები, ჯერ — მჭადისჯვართან, მეორედ — ყვარელთან.

ქართველები ისევ არ იშლიდნენ რუსეთისაკენ ლტოლვას. 1760 წელს მეფე თეიმურაზ მეორე პეტერბურგს ჩავიდა და იმპერატრიცა ელისაბედს შეხვდა. ქართველი მეფე რუსულ ჯარს ან ჯარის დასაქირავებელ ფულს ითხოვდა, ირანის დაპყრობას აღუთქვამდა და სამარადეამო ერთგულებას იფიცებოდა.

შაგრამ ისევ ! „არახელსაყრელი პირობები“ იყო რუს-ქართველთა „მმობა-მეგობრობისა“. რუსეთი „შვიდწლიან ომში“ იყო ჩაბმული. თეიმურაზიც ვერაფერს გახდა. უკანაც ვეღარ, დაბრუნდა. იქვე, პეტერბურგს გარდაიცვალა, 1726 წელს. გადაასვენეს ასტრახანს და იქ დაკრძალეს თავისი სიმამრის, ვახტანგ მეექვსის გვერდით.

დიდი ქართველი მეფე-მწერლების — თეიმურაზ პირველის, არჩილ მეორისა და ვახტანგ მეექვსის მსგავსად, არც ამ მეოთხე მეფე-პოეტს ეღიორსა მშობლიურ მიწაზე სულის დალევა.

ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ხელმწიფე შეიქნა ერეკლე მეორე.

სპარსეთში ამ დროს ცენტრალური ხელისუფლება განმტკიცდა. სახელმწიფოს სათავეში ქერიმ-ხან ზენდი მოექცა. იგი იძულებული გახდა ამიერკავკასიაში ერეკლე მეორის „ჰეგემონია“ ეცნო. ერევანი, განჯა და ყარაბაღი ისევ ქართველი მეფის მფლობელობაში შედიოდნენ.

სწორედ ერეკლეს მეფობის უამს დასავლეთ საქართველო-საც ეღიორსა ძლიერი, ნიჭიერი და ყოველი სამამულიშვილო, ღირსებით აღსავსე საჭეთმპყრობელი — მეფე სოლომონ პირელი, დიდი (1752—1784). მან მტკიცე, მკაცრი ხელით დაორგუნა და დაიმორჩილა იმერეთის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის ამაყი და თავგასული მთავრები, 1757 წელს ხრესილის ველზე სასტიკად დაამარცხა ლაშქრად შემოჭრილი ოსმალური

არმები, ალაგმა და უკუაქცია მტრის სარევანშო შემოტევები. ნიშანდობლივი იყო წარწერა სოლომონის სახელმწიფო ბეჭედზე – „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლმჩქეფე, იმერთ მეფე სოლომონ“...

1758 წელს ერეკლემ და სოლომონმა სამხედრო კავშირი შეკრეს: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“.

1768 წლის 23 ივნისს სოლომონმა, მსგავსად ერეკლე მეფი-სა, რუსეთში ელჩი გაგზავნა და მფარველობა ითხოვა. სამაგი-ეროდ ისიც ოსმალეთის წინააღმდეგ ომში დახმარებას აღუთქ-ვამდა რუსთა ხელმწიფებეს.

რუსეთ-თურქეთის მორიგი ომიც (1768–1774) უკვე დაწყე-ბული იყო. საომარი ფრონტები ამიერკავკასიასა და ბალკანეთ-ზე უნდა გაშლილიყო. რუსეთის საიმპერატორო კარი ორივეგან მოკავშირებად ისევ ქრისტიან მოსახლეობას გულისხმობდა, ხოლო ოსმალეთის სასულთნო – მაკმადიან მოსახლეობას. ქარ-თველი მეფები ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირში ირანისა და ოსმალეთისგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებას, ლეკიანობისა, ოსმალობისა და ყიზილბაშობის აღვეთას იმე-დოვნებდნენ. ხოლო, რუსეთის მთავრობა თავის მხრივ ქართ-ველთა საშუალებით ამიერკავკასიაში თურქთა დიდი ძალების დაბანდებას ფიქრობდა, ბალკანეთის მთავარ ფრონტზე რომ შეტევები გაადვილებოდა.

1769 წელს, დარიალის გამოვლით, რუსთა ჯარი (სულ – 480 ჰუსარი და კაზაკი) საქართველოში შემოვიდა. სარდლად მოუძღვდა გენერალი ტოტლებენი, შეუფერებელი კაცი, უნი-ჭო და უზნეო, რომელსაც საკუთარი პატივმოყვარეობის იქეთ, არაფრად მიაჩნდა არც რუსეთი და არც საქართველო. ჩვენ აქ, ამიერკავკასიაში, თურქების წინააღმდეგ – „რუსული სულით და ქართული ხორცით“ უნდა ვიომოთო, – ასეთი განაზრახით მოდიოდა ტოტლებენი.

მომდევნო წელს რუსეთის ხელმწიფემ, დედოფალმა ეკატე-რინე მეორემ, საქართველოში კიდევ გამოგზავნა 3762 მეომარი, რუსეთში გაზრდილი თავადის ჩოლოფაშვილის სარდლობით.

ერეკლე მეფე და გენერალი ტოტლებენი ქართველთა და რუსთა მხედრობით მტკვრის აყოლებით, მესხეთისაკენ გაეშურ-

ნებ. 1770 წლის 17 აპრილს აწყურის ციხეს მიადგნენ. უკირავდ
ტოტლებებმა რუსთა მხედრობა გამოაბრუნა და ერეკლე მეფე
შისი ქართველებით მარტო დატოვა. ერეკლეს ისღა დარჩენო-
და მარტოდევე შებმოდა მტერს. შეება კიდეც და დაამარცხა აწ-
ყურის თურქელი ციხიონი და ასპინძისკენ მიმავალ გზას და-
ადგა.

უკირად გზაზე ახალქალაქიდან გამოჭრილი ათასხუთასი
რჩეული ოსმალო მეომარი გადაუდგა წინ ქართველებს. ერეკ-
ლემ რჩეული ქართული რაზმით ფიცხელი იერიში მიიტანა და
სასტიკი ხმალთაკვეთებით ასჩეხა მოპირდაპირე. მაგრამ ეს
თურმე მხოლოდ „ძალთა მოსინჯვა“ იყო და, ნახევარ საათში,
მტრის მთავარი ძალებიც გამოჩნდნენ – ლეკთა და თურქთა გა-
ერთიანებული მხედრობა, 8 000 მეომარი.

და მოხდა ბრძოლა ასპინძასთან, 1770 წლის 20 აპრილს.. ერეკლემ, 3000 მეომრით, ბრწყინვალე გაიმარჯვა. თვითონ
მეფემ პირისპირ შეტაკებაში განგმირა ლეკთა განთქმული ბე-
ლადი კოხტა-მალაჩილა.

მაგრამ ესეც იყო მხოლოდ „უიღბლო გმირობის აპოთეოზი“: ამ გამარჯვებამაც ქართველებს პრაქტიკულად არაფერი არ არ-
გუნა.

ტოტლებენი უარესად გადაემტერა ერეკლეს. ტახტიდან ჩა-
შოგდებაც დაუპირა, რამდენიმე ქართველი თავადიც შეთქმულე-
ბაში ჩაითრია. მაგრამ ერეკლე ენერგიულად ამოქმედდა და ტოტ-
ლებენს ისღა დარჩენოდა, გასცლოდა. იგი სასწრაფოდ გადავი-
და იმერეთს, სოლომონის „მისაშველებლად“. მაგრამ აქაც, თა-
ვისი უტაქტობით, იმერეთის მეფესთანაც განხეთქილება მოუ-
ვიდა. პეტერბურგის კარზე მიხედნენ, რომ საქართველოში
„ტოტლებენი რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სა-
ხელს“. ამიტომ იგი უკან გაიწვიეს და მის ნაცვლად რუსულის
მხედრობის სარდლად გენერალი სუხოტინი გამოგზავნეს.

მაგრამ სუხოტინიც თავნება გენერალი გამოდგა. დასავლეთ
საქართველოს მესვეურთა რჩევას არ დაუჯერა, ფოთს უდროო
დროს ალყა შემოარტყა, ალყა გაჭიანურდა, რუსი მეომრები
ადგილობრივმა კლიმატმა დასცადა, მალარიით და ციებცხელე-
ბით ჯარის დიდი ნაწილი გაწყდა და დანარჩენებით სუხოტინი
უკუიქცა.

1772 წელს რუსთა მხედრობა საქართველოდან ისევ რუსეთს გაბრუნდა. ოსმალეთმა ისარგებლა და იმერეთის დასასჯელად 5 000 მეომარი გამოგზავნა. სოლომონმა ეს ჯარი ჩხერის ხეობაში სასტიკად დაამარცხა. მხოლოდ შვიდასამდე ლექმა და თურქმა დააღწია თავი სიკვდილს.

1774 წლის 10 ივლისს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთი და ოსმალეთი შერიგდნენ. ამ ზავით ვერც ერეკლემ და ვერც სოლომონმა ვერაფერიც ვერ მიიღეს. იმერეთი ისევ ოსმალეთის ხელქვეით სცნო რუსეთის მთავრობამ. მაგრამ სოლომონმა არ სცნო ქუჩუკ-კაინარჯი და ისევ განაგრძობდა ბრძოლას.

რუსთა წასვლის შემდეგ ერეკლე მეფემ „მორიგე ჯარი“ შექმნა, უმამაცესი ძისა და მემკვიდრის ლევან ბატონიშვილის სარდლობით. მეფის ბრძანებით, ყოველი ბრძოლისუნარიანი მამაკაცი ერთი თვით სამხედრო სამსახურში უნდა მდგარიყო. ლევან ბატონიშვილმა მორიგე ჯარით სავსებით აღკვეთა ლეკთა თარეში ქართულ მიწა-წყალზე. მაგრამ თავადები არ შეურიგდნენ მორიგე ჯარში ყმების წართმევას. ამას ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი დაღუპვა დაერთო და ერეკლეს ეს მნიშვნელოვანი „სამხედრო რეფორმაც“ ჩაიშალა.

• • • • •
რუსეთისა და საქართველოს ურთიერთკავშირის ინტერესები ისევ დღის წესრიგში იდგა.

1783 წლის ივლისში დღიდი პოლიტიკური აქტი გაფორმდა. ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხესიმაგრეში, გეორგიევსკში; დაიდო რუსეთ-საქართველოს „მეგობრობითი პირობა“, ანუ „ტრაქტატი“. რუსთაგან „ტრაქტატს“ ხელი მოაწერა გენერალ-მა პავლე პატიომეინმა, ქართველთაგან – გარსევან ჭავჭავაძემ და იოანე მუხრან-ბატონმა.

გეორგიევსკის ტრაქტატი ითვალისწინებდა ორმხრივ ვალდებულებებს: ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობს ირანის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს ქვეშევრდომობაზე და სამუდამოდ შედის რუსეთის მფარველობაში; ამიერიდან სამეფო რეგალიებს ქართველი მეფე მიიღებს რუსეთის იმპერატორისაგან; თავის მხრივ ქართველი მეფე ერთგულების ფიცს აძლევს რუსეთის ხელმწიფულს; ქართლ-კახეთის მეფეს უფლება აღარ აქვს რუსეთთან შეთანხმების გარეშე აწარმოოს რაიმე საგარეო პო-

ლიტიკა; ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულებას კისრულობს საჭიროებისთანავე, რუსეთის სამსახურში გამოვიდეს მთელი თავისი საომარი ძალებით; რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას; ზრუნვა დაცვისა გავრცელდება იმ ქვეყნებზეც, რომლებიც დროთა მანძილზე შემოუერთდება ქართლსა და კახეთს; რუსეთი კისრულობს ერეკლესა და მისი შთამომავლობის დაცვას ქართლ-კახეთის ტახტზე; შინაურ საქმეებში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელია; რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში ვერ ჩაერევიან; ერეკლე მეფე კისრულობს სოლომონ იმერეთის მეფესთან თანხმობით ყოფნას, ხოლო რაიმე უთანხმოების შემთხვევაში შუამავლობა ეკუთვნის რუსთა ხელმწიფეს; ქართველთა ჯარის სიმტკიცედ და საქართველოს დასაცავად მოსალოდნელი ვარე შემოსევისაგან, რუსეთის ხელმწიფე საქართველოში მუდშივ სამყოფად აგზავნის ორ ბატალიონ ქვეით ჯარს; ომის შემთხვევაში, რუსეთის მენაპირე ჯარის სარდალი, რუსეთის ხელისუფლების რწმუნებით, ქართლ-კახეთის მეფესთან ერთად გამოიდის საერთო მტერთან საომრად; ქართველი თავად-აზნაურობა უფლებრივად უსწორდება რუს თავადაზნაურობას; ასევე, ქართველი ვაჭრები რუსეთში ღებულობენ რუსი ვაჭრებისათვის დადგენილ შეღავათებს; რუსეთის ხელმწიფე კისრულობს, ომისა თუ ზავის პირობებში, ყოველნაირად იღონოს, დაუბრუნდეს ქართლ-კახეთს მტრებისგან მიტაცებული ქართული მიწები.

1784 წლის 22 იანვარს „ტრაქტატს“ ხელს აწერს რუსეთის ხელმწიფე ეკატერინე II, ხოლო 24 იანვარს — ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II.

მთელი წინა აზია შეარყია რუსეთ-საქართველოს სამეგობრო-სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამ. სამტროდ აღიშართა ოსმალეთი, სპარსეთი, ჩრდილო თუ ამიერკავკასიის მაჰმადიანური სამყარო — ყოველი „ხანი“, „ბეგი“, თუ „ბაში“.

იმავე 1784 წელს გარდაიცვალა იმერეთის დიდი ხელმწიფე, სოლომონ პირველი. ატყდა დავა „მცირე ზომის“ მემკვიდრეებს შორის და იმერეთის პროგრესულმა „დასმა“ ერეკლე მეფეს აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გაერთიანება შესთავაზა. ერეკლემ ვერ გაბედა და უარი სთქვა. იმერეთის ტახტზე მისი შვილიშვილი სოლომონ II დაჯდა.

ამასობაში ირანში გამართული შინაური ომები დამთავრდა და უმაღლესი ძალაუფლება ზელთ იგდო ფრიად ენერგიულმა. საჭურისმა, ტომით ყაჯარმა, აღა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც ერეკლეს მოსთხოვა რუსეთთან ხელშეკრულების გაუქმება და ირანთან „მეგობრობისა“ და „დოსტობის“ აღდგენა. ეს „თხოვნა“ აღა-მაჰმად-ხანმა ქართველ მეფეს რამდენჯერმე გაუმეორა. ერეკლემ კი არცერთზე პასუხი არ აღირსა და ყოველთვის ყოველივე რუსეთის ხელისუფლებას აცნობა. რუსეთის წარმომადგენელმა კი, კავკასიის რუსული ჯარების მთავარსარდალმა გუდოვიჩმა, ერეკლეს გაფრთხილებანი მტრის მოსალოდნელი შემოსევის შესახებ, ყოველთვის სრულად უყურადღებოდ დატოვა.

1795 წლის სექტემბრის დამდეგს, აღა-მაჰმად-ხანი 35 000-იანი არმიით და არტილერიით თბილისის მისადგომებში შემოიჭრა.

მოხუცმა ერეკლე მეფემ, რუსთა მოლოდინში, საკუთარი საქმარისი სამხედრო ძალების შემოკრება ვერ მოახერხა და მცირე ჯარით (დაახლოებით 4500 მეომრით) დაუხვდა მრავალრიცხოვან მტერს.

ბრძოლები გაიმართა კრწანისის ხეობაში. სამჯერ – 8, 9 და 10 სექტემბერს – ქართველებმა სძლიეს და უკუაქციეს მუსლიმანთა შემოტევები. აღა-მაჰმად-ხანი გასაბრუნებლად აემზადა, მაგრამ თბილისიდან მოღალატები წამოეწივნენ და დაარწმუნეს, რომ ქართველ მეფეს საომარი ძალები საერთოდ არ გააჩნდა. აღა-მაჰმად-ხანი შემობრუნდა და მთელი ძალებით გულსრულად შემოუტია. 11 სექტემბერს გამართულ უმძიმეს ბრძოლაში ქართველები ამაოდ შეაწყდნენ მძვინვარე მტერს. განსაკუთრებული იყო არაგვის ხეობიდან ჩამოსული სამასი გლეხის გმირობა – ყველანი გმირის სიკვდილით დაეცნენ. თვითონ ერეკლე გადარჩენილმა ახლობლებმა ძლივს გაიყვანეს ბრძოლის ველიდან. სპარსელები თბილისში შეიჭრნენ და სასტიკადიავარჲყვეს. აღა-მაჰმად-ხანი ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული გაბრუნდა.

„მეგობარი და მოკავშირე რუსეთიდან“ კი ბაიბურიც არ ისმოდა. თითქოს საქართველო არც არსებობდა ამ ქვეყანაზე.

ერეკლე მარტო შესდგომოდა სარევანშო ბრძოლის სამზადისს. აღა-მაჰმად-ხანიც ემზადებოდა საქართველოს ხელახალი დალაშქვრისათის, მაგრამ მოულოდნელად მოჰკლეს. ირანი ისევ მოიცვა ანარქიამ.

1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა 78 წლის ერეკლე მეფე, საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე, თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაუდალავი მებრძოლი, ჭეშმარიტი გმირი და მამულიშვლი. დაკრძალეს მცხეთას, სვეტი-ცხოველში, ვახტანგ გორგასალის ახლოს.

ამის შემდგომ სამი წელიწადი ყოვლად უფროული და უმწეო მეფობით იმევა ერეკლეს უფროსმა ვაჟმა, გიორგი მეთორ-შეტებ.

და, როცა ისიც მოკვდა და ცხედარიც სვეტიცხოვლის მიწაში კარგად არც გაცივებულიყო, მაშინვე, 1801 წლის 16 ოქტომბერვალს, თბილისში, ხალხით გაჭედილ სიონის ჭამარში, პირველად სახალხოდ გამოცხადდა რუსი იმპერატორის მანიფესტი რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებისა.

მაში, დამოუკიდებლობის გაუქმება და შეერთება, ანუ — დაპყრობა!

რა გაეწყობა, — კავკასიონის დაღმართ, ანუ „შუბლსა ზედა დედაშიწისასა“ — აკი მაინც ჯვარი ესახა, ჯვარი!

მაგრამ, ვაი თუ ჯვარზე უფრო სახოვნად — მაინც ჩექმა რუსული?!.

კულტურის კატალოგი

XVIII საუკუნის საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა სასკოლო სწავლასა და აღზრდას. სახელმწიფო სკოლები დაარსდა თბილისში ((1755 წ.) და თელავში (1782 წ.), ორივე ფილოსოფიის სემინარია. აქ სწავლობდნენ საღვთისმეტყველო საგნებს, ფილოსოფიას, გრამატიკას, ლოგიკას, რიტორიკას, ფიზიკას და მეცნიერების სხვა დარგებს. იყო კერძო სკოლებიც. სწავლობდნენ ისტორიას, ფილოსოფიას, მშობლიურ ენას, სპარსულ, თურქულ, არაბულ, სომხურ და რუსულ ენებს.

განსაკუთრებით განვითარდა საისტორიო მეცნიერება. ვახტანგ მეექვსის ინიციატივით შეიქმნა „სწავლულ კაცთა კომი-

სია“, რომელმაც მოახდინა ძველი „ქართლის ცხოვრების“ რე-დაქტირება და ახალი (XIV–XVIII სს.) საქართველოს ისტო-რიის შედგენა. ამავე დროს განეკუთვნება ვახუშტი ბატონიშ-ვილ-ბაგრატიონის შესანიშნავი საისტორიო-გეოგრაფიული თხზულება — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იმავე XVIII საუკუნეში წერდნენ თავიათ საისტორიო თხზულებებს სენია ჩხეიძე, ომან ხერხეულიძე, პაპუნა ორბელიანი და სხვანი.

XVIII საუკუნეს ამშვენებს დიდებული ქართველი მწერა-ლი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი და მოღვაწე სულხან-საბა ორ-ბელიანი. გამორჩევით უნდა აღინიშნოს მისი ფილოსოფიურ-პედაგოგიკური ხასიათის რომანი — „წიგნი სიბრძნე-სიცრუი-სა“ და ლექსიკოლოგიური შრომა — „ქართული ლექსიკონი“.

იწერებოდა და ითარგმნებოდა შრომები მათემატიკაში, ფი-ზიკაში, ასტრონომიასა და გეოგრაფიაში. ანტონ კათალიკოსმა, თარგმნა ვოლფის ფიზიკა, არისტოტელეს და პროკლეს ფილო-სოფიური თხზულებანი და დაწერა ორიგინალური თხზულება, „წყობილისტეკვაობა“.

სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ნააზრევის გვირდით, ქართული მაღალი პოეტური ქმნილებებით წარმოსდგნენ მეფე ვახტანგ მეექვსე და მეფე თეიმურაზ მეორე. ვახტანგმა და სულ-ხან-საბამ ერთად თარგმნეს მსოფლიო რეზონანსის ნაწარმოები — „ქილილა და დამანა“.

XVIII საუკუნემ შესძინა ქართულ ლიტერატურას დიდი პოეტი დავით გურამიშვილი, რომლის პოეტური მეძკვიდრეობა თავმოყრილია მრავალმნიშვნელოვან კრებულში — „დავითიან-ში“. იმავე საუკუნეში თხზავდა შესანიშნავ ლირიკულ ლექსებ-სა და ისტორიულ პოემებს ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაარსად თეატრი; პირ-ველ დრამატურგებად გამოჩნდნენ დავით ჩოლოფაშვილი და გიორგი ავალიშვილი.

საქართველო XIX საუკუნეში

რუსეთთან „შეერთებისთანავე“ საქართველოს მმართველო-ბის სათავეში მკაცრი სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმი დამ-ფარდა. ქვეყანა მაზრებად დანაწილდა და მაზრის უფროსებად რუსი ოფიცირები ჩადგნენ. მეფის მოხელეები არავითარ ანგა-

რიშს არ უწევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციებზე, ზეს-ჩე-ჩვეულებებს, განუკითხავად ძარცვავდნენ, შეურაცხოფდნენ და ამცირებდნენ. ამას მთიანი საქართველოს მოსახლეობაში, 1804 წელს, დიდი აჯანყება მოჰყვა. საქართველოს მაშინ-დელმა მმართველმა მთავარსარდალმა ციციანოვმა (გარუსებული ციციშვილი) აჯანყება დიდის გაჭირვებით ჩაახშო.

შავრამ ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება სრულიად საქართველოს შეერთებას არ ნიშნავდა და ეს რუსეთის ხელი სუფლებასაც ძალიან კარგად ესმოდა, — ესმოდა, გაეგებოდა და ვერ ისვენებდა, რომ დასავლეთ საქართველო ჯერ კიდევ მისი იმპერიის გარეთ იყო, ჯერ ისევ იქ, იმერეთის სატახტო ქუთაისში დამოუკიდებელი ქართველი მეფე იჯდა — სოლომონ მეორე. თვითონ სოლომონი ჯერ კიდევ ვერ მიმსვდარიყო, რომ რუსეთი მის მიმართ მარტო „მფარველობას“ არ იკმარებდა და დამოუკიდებელი მეფობის ყოველგვარი კვალი უნდა წაშლილიყო ქუთაის-იმერეთის „ქუეყანასა ზედა“.

მაინც გარუსებულმა ქართველმა მიიტანა იერიში უკანასკნელ ქართველ მეფეზე — ისევ პავლე ციციანოვმა, რომელმაც ჯერ სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი დაუპირისპირა მეფეს. დადიანმა რუსის ჯარი მიიღო სამეგრელოში, რუსის შხარდაჭერით ჯერ ლეჩხუმი წაართვა „მშობლიურ მეფეს“. მერე თვითონ იმერეთს მიაყენა რუსის ჯარი ციციანოვმა. სოლომონმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და „ზავზე“ დათანხმდა (ე. წ. „ელაზნაურის ტრაქტატი“): იმერეთის მეფე რუსეთის ერთ მოხელე ქვეშევდრომად ცხადდებოდა, ვათომ იმ „უპირატესობით“, რომ ჯერ კიდევ სამეფო რეგალიებს ინარჩუნებდა.

რუსეთის მთავრობას შავ ზღვაზე გასვლა და იქანონი პორტებიდან და ციხესიმაგრებიდან ოსმალების განდევნა ეჩქარებოდა და ამ დასავლურ-ქართულ გზებზე სოლომონის თუნდაც ნომინალური „მეფობა“ მაინც ფეხებში ებლანდებოდა. ერთ ხანზე იდუმალ მოკვლა დაუპირეს, მაგრამ მკვლელი ვერ იშოვნეს (!). მერე თბილისში გაიწვიეს სოლომონი. ისიც წავიდა, თბილისს ჩავიდა, მაგრამ გული მაინც არ დაუდგა, დამით გამოიპარა და, ახალციხის გზით, ოსმალეთს შეეფარა. იქვე დარჩა კიდევ ხუთი წელი და... გარდაიცვალა 1815 წლის 7 იანვარს,

ქალაქ ტრაპიზონს. იქვე დაკრძალეს, ბერძნული ეპლესიის ეზოში.

სოლომონის განდევნიდან, 1810 წლიდან, იმერეთშიც რუსული საიმპერიო ხელისუფლება დამკვიდრდა. მრავალსაუკუნოვანი „სამეფოს“ ნაცვლად მას დაერქვა უბრალოდ „ოლქი“ – იმერეთის ოლქი, რომელიც თავის მხრივ დანაწილდა ექვს „ოკრუგად“, ანუ „მაზრად“. ოლქებიც და მაზრებსაც ედგნენ რუსი ოფიცირები.

იმავე 1810 წელს რუსულ მმართველობაში მოექცნენ გურიის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროები...

... ახლა ქართულ ეკლესიას მიდგა რუსული კოლონიური ხელისუფლება, — მისი მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) გააუქმა და რუსეთის უმაღლეს სინოდს დაუშორჩილა. საქართველოს კათალიკოსი ანტონ მეორე გადააყენეს და რუსეთში, ნიუნინოვგოროვდში გადაასახლეს, სიკვდილამდე იქ საცხოვრებლად. ამიერიდან ქართულ ეკლესიას განაგებდნენ რუსი ეგზარქოსები.

ერთი წლის შემდეგ – 1812 წელს – კახეთი აჯანყდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებულებმა ზედიზედ დაამარცხეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილი სადამსჯელო რუსული ჯარები. აჯანყება კახეთიდან ფშავ-ხევსურეთსა და არაგვის ხეობას მოედო. დიდის გაჭირვებით ჩაახშეს რუსებმა ეს დიდი სახალხო მოძრაობანი აღმოსავლეთ საქართველოში.

პარალელურად ამ ამბებისა, რუსეთს ომები ჰქონდა სპარსეთთან და ოსმალეთთან. ეს ომები აღრეც დაწყებულიყო: სპარსეთთან – 1804 წელს, ოსმალეთთან – 1806 წელს. ირანის ჯარებს სათავეში სპარსი და ქართველი უფლისწულები უდგნენ – აბას-მირზა და ალექსანდრე ერეკლეს ძე, სპარსეთს გაქცეული, რუსეთის დაუძინებელი მტერი. ერევნიდან უკუაქციეს სპარსელებმა რუსები. სამაგიროდ რუსებმა და ქართველებმა ოსმალებს ზედიზედ წაართვეს ქართული ქალაქები – ფოთი, სოხუმი და ახალქალაქი. მაგრამ რუსეთი ნაპოლეონის შემოსევის საფრთხემ აიძულა, ოსმალეთთან ნაადრევად შეეკრა ზავი (ბუქარესტის ზავი, 1812 წ.), რომლითაც საქართველოს მარტო

სოხუმი დარჩა, ხოლო ფოთი და ახალქალაქი ისევ ოსმალეთი დაუბრუნდა.

იმავე 1812 წელს რუსეთმა დიდი ომი გადაიხადა — სამამულო ომი — ძლევა ნაპოლეონ ბონაპარტისა. ამ ომში ბევრმა ქართველმაც ისახელა თავი; ამათგან უსაჩინოესი, ბოროდინოს უპირველესი გმირი, დიდი მხედართმთავარი გენერალი პეტრე ბაგრატიონი იყო...

იმავე 1812 წლის ბოლოს რუსებმა და ქართველებმა, ასლან-დუზთან და ლენქორანთან, დაამარცხეს სპარსთა არმიები და სპარსეთმა ზავი ითხოვა.

ზავი დაიღო გულისტანს, 1813 წლის ოქტომბერში. საქართველო სპარსეთმა რუსეთის განუყოფელ ნაწილად სცნო.

1819 წლის ზაფხულში, დასავლეთ საქართველოში ახალმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყების საბაბი გახდა რუსი ეგზარხოსის, თეოფილაქტეს თვითნებობა — მძიმე საეკლესიო გადასახადების გაწერა, ქართული ეკლესიების დახურვა, სამრევლოების შემცირება, ადგილობრივი სამწყსოების შევიწროება და აბუჩად აგდება. აჯანყების მოწყობა ადგილობრივ ქართველ მიტროპოლიტებს — ქუთათელსა და გენათელს დააბრალეს, ორივე შეიძყრეს, ხელები გაუკრეს, თავზე ტომრები ჩამოაცვეს და თბილისის გზას გაუყენეს. გზაზე ქუთათელი გარდაიცვალა. აჯანყება გამძაჭრდა და იმერეთიდან გურიასაც მოედო. იმერეთის მმართველი პუზირევსკი გურიაში ჩაიჭრა ჯარით. ეს „ჩაჭრა“ ძვირი დაუჯდა: გურულებმა მოჰკლეს იგი. აჯანყებულებმა დაამარცხეს ახლად დანიშნული მმართველი სკორელსკიც. რუსული პოსტები დაარბიეს ოზურგეთში, ჭალადიდში. გურულებს მეგრელებიც აჰყვნენ; აჯანყება გავრცელდა მთელს რიონის ხეობაში, განსაკუთრებით მძაფრად რაჭაში. ძლივს მომდევნო 1820 წელს მოახერხეს რუსმა მოხელეებმა, უკიდურესი მძინვარებით, ცეცხლით და რკინით ჩაეხშოთ ეს მორიგი ქართული აჯანყება.

1826 წელს ისევ განახლდა ომი რუსეთსა და სპარსეთს შორის. ისევ აბას-მირზა და ალექსანდრე ბატონიშვილი მოუძინარებით, ცეცხლით და რკინით ჩაეხშოთ ეს მორიგი ქართული აჯანყება.

ღოდნენ ირანულ არმიებს. განჯა და შამქორი აიღეს და თბილი-სისკენ წამოემართნენ. მაგრამ შამქორზევე მოუსწრეს რუსებმა და ქართველებმა, ვახტანგ სავარსამისძის მეთაურობით, დაამარცხეს და უკუაქციეს სპარსული მხედრობა. განჯასთანაც დაამარცხეს და განდევნეს რუსებმა აბას-მირზა; აქაც ისახელეს თავი ქართველებმა ძველი, ტრადიციული „საკვირველი წინა-მბრძოლობით“.

1827 წელს რუსთა მთავარსარდალმა პასკევიჩმა ჯერ ნახიჭევანი გაწმინდა და ერევანს მიაღდა. წინ 600 ცხენოსანი ქართველი მხედარი დააყენა, ადრე ბოროდინოს გმირის, გენერალ რომან ბაგრატიონის მეთაურობით, და იერიში ბრძანა. და შეიჭრნენ და შეუძღვნენ ქართველები ერევანში რუსებს.

იმავე წელს, ერევანის აღების შემდეგ, რუსებმა და ქართველებმა გადალახეს საკუთრივ ირანის საზღვრები და, გენერალ გიორგი ერისთავის მეთაურობით აიღეს თავრიზი. გამარჯვებულები უკვე თეირანის გზაზე იღვნენ და ირანელებმა ზავი ითხოვეს.

და დაიდო ზავი თურქმანჩაიში, 1828 წლის 10 თებერვალს. რუსეთის სამფლობელოებად გამოცხადდა ნახიჭევანის და ერევნის სახანოები, ასევე სრულიად კასპიისპირეთი. დამატებით, ირანს რუსეთისთვის უნდა გადაეხადა კონტრიბუცია 20 მილიონი მანეთი.

მაშინ დაინიშნა რუსეთის ელჩიად ირანში პოეტი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი, სიძე ასევე პოეტისა და გენერლის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

თვითონ ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა ნახიჭევნისა და ერევნის სახანოებისაგან ახლად შექმნილი სომხეთის ოლქის გაშებელ-ხელისუფლად.

1828 წლის 14 აპრილს ახალი ომი დაიწყო რუსეთსა და თურქეთს შორის. ისევ გაიხსნა ორი ფრონტი — ბალკანეთისა და აშოერკავკასიისა. იმავე წლის 23 ივნისს რუსებმა და ქართველებმა აიღეს ყარსი, 15 ივნისს აიღეს ფოთი, ხოლო 24 ივნისს დაეუფლნენ ახალქალაქს.

მერე, 16 აგვისტოს აიღეს ახალციხე.

28 აგვისტოს ალექსანდრე ჭავჭავაძემ აიღო ბაიაზეთი და ბაიაზეთის მთელი საფაშო.

თვითონ პასკევიჩის სარდლობით, 1829 წელს, რუსებმა და ქართველებმა აიღეს არზრუმი, ბაიბურთი და გიუმიშხანე.

ისევ ქართველთა „წინამბრძოლობით“ იძლივნენ ოსმალნი ქობულეთთან...

1829 წლის 14 სექტემბერს დაიდო ზავი ოსმალეთსა და რუსეთს შორის, ქალაქ ადრიანოპოლში. ამ ზავით საქართველოს (ანუ რუსეთის იმპერიას) დაუბრუნდა: ფოთი, ახალციხე, ახალ-ქალაქი და ერთ საიმპერიო „ახალციხის ოკრუგად“ გაერთიანდა — ახალციხე, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი და ჭავჭარაქი.

ომის მსვლელობის უამს აქ ჩამოთვლილ „სანჯაყთა“ გამაჰმადიანებული ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აიყარა (ან რუსებმა აიმულეს აყრილიყვნენ) და ოურქეთში გადასახლდა (ან გადასახლეს). სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ქართველებისგან დაცლილ მიწებზე კვლავ ქართველები ჩასახლებულიყვნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. პასკევიჩმა ქართველებს ამ მარად ქართულ მესხურ მიწაზე დასახლების უფლება არ მისცა და მათ ნაცვლად 30 000 სომეხი შემოასახლა... და ასე— მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართული მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა, 1830 წელს უკვე, რუს დამპყრობთა წყალობით, უმრავლესობად სომხები იქცნენ (პასკევიჩის მარად მაღიდებული და მაღმერთებელი უნდა იყოს სომეხი ერი!).

1832 წელს გამჟღავნდა ქართველთა შეთქმულება რუსული ბატონობის დამხობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. შეთქმულებას სათავეში უდგნენ სოლომონ დოდაშვილი, პოეტები ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, დრამატურგი გიორგი ერისთავი,, დიმიტრი ყიფიანი, იაგო ჭილაშვილი, სოლომონ რაზმაძე. რუსულმა სასამართლომ 38 შეთქმული გაასამართლა და სხვადასხვა ვადით რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლდა.

1841 წელს გურიაში ისევ იფეოქა აჯანყებამ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებულებმა სოფელ გოგორეთან დაამარცხეს რუსთა ჯარი და აღყა შემოარტყეს სამაზრო

ცენტრს — ოზურგეთს. მაგრამ გადმწყვეტ ბრძოლაში აჯანყებულები ისევ იძლივნენ და იარაღი დაპყარეს.

1853 წელს დაიწყო ცნობილი „ყირიმის ოში“ — ახალი საომარი ჭიდილი რუსეთსა და თურქეთს შორის. საქართველო ახალ საომარ ასპარეზად იქცა. იმავე წელს თურქთა უზარმაზარი არმია შემოიჭრა საქართველოში. თურქებმა დაიჭირეს გურიის დიდი ნაწილი და ახალციხის გზით თბილისისაკენ აიღეს გეზი, მაგრამ რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ჯარებმა, გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით, 1853 წლის 14 ნოემბერს მძიმედ დაამარცხეს ოსმალთა არმია. ხოლო 1854 წლის 4 ივნისს, მლინარე ჩოლოქზე, რუსებმა და ქართველებმა მეორე დიდი გამარჯვება მოიპოვეს ოსმალებთან ცხარე შეტაკებაში.

1855 წლის აგვისტოში, სევასტოპოლითან, თურქებმა სასტიკად დაამარცხეს რუსები. მაშინვე საქართველოშიც შემოიჭრა თურქთა არმიები, აიღეს და აიკლეს აფხაზეთი და სამეგრელო. იმავე წლის ნოემბერში კვლავ გამოიბრუნეს ხელი რუსებმა და ქართველებმა. მათ ჯერ ყარსი წაართვეს ოსმალეთს, შემდეგ საქართველოც გაწმინდეს თურქთაგან.

დადგა XIX საუკუნის 60-იანი წლები და დაიბადა „სამოციანელობა“ ქართველობისა — ახალი, ანტიფეოდალური და რუსული თვითმშერობელობის წინააღმდეგ მებრძოლი იდეოლოგია, რომლის მედროშენი შეიქნება: ილია ჭავჭავაძე, აკაგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვანი.

პირველად, ყველაზე მწვავედ და სრულად, ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტანტული ხმა გაისმა დანიელ ჭონქაძის მოთხოვაში — „სურამის ციხე“, რომელიც დაიბეჭდა 1859 წელს შურნალ „ცისკარში“. ამავე შურნალში ბეჭდავდნენ ახალი იდეოლოგიური სულისკვეთებით განმსჭვალულ ნაწარმოებებს და პოლემისტურ წერილებს დანარჩენი „სამოციანელები“. 1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით დაარსდა „სამოციანელთა“ (ანუ „თერგდალეულთა“) ახალი საბრძოლო ორგანო, შურნალი „საქართველოს მოამბე“.

1861 წელს რუსეთში გაუქმდა ბატონყმობა. საქართველოში პროცესი ბატონყმობის გაუქმებისა გაგრძელდა 1864 წლიდან 1871 წლამდე.

უკვე კაპიტალიზმი იდგამდა ფეხს საქართველოში.

1877 წელს ისევ ატყდა ომი თურქეთსა და რუსეთს შორის. საომარი ასპარეზი ისევ ბალკანეთზე და ამიერკავკასიაში იშლებოდა. ამ ომში 25 ათასმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. რუსულ ლეგიონებში ირიცხებოდა ქართველთა 102 ასეული — 63 ქვეითი და 39 ცხენოსანი. რუს-ქართველთა შენართებმა გაიძარჯვეს ბაიაზეთთან, ყარსთან, სოხუმთან, ოჩამჩირესთან. ამიერკავკასიაში გამარჯვებამ გაადვილა რუსების წინსვლა ბალკანეთზე. თურქეთმა ზავი ითხოვა. ზავიც დაიდო, 1878 წელს, სან-სტეფანოში. ამ ზავით, — რომელიც შემდეგ დაადასტურა ბერლინის კონგრესმა — საქართველოს დაუბრუნდა ბათუმი და მისი მიმდგომი მიწა-წყალი.

მაინც სამთა სახელმწიფოთა — რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის, XIX საუკუნის მთელს სიგრძეზე ატეხილი ომებისა და სისხლთაქცევების თავი და თავი მიზეზი, „განხეთქილების ვაშლი“ თუ „საბრძოლო პრიზი“ — მაინც და მაინც იყო კავკასია.

ბოლოს და ბოლოს, ვის ეკუთვნის კავკასია — ირანს, თურქეთს, თუ რუსეთს?!

ვის ეკუთვნისო?!

ეს კითხვა გაჭიმულიყო ამ სამეულ ვეშაპ-მოცილეთა შორის და არცერთ მათგანს არ ესურვებოდა დაეშვა, რომ — კავკასია ეკუთვნის თვითონ კავკასიას, თვითონ კავკასიელ ხალხს, გინა ხალხებს, კაცობრიობის გაჩენიდანვე რომ აქ გაჩენილან და აქ-ვე ცხოვრობენ მარად ადგილმოუნაცვლებლად.

აკი უხანგრძლივესი საისტორიო გამოცდილებით, კავკასიელებს „ამიერსაც“ და „იმერსაც“, აქვს თავისი საცხოვრისი მიწა-წყალი, საკუთარი „მიკრო-კავკასია“, ხოლო უკეთუ მოისურვებენ, მათვე შეუძლიათ ააშენონ ერთი მთლიანი კავკასიური სახელმწიფო, საერთო „კავკასიური სახლი“, გნებავთ საერთო, სამმო „კავკასიური იმპერია“; აკი ამის გამოცდილებაც მოსდევთ იმ „ოქროვანი საუკუნიდან“ — დავითისა და თამარის კავ-

კასიური „სახლი“, თუ „იმპერია“ – „ნიკოფილით დარუბანდამდის“, ზღვიდან ზღვამდის, ანუ კიდევ – „სინოპიდან არდაველაძლის“, და კიდევ – „ჩრდილო-ოვსეთიდან არეგაწამდის“...

და, თითქოს, ახლა XIX საუკუნეში, კავკასიას წარომეოდეს უფლება თვითმყოფობისა და თვითმკვიდრობისა.

ხოლო, მთავარი იმპერიული ამბიცია კავკასიის – ამ „დედამიწის შუბლის“ დაუფლებისა – მოედინება მაინც ჩრდილოეთიდან, გოგისა და მაგოგის სამყაროდან, ანუ – რუსეთიდან.

და მძვინვარებენ საუკუნეთა სიგრძეზე „კავკასიური ომები“ ჰბლავრობს რუსეთი. კავკასიელს უკვე კავკასიაში აღარ დაედგომება. აკი აიყარა ქართველი მაჭმადიანობა სამხრეთ საქართველოდან და გადასახლდა ოსმალეთში.

ეს ცყო თავისებური „პრელიუდიე“ იმ უმძიმესი კავკასიური ტრაგედიისა, რასაც დაერქვა „მუჭაჯირობა“ – კავკასიელ მაჭმადიანთა გასახლება-გადასახლება, გნებავთ დიასპორა-განთესვა, ანუ კიდევ – აყრა-გადაყრა დედა-წულიანად, ოჯახიან-ძირფესვიანად.

და მიღიოდნენ, მუჭაჯირობით, მიეთესებოდნენ კავკასიიდან კავკასიელნი:

აფხაზები თუ აბაზები, აფსუები თუ ადიღეელები, ჩერქეზები თუ აბაძებები, ბჟედულები თუ ნოღაულები, ყაბარდოელები თუ ბალყარელები, ყარაჩაელები თუ ჩეჩენები...

მიღიოდნენ და მათ ნასახლარებზე რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება ასახლებდა და ამკვიდრებდა რუსებს, კაზაკებს, სომხებს, და ყველას, ოღონდ არა ქართველს.

გადასახლება ხდებოდა ძირითადად ოსმალეთში, რომელსაც ფართოდ გაეღო კარი ლტოლვილ თანამორწმუნეთათვის.

ჯერ, 1853–1856 წლებში, ყირიმის ომის დროს მოხდა დიდი, მასობრივი გადასახლება აფხაზეთიდან ოსმალეთში. მეორედ – 1866–1867 წლებში, ხოლო მესამედ, 1877–1878 წლების ომის ეამს, 50 000 მუჭაჯირმა კავკასიელმა დატოვა სამშობლო და შეეხიზნა ოსმალეთს.

უმაღვე გახიზნულთა ნაფუძარ და ნაფერებ მიწებს რუსი აძლევდა თავისსავე რუსს, ანუ სომებს, ანუ ყველას, თვინიერ ქართველისა...

საუკუნე დასასრულს უახლოვდებოდა.

საქართველო კი კვლავ იყო ტუსაღი „ხალხთა საპყრობილისა“, ანუ რუსეთის იმპერიისა.

და ყველაზე ბოროტი განაზრახი რუსეთის ცარიზმისა — დაპყრობილ ხალხთა ეროვნული ასიმილაციისა და გადაგვარების დაფინანსითი ცდა.

საქართველოში რუსმა ასიმილაციონებმა უწინარეს ყოვლისა მიზანში ამოიღეს ქართული ენა, რომელიც თავიდანვე უგულებელჰყოვეს, შეავიწროვეს და, ბოლოს, სასკოლო სწავლებიდანაც სრულიად განდევნება.

და მაშინ, როცა არასოდეს არცერთ დამპყრობელს — არც რომაელს, არც ბიზანტიელს, არც არაბს, არც მონღოლს, არც ირანელს და არც თურქს — საქართველოსთვის მისი სახელმწიფოებრიობის წართმევა არ უფიქრია, —აი, ახლა, რუსეთის შპყრობელობამ ქართველთა შორის სახელმწიფო კი არა, „საქართველო“ სახსენებლადაც კი აკრძალა! ამიერიდან „საქართველოს“ ნაცვლად იხსენიებოდა მხოლოდ — „ობილისის გუბერნია“ და „ქუთასის გუბერნია“.

და მძლავრდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, ხოლო, ბელადი ამ მოძრაობისა — დიდი მაშულიშვილი, დიდებული მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე და მის თანამებრძოლთა „დასი“.

მაგრამ, საუკუნის მიწურულს, ილიას და მის „დასს“, თვითონ ქართველთა შორის, დიდი მოწინააღმდეგე და მომტერე ახალი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ორგანიზაცია დაუპირისპირდა, სახელად — „მესამე დასი“.

ეს იყო სოციალ-დემოკრატთა, ანუ მარქსისტთა პარტია.

და გაჩაღდა ბრძოლა და მტრობა „დასებს“ შორის. საბრძოლო კი იყო ორი ქვაკუთხედური პოსტულატი: ნაციონალური, ანუ ეროვნული და სოციალური, ანუ საზოგადოებრივ-კლასობრივი.

ილია ჭავჭავაძისა და მისი „დასის“ პოზიცია პირველი იყო — ნაციონალურ-ეროვნული, ხოლო სოციალ-დემოკრატებისა, ანუ „მესამე დასისა“ — სოციალურ-კლასობრივი.

ილიას რომ „ერთობის“ ქვეშ ქართველთა ყველა წოდებისა და ყველა სოციალური შრის ერთიან ერად, ერთ ნაციონალურ

მთლიანობად შეერთება და შეკავშირება ეგულებოდა, „მესამდასელ“ სოციალ-დემოკრატებს ამის საპასუხოდ და საწინააღმდეგოდ, „ერთობის“ ქვეშ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სახელგანთქმული მოწოდება მოემარჯვებინათ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

— ყველაფერი სამშობლო საქართველოსათვის! — ბრძანებდა ილია.

— ყველაფერი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის! -- კაპკიოლნენ სოციალ-დემოკრატები.

საუკუნე კი ოწურებოდა.

კულტურის კათალოგი

XIX საუკუნე ქართული მხატვრული ლიტერატურის აყვავების ხანა იყო. სიტყვაკაზმულობის პირველი მძლავრი ნაკადი რომანტიზმის სახით მოგვევლინა. რომანტიზმის მამამთავარი შეიქნა პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786–1846). იგი თავისი სევდიანი ლირიკით მისტირის საქართველოს გარდასულ დიდებას და ილაშქრებს რუსული კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

რომანტიზმის კლასიკოსია შესანიშნავი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი (1804–1883). საქართველოს აპოლოგიას წარმოადგენს მისი დიდებული პოემა – „საღლერძელო“. ისევ პატრიოტული მოტივებითა და სამშობლოს სამომავლო ფიქრებით არის განმსჭვალული უმრავლესი მისი ლირიკული ქმნილებანი.

ქართული რომანტიზმის მწვერვალზე დგას ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817–1845). მისი პოემა „ბედი ქართლისა“ და ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ ეძღვნება რუსეთთან საქართველოს შეერთების პრობლემებს. თანამედროვე ცხოვრებით, სამშობლოს დამონებით და საზოგადოებრივი დახავსებულობით სულშეძრული პოეტი უჩივის „სულიერ ობლობას“, პროტესტს უცხადებს „ბოროტ სულს“, სიცოცხლეს განიხილავს როგორც „აღუვსებელ საწყალს“ და „მერანზე“ ამხედრებული ცდილობს გაარღვიოს და გაშორდეს ავ ბედისწერად გარშემორტყმულ უსულგულო ადამიანურ სამყაროს.

XIX საუკუნის შუა ხანებში ქართულ ლიტერატურაში მკვიდრდება რეალიზმი, რომლის საფუძვლის ჩამყრელად გვევ-

ლინება დრამატურგი გიორგი ერისთავი (1811–1864). მის ნაწარშეებებში – კომედიებში („გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“) ნაჩვენებია რეალური თანამედროვე სოციალური მოვლენები – ქართველი თავად-აზუნაურობის დაქვეითება და ვაჭრული საზოგადოებრივი ფენის აღზევება.

რეალისტური პროზის წარმომადგენლები იყვნენ დანიელ ჭონქაძე (1830–1860) და ლავრენტი არდაშიანი (1815–1870). პირველმა თავის მოთხრობა „სურამის ციხეში“ აჩვენა ბატონიშვილის სიმახინჯე და დრომოჭმულობა; მეორემ, მოთხრობაში – „სოლომონ ისაკის მეჯდანუაშვილი“ – ასახა ფულადი ურთიერთობებით გამოწვეული სოციალური კონფლიქტები არისტოკრატიასა და პლუტოკრატიას შორის.

ქართული ლიტერატურა განსაკუთრებით მაღალმხატვრული და მრავალფეროვანი გახდა 60-იანი წლებიდან. გამორჩეული მდგომარეობა დაიჭირა ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ორმა კორიფეუმ – ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ორივემ, თავიანთი დიდი მემკვიდრეობით – ლექსებით, პოემებით, მოთხრობებით, რომანებით, დრამებით, პუბლიცისტიკით – უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ეროვნულ, საზოგადოებრივ და ზნეობრივ ცხოვრებაში. ისინი, – ვითარცა ერის ჭეშმარიტი მოძღვარნი მათ სიცოცხლეშივე, მადლიერი ხალხისაგან – „საქართველოს უგვირგვინო მეფეებად“ მოინათლენ.

პატრიოტული და სოციალური მოტივებით არის განმსჭვალული შესანიშნავი პოეტის, რაფიელ ერისთავის (1824–1901) ლექსები. რეალისტური ლიტერატურის კლასიკოსია, აგრეთვე, გიორგი წერეთელი, რომელმაც შთამბეჭდავად ასახა დაცემის გზით მიმავალი ქართული არისტოკრატიისა და ახლად ფეხმომაგრებული ფულადი სოციალური ძალის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა (რომანი „პირველი ნაბიჯი“).

საუკუნის 80–90-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში ორი ახალი მწვერვალი ამოიმართა, ორივე საქართველოს მთიანეთი ვაჟა-ფშაველა და ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი. ვაჟა-ფშაველას საარაკო პოეტური ღირსებებით შემკობილი ლექსები, პოემები და მოთხრობები წარმოადგენენ სამშობლოს, ზოგად ადამიანთა შორის კაცოფუვარეობისა და გა-

რებუნების ჭეშმარიტ საგალობლებს. აღექსანდრე ყაზბეგმა თავის მოთხოვნებში და რომანებში ძლიერი კოლიზიებითა და შთამბეჭდავობით დახატა მთიელი ხალხის თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა, ოჯახური სიწმინდისათვის, უშშვენიერესი სიყვარულისათვის.

ცალკე, სოციალური გააზრებით, განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ ხალხოსანი მწერლები ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე და ეკატერინე გაბაშვილი.

საუკუნის ბოლო ათწლეულში კიდევ ახალი, ფრიად ნიჭიერი თაობა შემოვიდა ქართულ მხატვრულ აზროვნებაში: ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ვასილ ბაროვა, შიო არაგვისპირველი და სხვანი.

ლიტერატურის გვერდით, აღმავლობის გზას ადგა ხელოვნების დარგებიც. 1850 წელს, გიორგი ერისთავის მეთაურობით, ძველ საუკუნეთა ტრადიციებზე, აღსდგა ქართული თეატრი. მაგრამ რუსხელმწფების სამოხელეო ბიუროკრატია და ცენზურა იმდენს ეცადა, რომ ექვსი წლის შემდეგ თეატრალური დასი დაიშალა. 1879 წელს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თავგამოდებული ბრძოლის შედეგად, კვლავ დაარსდა პროფესიული ქართული თეატრი თბილისში, ხოლო ერთი წლის შემდეგ – ქუთაისში. ეს იყო დიდი მოვლენა საქართველოს ეროვნულ ცხოვრებაში, რამდენადაც დიდი ენთუზიაზმით გაშლილმა თეატრალურმა საქმიანობამ ჭეშმარიტად დაუფასებელი სამსახური გაუწია ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. ამ მხრივ გამორჩეული როლი შეასრულა ორმა უადრესად პატრიოტულმა პიესამ – დავით ერისთავის „სამშობლომ“ და აღექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „დალატმა“.

სახვითი ხელოვნების ფერწერული დარგი 60–70-იან წლებში საინტერესოდ წარმოადგინა მხატვარმა გრიგოლ მაისურაძემ. შემდეგ, 80-იანი წლებიდან შემოქმედებით სარბიელზე შემოდიან შესანიშნავი მხატვრები: რომანზ გველესიანი და აღექსანდრე ბერიძე; შემდეგ, ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი – გიგო გაბაშვილი; უფრო გვიან, კიდევ – დიდებული მხატვარი-რეალისტი აღექსანდრე მრევლიშვილი.

საუკუნის ბოლო ათწლეულში მოღვაწეობას იწყებს ქართუ-

ლი სკულპტურის დიდი წარმომადგენელი იაკობ ნიკოლაძე, (1876–1951).

ქართული ხალხური მუსიკა მსოფლიო სპეციალისტთა მიერ ერთხმად მიჩნეულია უმდიდრეს და უმშვენიერეს ფენომენად სწორედ მსოფლიო მუსიკალურ საგანძურში. ქართული პროფესიული მუსიკაც თავისი არსებობის საუკუნეებს მოითვლის. 1851 წელს თბილისში გაიხსნა საოპერო თეატრი. 1873 წელს, შესანიშნავმა მომღერალმა და მოღვაწემ ხარლამპი სავახელმა (1845–1890) დააარსა საგუნდო კურსები, რომელიც 1885 წელს მუსიკალურ სასწავლებლად გადაკეთდა. ამ სასწავლებლის საფუძველზე შეიქმნა დღეისათვის ცნობილი საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია.

80-იან წლებში მოღვაწეობდნენ ხალხური და პროფესიული საგუნდო სიმღერებისა და საეთნოგრაფიო კონცერტების შესანიშნავი ორგანიზატორები, პოპულარიზატორები და კომპოზიტორები: ლადო აღნიაშვილი, ფილიმონ ქორიძე, მელიტონ ბალნჩივაძე, ია კარგარეთელი, ანდრია ყარაშვილი, ზაქარია ჩხილაძე და სხვანი.

XIX საუკუნეში თვალსაჩინო მიღწევებით აღინიშნა ქართული სამეცნიერო დარგებიც. შესანიშნავი, ფრიად ორიგინალური, ვრცელი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი – „კალმასობა“ – დაგვიტოვა რუსეთში მცხოვრებმა იოანე ბაგრატიონმა (მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილმა). აქ წარმოდგენილია არამარტო საქართველოს სინამდვილე, არამედ ფართო ცოდნა თითქმის ყველა სამეცნიერო დარგისა. იოანეს ძმებმა, დავით და თეიმურაზ ბაგრატიონებმა მაღალი მეცნიერული გააზრებანი გვიჩვენეს საქართველოს ისტორიის შესწავლაში. რუსეთში დიდის მოწონებით სარგებლობდა სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური ნაშრომი – „ლოგიკა“. ქართველმა მეცნიერ-ფიზიკოსმა პეტრე რომანის ძე ბაგრატიონმა ახალი გაღვანური ელემენტი აღმოაჩინა და ამით ფიზიკის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი როლი აღასრულა. „შემოკლებული ფიზიკის“ სახელმძღვანელო დაწერა დავით ბაგრატიონისა.

ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ ახალი საფეხურები ჰქოვა იღია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის შრომებში.

საისტორიო მეცნიერებათა დარგებში დიდი ღვაწლი დაიდეს დიმიტრი ბაქრაძემ და მოსე ჯანაშვილმა; ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის დარგებში – პეტერბურგისა და მოსკოვის პროფესორებმა, დავით ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო მარმა და სხვებმა.

ამავე საუკუნეში მოღვაწეობდნენ – დიდი ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი და სახელოვანი ქიმიკოსები – ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი.

ქრონიკი XX საუკუნიდან

უკვე XX საუკუნე შემოსწრებოდა საქართველოს.

მსოფლიო „იზმებით“ გატენილი საუკუნე – კაპიტალიზმი, კომუნიზმი, სოციალიზმი, დემოკრატიზმი, კოლონიალიზმი, იმპერიალიზმი, ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი, მოვინიზმი, მილიტარიზმი, ანტაგონიზმი, და, კიდევ... ვინ მოთვლის, რამდენი და რანაირი „იზმი“?!

ხოლო, საქართველოში ერთმანეთს დანასისხლად კრიჭაში ჩასდგომოდნენ – ნაციონალიზმი და მარქსიზმი.

ნაციონალიზმი – ადგილობრივ-ეროვნული, ქართული.

მარქსიზმი – გარედან, რუსეთის გზით შემოტანილი, რუსულად, ანუ ულიანოვ-ლენინურად გარდასახული.

პირველის მიზანდასახულობა – ბრძოლა მშობლიური ერისა და ქვეყნის გათავისუფლება-გადარჩენისათვის; მეორისა – ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის!

და იმდღავრეს მარქსისტებმა, ანუ სოციალ-დემოკრატებმა, და 1907 წლის 30 აგვისტოს, დღისით-მზისით, წიწამურის ტყესთან, ტყვიების ცეცხლით შუბლი შეუნგრიეს საქართველოს სწორედ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეს, მოძღვარს და სულიერ მამას – იღია ჭავჭავაძეს.

მერე, რაკი „საერთო მტერი“ მოიშორეს, – ეს რუსული მარქსიზმის თუთიყუშები (თვითონ იღია რომ ასე უწოდებდა), ისევ რუსულ ყაიდაზე, ერთმანეთს გაეთიშნენ – „მენშევიკებად“ და „ბოლშევიკებად“.

და, ამ „უცნაურ ქართველობაში“ (ყველაფერში რომ უნდა

რუცხაურონ!), „მენშე-ბოლშეს“ მიუჩედავად — „მენშევიკებს“ რიცხობრივად გაცილებით მეტი იყვნენ „ბოლშევიკებზე“!

1914 წელი. იწყება პირველი მსოფლიო ომი. ქართველები დიდი აქტიურობით იბრძვიან რუსების გვერდით, ახალი „მსოფლიო წესრიგისათვის“ (აქტიურობა ხომ გენეტიკურად — ჯოშად მოსდგამთ ქართველებს!).

1917 წელი. თებერვალი. რევოლუცია რუსეთში. მონარქიზმის დამხობა. „ორხელისუფლებიანობა“, ორი მეთაური, ამათგან — ერთი ქართველი (კარლო ჩხეიძე).

1917 წლის 25 ოქტომბერი (7 ნოემბერი). ბოლშევიკური გადატრიალება, უმაღლესი ხელისუფლების უზურპაცია, უზურპატორი — ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი.

ლენინის გვერდით — ქართველი, აწ სტალინად წოდებული, დაბადებით სოსო (იოსებ) ჯუდაშვილი, (დაბადებული ქალაქ გორში, 1879 წლის 21 დეკემბერს, მიწურ ქოხში, მეწალისა და მრეცხავი ქალს კრძალულ ოჯახში).

1918 წელი. სამოქალაქო ომი რუსეთში. ამ რუსული შინაობის მთავარ გმირთა შორის, კვლავაც სტალინი და მრავლად სხვანი ქართველნი.

საქართველომ კი, რაკი „დედა-რუსეთს“ მისთვის ამჯერად აღარ სცალია, თავის თაქს „დამოუკიდებლად“ უნდა მიჰედოს, — და ქართველი მენშევიკები, ანუ „ესლეპები“ (სოციალ-დემოკრატები) აცხადებენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

მაგრამ არ სძინავთ ქართველ ბოლშევიკებს. რა ვუყოთ, რომ რიცხობრივად ისინი „მენშე“ არიან; სამაგიეროდ გაცილებით უფრო ძლიერნი, აწ ლენინური რუსეთის იმპერიით გამძლავრებულნი და, 1921 წლის თებერვლის ბოლოს, რუსული შემოსევით, საქართველოს ისევ რუსულ იმპერიას შეუქცევენ და შეუერთებენ.

1924 წლის 21 იანვარი. კვდება ლენინი.

და — რუსულ-კომუნისტური იმპერიის ტახტზე ადის ქართველი კაცი — იოსებ სტალინი. და გაგრძელდება მისი მსოფლიო ერთხელმწიფობა ოცდაათი წელიწადი.

ესაა სტალინიზმი — მანამდე არნახული და არგაგონილი მოცულობა და სიმძლავრე რუსული იმპერიული მპყრობელობისა.

1941—1945 წლები. გერმანელთა შემოსევა და რუსეთის ებმება მსოფლიო ომში, რომელსაც რუსთა ქართველი იმპერატორი დაარქმევს „დიდ სამამულო ომს“.

და კვლავაც — ისე, ვითარცა აღრეულ საუკუნეებში, ყოველ უცხოთა, მონღოლთა თუ ეგვიპტელთა „განსაკვირველად“, „წესადცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“ — აქაც, რუსეთის ამ „დიდ სამამულო ომშიც“ ისეთივე „განსაკვირველი წინამბრძოლობით“ მონაწილეობდა ნახევარი მილიონი ქართველი, რომელთაგან სამასი ათასზე მეტი დაეცა და რუსულ მიწად დამიწდა.

ხოლო, თვითონ სტალინი, „განსაკვირველი“ გახდა სრულიად მსოფლიოსათვის. აკი მან, „სიბრძნითა და წინამდღოლობით სწორუპოვარმა ბელადმა“, მსოფლიო ომიც მოიგო და პიროვნულად სოლისტი გახდა თვითონ მსოფლიო ისტორიისა; სწორედ — მთელი მსოფლიო, რომ მისი წარბისა და ულვაშის ქვეშ მოიჩრდილება და მოინუსხება, მსოფლიო ისტორიის მთავარი რეპიზიტიც რომ „იმ უცნაური ქართველის“ თითებში ჩაკირული ჩიბუხი იქნება.

მაგრამ ისიც იყო შვილი სიკვდილისა — მის მარღვებშიც სისხლი დაედინებოდა და არა იქორი... და მოკვდა, 1953 წლის 5 მარტს.

ნათქვამი კი ჰქონდა თვითონვე: დიდი იმპერიები დიდი პირვენებებისაგან იქმნებიან და იმ პიროვნებათა სიკვდილის კვალზე იშლებიან.

და იწყება ჯერ რყევა და მალე ნგრევაც თვით „სტალინური იმპერიისა“.

და ნგრევის მთავარ გმირთა შორის – ისევ ქართველი
(ე. შევარდნაძე).

ხოლო, თვითონ საქართველო, ცხოვრებას იწყებდა ჩრდი-
ლოური იმპერიისგან თავდახსნილი, კვლავაც საკუთარი დამოუ-
კიდებელი სახელმწიფოებრიობით, საკუთრივ ეროვნული სუ-
ლით და სხეულით.

თბილისი,
1994 წლის აგვისტო.

გ ი ნ ა რ ს ი

იქ, სადაც შუბლია დედამიწისა	3
უძველესი ქართული სახელმწიფოები	4
ფარნავაზი და მისი დრო	6
II-I საუკუნეები	6
ქართლი I-III საუკუნეებში	8
საქართველო IV საუკუნეში	11
გორგასალი და მისი დრო	11
ლაზები	15
არაბები და ქართველები	19
კულტურის კატალოგი	21
საქართველო X საუკუნეში	22
საქართველო XI საუკუნეში	24
კულტურის კატალოგი	27
დავით აღმაშენებელი და მისი დრო	28
დავით აღმაშენებლის შემდგომ	35
თამარ მეფე და მისი დრო	35
კულტურის კატალოგი	45
საქართველო XIII საუკუნეში	48
საქართველო XIV საუკუნის დამდეგს	59
გიორგი ბრწყინვალე და მისი დრო	62
თემურლენგი და საქართველო	67
საქართველო XV საუკუნეში	72
საქართველო XVI საუკუნეში	75
საქართველო XVII საუკუნეში	80
კულტურის კატალოგი	96
გამტანგ მეექვსე და მისი დრო	99
საქართველო XVIII ს. მეორე ნახევარში	109
კულტურის კატალოგი	116
საქართველო XIX საუკუნეში	117
კულტურის კატალოგი	127
ქრონიკები XX საუკუნიდან	131

ლევან სანიკიძე
საქართველოს ისტორია
თვალის ერთი გადაცვაზით

გამომცემლობა „სამშობლო“
თბილისი
მ. კოსტავას ქ., 14
1994 წ.

რედაქტორი ცისანა შავგულიძე
მხატვრული რედაქტორი მურმან კანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლალი ბიჭაშვილი
კორექტორი ნანა სხირტლაძე

გადაეცა ასაწყობად 22.09.94. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.10.94. ფორ-
მატი 84X 108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,14, შეკვეთა 1005. ტირაჟი
3000.

სახელშეკრულებო ფასი

საქართველოს უურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14.

6.30a.

76%
4

F72.303
3